



ოპოზიცია მეროპის კანდიდატეებს 33. 16  
 სახელმწიფო კერძო საკუთრების წინააღმდეგ 33. 29  
 სასამართლოს მოლოდინში 33. 24  
 მესუთე ხელისუფლება 33. 46  
 „მოსკოვსკი“ და „კოდმოსკოვია“ ცხინვალში 33. 32  
 ჩიჩნეთი – თვითგკვლავების ომი 33. 38  
 დიღმის ტყე-პარკი 33. 44  
 სამი ქვეყანა, ერთი მდინარე 33. 36

# დიბუხანი

№9 / 30 სექტემბერი - 13 ოქტომბერი / 2009

ISSN 1987-7528



9 771987 752008

ფასი 2.80 ლარი





რადიო „უცნობი“ წარმოგიდგინებთ დილის გადაცემას **„დილა მშვიდობისა“**

ნატა ასათიანთან და ვახო ხვიციასთან ერთად  
ყოველ სამუშაო დღეს, დილის 9:00 დან 11:00 საათამდე.

- პოლიტიკური თემები
- მხიარული საუბრები
- საინტერესო მოსაზრებები
- SMS გამოქიითხვები
- მახარი სიმღერები

უსმინეთ და მიიღეთ გადაცემაში მონაწილეობა

SMS ნომერი: 9800

Skype ID: ucnobidila



[www.ucnobifm.ge](http://www.ucnobifm.ge)





ფოტო: თეიმურაზ ბარბაქაძე

**ნომერში:**

- 02 რედაქტორი
- 04 წერილები
- 06 მოკლედ
- 08 ვრცლად
- 10 ორი აზრი  
იყო თუ არა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვით სისტემაზე უარის თქმა სწორი გადაწყვეტილება? *ფარედ ზაქარია v.s. ნილ გარდინერი*
- 12 **პოლიტიკა**  
ამბოხიდან დაუმორჩილებლობამდე
- 16 **თვითმმართველობის არჩევნები**  
ოპოზიცია თბილისის მერობის ერთიან კანდიდატს ეძებს
- 20 **ტალიავინის კომისიის ანგარიში**


- 22 **თვალსაზრისი**  
საქართველო და ამერიკული დიპლომატიის „ახალი ტონი“ *კორნელი კაკაჩია*
- 24 **ფურნალისტური გამოძიება**  
სასამართლოს მოლოდინში
- 29 **ხოფის ბაზრობა**  
სახელმწიფო კერძო საკუთრების წინააღმდეგ
- 32 **კონფლიქტები**  
„მოსკოვსკი“ და „ბოდმოსკოვიე“ ცხინვალში
- 34 **აფხაზეთი, მედია**  
პრეზიდენტი ფურნალისტის წინააღმდეგ
- 35 **თვალსაზრისი**  
თურქეთი როგორც აფხაზეთის კონფლიქტის გასაღები *ირაკლი ალასანია*



- მეზობლები**  
36 სამი ქვეყანა, ერთი მდინარე
- 38 **ჩეჩნეთი**  
ჩეჩნეთი – თვითმკვლელების ომი
- საზოგადოება**  
40 კულტურული მემკვიდრეობა და ვანდალიზმი
- 44 **მწვანე ზოლი**  
გაუქმებული ტყე
- 46 **თვალსაზრისი**  
მეხუთე ხელისუფლება *დავით ზურაბიშვილი*

- ადამიანის უფლებები და სამართალი**  
49 **სარფის საბაჟო**  
შეზღუდვები თავისუფალ ვაჭრობას
- 50 **დეკრიმინალიზაცია – ახალი ეტაპი ნარკოპოლიტიკაში**  
მკურნალობა დასჯის ნაცვლად
- 52 **ნიგნები**  
ბარემ შემტამეთ!

**ბარეკანზე:**  
კობა კობალაძე სასამართლო პროცესზე.  
**ილუსტრაცია:**  
გიორგი მასხარაშვილი



# ნახატი

## ვებ-გვერდზე:

www.liberali.ge

### ბლოგები:

ნინო ბექიშვილი  
ლევან როინიშვილი  
ეროსი კინმარაშვილი  
ნინია კაკაბაძე  
გიორგი ცხადაია  
ლაშა ბაქრაძე  
შორენა შავერდაშვილი

### მუხროვანის სასამართლო პროცესი

რეპორტაჟები  
ოლესია ვართანიანის ბლოკზე

### მულტიმედია:

კულტურის ძეგლები  
და ვანდალიზმი

თემო ბარძიმაშვილი



რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთი ამერიკული საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელს მედიის პრობლემებზე რომ ველაპარაკებოდი, მითხრა, - გილოცავ, ნელ-ნელა ჩვენ გვემსგავსებით, ოღონდ ყველაზე ცუდ რამეებში. დამოუკიდებელი მედიის პრობლემებზე და, ზოგადად მედიაგარემოზე, „ლიბერალის“ რედაქციაში მედიაფლობლების, ჟურნალისტებისა და მედიაექსპერტების არაფორმალური ფორუმი გაიმართა, სადაც პრობლემების დიაგნოზირება ვცადეთ. თუმცა, ამ თემაზე სტატისა ჟურნალის მხოლოდ შემდეგ ნომერში ნაიკითხავთ.

იქამდე „ლიბერალი“ მუხროვანის სასამართლო პროცესს ადევნებს თვალყურს. როცა საპროტესტო აქციების ფონზე, აპრილში მუხროვანის ამბოხის შესახებ პირველად გავიგეთ, გვითხრეს, რომ აჯანყებულები ოპოზიციასთან იყვნენ შეკრულები, რუსული ფულით ფინანსდებოდნენ და ნატო-ს წვრთნების ჩაშლა და პრეზიდენტის ჩამოგდება უნდოდათ. სასამართლო პროცესზე გაირკვა, რომ ეს ბრალდებები პროკურატურის მიერ შედგენილ საქმეში არც კი მოხვედრილა, რაც იმას ნიშნავს, რომ ის პოლიტიკური ვუალი, რომლითაც ამბოხება მყისიერად შეიფუთა, ცარიელი პროპაგანდა იყო. თუმცა, ეს თემა არც ერთი ნაციონალური მაუწყებლის ეთერში არ მოხვედრილა.

ელექტრონული მედიის ყურადღების მიღმა დარჩა „რუსთავის 2“-ის შენობის ჩამონგრევის გამო დაწყებული გამოძიებაც.

ხუთი თვის განმავლობაში არავინ დაინტერესებულა, რა დაადგინა ექსპერტიზამ და იპოვა თუ არა გამოძიებამ პასუხისმგებელი პირები. იგივე ხდება „ელიტ ელექტრონიკის“ საქმეზეც, რომელმაც მედიის ყურადღება მხოლოდ ერთი დღით მიიქცია, მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკებები ხელისუფლებას, ბანკსა და მფლობელებს შორის ჯერ კიდევ გრძელდება.

ერთდღიანი ჰედლაინები ზოგადად მედიის სენია, მაგრამ ქართულ მედიას უფრო სერიოზული სენი სჭირს - მან თითქოს დაკარგა მთავარი, საზოგადოების ინფორმირების ფუნქცია, რომელსაც ორმხრივი მედიაპროპაგანდა ვერასოდეს ჩაანაცვლებს. არაინფორმირებული საზოგადოება სუსტი საზოგადოებაა, სუსტი საზოგადოება კი ყველა ხელისუფლების ინტერესშია, ამიტომ მედიას თავისი მოვალეობის შესრულებაში არავინ დაეხმარება.

„ჟურნალისტური ხელშეუხებლობა, ფაქტებზე დაფუძნებული ახალი ამბები, სერიოზული საგამოძიებო ჟურნალისტიკა... ეს არის ნამდვილი გამოწვევა. ეს არის ის, რაც, ჩემი აზრით, ჩვენი დემოკრატიის სიჯანსაღის აუცილებელი პირობაა“. შენსაძლოა, ნელ-ნელა მართლაც ვემსგავსებით ამერიკელებს, მაგრამ ეს ციტატა, მიხეილ სააკაშვილს არა, ბარაკ ობამას ეკუთვნის.

მთავარი რედაქტორი,  
შორენა შავერდაშვილი

## განსწორება

„ლიბერალის“ მე-4 ნომერში, სტატიაში „მიკროძოვბული სიმართლე“, რომელიც ტელეკომპანია „მაესტროს“ ეხებოდა, ქვესათაურში აზრი არაზუსტად იყო გამოთქმული. „მაესტრომ“ უკვე იცის, რომ ის ოპოზიციის ტელევიზიად დარჩება“-ს ნაცვლად, უნდა ყოფილიყო: „მაესტრომ“ უკვე იცის, რომ ის ოპოზიციურ ტელევიზიად დარჩება“.

რედაქტორი: მთავარი რედაქტორი შორენა შავერდაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი ნინო ჯავახიშვილი / პოლიტიკა და საერთაშორისო ამბები სოფო ქაჯავა / კონფლიქტები და ჟურნალისტური გამოძიება სოფო ბუკია / კავკასია მარგარიტა ახლედიანი / საზოგადოება თამარ პაპუაძე / ადამიანის უფლებები და სამართალი ნინო ბექიშვილი / ახალი ამბები ნათია ახალაშვილი  
რედაქცია: ფოტო-რედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი ნინო სვანიძე / კორექტორი ნინო საითიძე  
ბამომცემლობა: პროექტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა შუბიტიძე / რეკლამის და გაყიდვების დირექტორი შალვა ჩუბინიძე /  
დისტრიბუტორი ზვიად შენგელია  
ბამომცემი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge  
სსპა ბამომცემი: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი - ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.  
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.  
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.  
ბმწმ: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, ნერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.  
ტირაჟი: 5000 ცალი. გამოდის ორ კვირაში ერთხელ. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2,80 ლარი.  
www.liberali.ge

გამომდგარა ჟურნალი „ლიბერალი“ და მიიღეთ იგი გამოსვლის დღეს  
(ყოველ მეორე ოთხშაბათს)  
თქვენთვის სასურველ მისამართზე.



**ლიბერალი**

6 ნომერი (3 თვე) – 16,80 ლარი  
13 ნომერი (6 თვე) – 36,40 ლარი  
25 ნომერი (1 წელი) – 70 ლარი

ჟურნალის გამოსაწერად დაგვიკავშირდით ტელეფონზე:  
23 37 31, (877) 78 78 05  
ან მოგვანოდეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია  
ელ-ფოსტით: [info@liberali.ge](mailto:info@liberali.ge)





### VS ბაბრატის ტაძრის აღდგენა

ნათელია, რომ ქალბატონი ქეთევანი ნაკლებად იცნობს ისტორიული ძეგლების კონსერვაციის თანამედროვე პრაქტიკას და საერთაშორისო სტანდარტებს. ევროპაში არის უამრავი ისტორიული ძეგლი, მათ შორის ეკლესია, რომელიც შეგნებულად არ აღადგინეს, მაგრამ თანამედროვე ტექნოლოგიებით გაამაგრეს დარჩენილი ნაწილები. ამის ბრწყინვალე მაგალითია ბერლინში (კერძოდ, მის დასავლეთ ნაწილში, კუდამზე), მეორე მსოფლიო ომის დაბომბვების დროს დაზიანებული, თითქმის დაანგრევის პირას მისული კაიზერ ვილჰელმის სახელობის გედუხტენსკირხე, რომელიც დღემდე გუმბათოვანატეხილი დგას, როგორც იმ მძიმე წლების ცოცხალი მონწილე. ეს ეკლესია რომ აღედგინათ, ის ნამდვილად არ იქნებოდა ისეთი შთაბეჭქდავი, როგორც დღესაა. სწორედ ესაა ამ ძეგლის დიდებულება. დღეს იქ მუზეუმი და ღვთისმსახურება არ მიმდინარეობს. თუმცა, ევროპაში ძალიან ბევრი, თუნდაც დაუზიანებელი ეკლესიაა მუზეუმად ან საზოგადოებრივ ცენტრად გადაკეთებული, მრევლის ნაკლებობის გამო. არ მინდა, ეს დადებით ან უარყოფით მოვლენად შევაფასო, უბრალოდ თავად განსაჯეთ, რამდენად „ცოცხალი რელიგია“ ევროპის ბევრ ქვეყანაში, როგორ ამას ქალბატონი ქეთევანი თავდაჯერებით ამტკიცებს. ასევე სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ განცხადება იუნესკო-ს წარმომადგენლების მხრიდან პროექტის მონონების შესახებ უბრალოდ სიმართლეს არ შეესაბამება. პირიქით, სერიოზული საფრთხეა, რომ იუნესკო-მ ბაგრატის ტაძარი დაცული ძეგლების სიიდან ამოიღოს, სწორედ იმ სამუშაოების გამო, რომელიც მათთან შეუთანხმებლად, ძეგლთა დაცვის და ავტენტურობის შენარჩუნების საერთაშორისო სტანდარტების გაუთვალისწინებლად წამოიწყეს.

თიკო  
სექტემბერი 17, 2009  
[www.liberali.ge](http://www.liberali.ge)

### VS ბაბრატის ტაძრის აღდგენა

ეკლესია-მონასტრების აღდგენის წინააღმდეგ ნამდვილად არ გამოვიდოდი. ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო წლებში, ძეგლთა დაცვის სააგენტოს თაოსნობით, რამდენიმე ეკლესია აღდგა და მე, პირადად, არ გამიგია, ვინმეს ამის შესახებ პროტესტი გამოეთქვას. რაც შეეხება ბაგრატს, თავისი არქიტექტურით და ისტორიული მნიშვნელობით ეს ძეგლი მართლაც უნიკალურია ჩვენი ქვეყნისთვის. ასეთი მასშტაბის ასეთი არქიტექტურული ძეგლები გვხვდება ტაო-კლარჯეთში (ახლანდელი თურქეთის ტერიტორიაზე), დღევანდელი საქართველოს მასშტაბით კი ის ერთადერთია. ტაძრის კაპიტალური რეკონსტრუქციის (რკინა-ბეტონით და მსგავსი საშენი მასალებით) და გუმბათის დაშენების შედეგად მივიღებთ 21-ე საუკუნის ეკლესიას. ის ავტენტური და ისტორიული სახე კი, რის გამოც ბაგრატი იუნესკო-მ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარა, სამუდამოდ დაიკარგება. ცნობისათვის კი შეგახსენებთ, რომ დრეზდენში მეორე მსოფლიო ომის დროს თითქმის მიწასთან გასწორებული ფრაუნფირხეს აღდგენას 60 წელიწადი დასჭირდა, ჩვენ კი ათსაუკუნოვანი უნიკალური ტაძრის აღდგენა სულ რაღაც ერთ წელიწადში გვინდა! თანაც ისე, რომ არც იუნესკო-ს ვეკითხებით, არც საზოგადოებას, მათ შორის, არც ქუთაისის საზოგადოებას, რომელსაც დღევანდელი ბაგრატი უკვე ბუნებრივად აქვს შესისხლხორცებული.

თიკო  
სექტემბერი 23, 2009  
[www.liberali.ge](http://www.liberali.ge)



### ტაქტიკური მარცხიდან სტრატეგიულ გამარჯვებამდე

სასურველის რეალობად მონათვლა და წარმოჩენა, როგორც ჩანს, სახელისუფლებო წრეების სენია. ამ დაავადებას ახასიათებს ილუზორული მიდრეკილება, რაც წარმოსახვას არაჯანსაღს ხდის, ადამბლავებს ანალიზის უნარს და, რაც მთავარია, სპობს საღი, კრიტიკული აზრის არსებობის

შესაძლებლობას. ყველაზე სამწუხარო კი ის გახლავთ, რომ ეს იმ ადამიანების დიაგნოზია, ვისაც დღეს მართვის სადავეები უპყრია ხელთ; ხოლო მათი განზრახვა და ქცევა უშუალო, სარკისებრ ასახვას ჰპოვებს ერის, ხალხის ბედზე. ჩემი მხრიდან თქვენდამი გამოფხიზლებისაკენ მონონება არასერიოზული და მიამიტური იქნება. ბ-ნო თემურ, თქვენი (მთავრობის) საქმენი, პოლიტიკა და ბოლოს ეს ნერილი თქვენ და თქვენი სახით მთელ მთავრობას ნათლად წარმოაჩენს, როგორც ყველაზე უპასუხისმგებლო და საშიშ პოლიტიკურ მმართველ ძალას პლანეტაზე. სამწუხაროა!

[www.liberali.ge](http://www.liberali.ge)

ომიდან ერთი წლის შემდეგ ჩვენ გვაქვს დიაგნოზი, რომელიც ისედაც ყველამ იცოდა – 2 სახელმწიფო, რომელიც სამმა ქვეყანამ აღიარა, რაც რუსეთს მათი საერთაშორისო სამართლის დაცვით მიერთების და იქ სამხედრო ძალის გაზრდის უფლებას აძლევს, რის შედეგადაც საქართველომ როდესმე თუ კიდევ გაბედა აფხაზეთ-ოსეთზე სამხედრო თავდასხმა კონსტიტუციური წესრიგის აღსადგენად, ომს პირდაპირ და არა ირიბად გავაჩაღებთ რუსეთთან; დაგვემატა ლტოლვილების ახალი ნაკადი, რომელიც პრაქტიკულად გეტოებშია გამომწყვდეული; საერთაშორისო მხარდაჭერა, რომელიც სულ უფრო იკლებს და დღეს მხოლოდ იმ დონეზეა, რომ საქართველოდან დელეგაციაც არ მიუწვევიათ სექტემბერში პოლონეთში გამართულ მეორე მსოფლიო ომის სამოცი წლისთავზე, პუტინისაგან განსხვავებით; გვაქვს მთავრობის ტოტალიტარიზმისკენ კიდევ უფრო ძლიერი გადახრა, რაც ომითაა ნაწილობრივ განპირობებული და გვაქვს კიდევ პერსპექტივა, რომ საქართველოზე ნაბუქოს მილსადენიც აღარ გაივლის. და ეს ყველაფერი მთავრობის სწორი პოლიტიკის გამო გვაქვს. ყველაზე საშიში, ბატონო თემურ, ის კი არ არის, რომ თქვენ დასკვნებში ცრუობთ, არამედ ის, რომ მგონი, მართლა გვერათ ამ ყველაფრის.

[www.liberali.ge](http://www.liberali.ge)

გამოგივ ზავნეთ წერილები ჩვენს ვებ-გვერდზე: [www.liberali.ge](http://www.liberali.ge), ან რედაქტორის ელექტრონულ ფოსტაზე: [shorena.shaverdashvili@liberali.ge](mailto:shorena.shaverdashvili@liberali.ge)



კავკასიის უნივერსიტეტი  
CAUCASUS UNIVERSITY



კავკასიის მედიის სკოლა  
CAUCASUS SCHOOL OF MEDIA

## ბაიჩაეთ სასახიფიჩაბო ჯახაბი

### ჯახახიის უნივერსიტეტის ჯახახიის მედიის სკოლაში

## ბაილჩავეთ სოლნა და შიჩინავეთ ახანი შახაძეაბოჯაბი ჯახიჯაიდი წინსვიცისათვის

### სასერტიფიკატო კურსის გავლა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს

კავკასიის მედიის სკოლა კავკასიის უნივერსიტეტის ნაწილია. კავკასიის უნივერსიტეტი არის დასავლური სტანდარტების და გლობალური ხედვის უნივერსიტეტი, სადაც შესაძლებელია თანამედროვე განათლების მიღება ბიზნესის მართვის, სამართლის, სოციალურ, ჰუმანიტარულ და ტექნიკურ მეცნიერებათა მიმართულებით. საბაკალავრო, სამაგისტრო და უწყვეტი განათლების პროგრამების მეშვეობით კავკასიის მედიის სკოლა ნერგავს მაღალ პროფესიულ სტანდარტებს ჟურნალისტიკის, მედია მენეჯმენტისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროებში.

#### 2008-2009 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში კავკასიის მედიის სკოლაში შეგიძლიათ გაიროთ კურსი:

- ▶ ფოტოჟურნალისტიკის საფუძვლებში, *ლექტორი – გურამ ნიბახაშვილი*
- ▶ დოკუმენტური ფილმის რეჟისურის საფუძვლებში, *ლექტორი – სანდრო ვახტანგოვი*
- ▶ ინტერნეტ ჟურნალისტიკაში, *ლექტორი – ნატა ამალლობელი*
- ▶ კონფლიქტებისა და კრიზისული სიტუაციების გაშუქებაში, *ლექტორი – ნინო ჟიჟილაშვილი*
- ▶ გაზეთის მენეჯმენტში, *ლექტორი – ზვიად ქორიძე*
- ▶ პიარ კამპანიების დაგეგმვასა და მართვაში, *ლექტორი – ელდარ პირმისაშვილი*

თითოეული კურსი მოიცავს 15 სამსაათიან შეხვედრას ოქტომბერს, ნოემბერსა და დეკემბერში. სტუდენტები ისარგებლებენ კავკასიის უნივერსიტეტის კუთვნილი კომპიუტერებით, პროექტორით, ფოტოაპარატებით და სხვა საჭირო ტექნიკური საშუალებებით. თითოეული კურსის ღირებულება შეადგენს 770 ლარს.

თითოეული სასერტიფიკატო კურსის შინაარსის და ლექტორის გამოცდილების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად და იმის გასაგებად, თუ რა საბუთების წარმოდგენა საჭირო კურსზე დასარეგისტრირებლად, ეწვიეთ კავკასიის უნივერსიტეტის ვებ-გვერდს:

[www.cu.edu.ge](http://www.cu.edu.ge)





## ყველა ბირთვული იარაღის წინააღმდეგ

ნიუ-იორკში, გაერო-ს 64-ე გენერალური ასამბლეისა თუ მის ფარგლებში მიმდინარე შეხვედრების მთავარი თემა ბირთვული იარაღის-გან მსოფლიოს გათავისუფლება იყო.

ქართული მხარე პროტესტის ნიშნად რუსეთის პრეზიდენტის გამოსვლას არ დაესწრო. მედვედევის გამოსვლის ძირითადი ნაწილი აგვისტოს ომსა და საქართველოს ხელისუფლების არაგონივრულ პოლიტიკაზე საუბარს დაეთმო. დარჩენილ დროში კი მან ბირთვულ განიარაღებაზე, რაკეტსანიანალმდეგო სისტემა-სა და გლობალურ უსაფრთხოებაზე ისაუბრა.

მედვედევმა ბირთვული არსენალის შემცირების თაობაზე ამერიკელი კოლეგის პოზიცია გაიზიარა და ირანის საკითხზე საუბრისას აღნიშნა, რომ მსოფლიო თეირანს უნდა დაეხმაროს ბირთვული იარაღის თაობაზე „სწორი გადაწყვეტილების მიღებაში“, ირანს ამგვარი იარაღის შექმნის საშუალება არ უნდა მიეცეს. მანამდე ბარაკ ობამამ ასამბლეაზე განაცხადა, რომ თუ ირანი ბირთვული იარაღის შექმნას კვლავ გააგრძელებს, დღის წესრიგში სანქციების შემოღების საკითხი უნდა დადგეს. „ზოგ შემთხვევაში სანქციები გარდაუვალია“, – განაცხადა საპასუხოდ მედვედევმა.

მოსხენებით გამოსვლამდე რუსეთის პრეზიდენტი ამერიკელ კოლეგას შეხვდა, რის შემდეგაც განაცხადა, რომ ისინი შეთანხმდნენ, დეკემბერში გააფორმონ "START"-ის სახელით ცნობილი ახალი ხელშეკრულება, რომელიც მიზნად ისახავს ამ სახელმწიფოთა ბირთვული არსენალების შემცირებას.

მუამარ კადაფი, უკვე 40 წელია, ლიბიის ლიდერია, მაგრამ გაერო-ში სიტყვით წელს პირვე-

ლად გამოვიდა და რეგლამენტიც რეკორდულად დაარღვია – 15 წუთის ნაცვლად, 95 წუთს ილაპარაკა. ირანის პრეზიდენტს ნახევრად ცარიელ დარბაზში მოუხდა გამოსვლა. აშმედიწეუადის-გან კაპიტალიზმის კრიტიკის მოსმენა აშშ-ს და ევროპის ქვეყნების დელეგაციებმა არ ისურვეს და დარბაზი დატოვეს.

„კაპიტალისტური აზროვნების დრო დასრულდა. ასევე დასასრულს უახლოვდება კაპიტალისტების სწრაფვა მსოფლიო დომინანტობისკენ, რომლებიც გლობალიზაციის სახელით იმპერიის ჩამოყალიბებას გეგმავენენ“, – განაცხადა მან ასამბლეაზე სიტყვით წარდგა საქართველოს პრეზიდენტიც. მან ყურადღება ძირითადად რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციაზე გაამახვილა და პარალელი გაავლო ბერლინის კედელსა და „ახალ ხელოვნურ გამყოფ ხაზს შორის... რომელიც სწორედ იმ ხალხმა ააშენა, რომელთა იდეებიც ერთობლივად და მტკიცედ იქნა დამარცხებული და უარყოფილი 20 წლის წინ“, ბერლინის კედლის წგრევისას.

„ეს ახალი კედელი გვეუბნება, რომ ძალის უზენაესობამ კიდევ ერთხელ სძლია კანონის უზენაესობას და სალი აზრის უზენაესობას“, – განაცხადა მან.

საკამეილმა ასევე ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებზე ილაპარაკა და ისიც ახსენა, რომ ხელისუფლებამ ოპოზიციას საშუალება მისცა, სამი თვის მანძილზე საპროტესტო აქციები გამართა. მან აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ უკვე მისცა მთელ ქვეყანაში მაუნყებლობის ლიცენზია ოპოზიციის მიერ კონტროლირებად სატელევიზიო სადგურებს.

### „ელიტ ელექტრონიკის“ ქსელი იხსნება

„ელიტ ელექტრონიკის“ ხუთმა მალაზიამ მუშაობა განაახლა. დავა, რომელიც კომპანიას ფინანსთა სამინისტროსა (7 მილიონი ლარი) და კრედიტორ ბანკებთან (15 მილიონი ლარი) აქვს, თვის ბოლოს დასრულდება. „ელიტ ელექტრონიკსში“ აცხადებენ, რომ მოლაპარაკებების შედეგად კომპანია გაკოტრების საფრთხის წინაშე აღარ დგას და ქსელი ეტაპობრივად გაიხსნება.

„შეთანხმების შედეგად, კრედიტორი ბანკები „ელიტ ელექტრონიკის“ მენეჯმენტში აღარ შევლენ. დავალიანების სანაცვლოდ, კომპანიის 50% წილი გადანაწილდება „თიბისი ბანკს“, „საქართველოს ბანკს“ და „სახალხო ბანკს“ შორის, თუმცა დეტალები სრულად არ დაზუსტებულია“, – აცხადებენ „ელიტ ელექტრონიკის“ მარკეტინგის სამსახურში.

7 მილიონ ლარს, რომელსაც ფინანსთა სამინისტრო „ელიტ ელექტრონიკსს“ ედავება, კომპანია ხუთი წლის განმავლობაში გადაიხდის. საბანკო ანგარიშებზე ინკასო ჯერ არ მოხსნილა, თუმცა კომპანიის დამფუძნებელი ანზორ ქოქოლაძე იმედოვნებს, რომ სახელმწიფოსთან მოლაპარაკება ამ მხრივაც გამოიღებს შედეგს.

„ელიტ ელექტრონიკის“ სრულად აღდგენისთვის სასამართლომ კომპანიის რეაბილიტაციის გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს. „ეცდილობთ, დავადასტუროთ, რომ კომპანია ჯანმრთელია და შეუძლია ფუნქციონირება. იმედი გვაქვს, რომ ხელოვნურად არ მოხდება კომპანიის გაკოტრება. ჩვენ გვაქვს რეზერვი და შეიძლება კომპანიის რეაბილიტაცია მოხდეს“, – აცხადებს ქოქოლაძე.

მოლაპარაკებები თვის ბოლოს დასრულდება.



**ელიტ ელექტრონიკის**  
**ELIT ELECTRONICS**



### ბაგრატზე და ატენზე მშენებლობა შეჩერდა

ბაგრატისა და ატენის სიონის ტაძრებში სარეკონსტრუქციო და არქეოლოგიური სამუშაოები შეჩერებულია. ეს გადაწყვეტილება მიიღეს საქართველოს საპატრიარქოს განცხადების გამოქვეყნების შემდეგ, რომელშიც მოთხოვნაა მშენებლობა შეჩერდეს მანამდე, ვიდრე სპეციალურად შექმნილი კომისია არ გადაწყვეტს, გაგრძელდეს თუ არა ის ამ სახით. განცხადების მოტივად საპატრიარქო საზოგადოების იმ ნაწილის პროტესტს ასახელებს, რომელიც ისტორიული ძეგლების იერსახის შეცვლას არ ეთანხმება.

საპატრიარქოს ინიციატივით უნდა შეიქმნას კომისია, რომელიც ეკლესიის, კულტურის სამინისტროს და იუნესკო-ს წარმომადგენლებით დაკომპლექტდება. სამუშაო გზაუფში ის სპეციალისტებიც შევლენ, რომლებიც რესტავრაციის პროცესს ენიშნაღმდეგებიან. სწორედ ამ კომისიის საბოლოო გადაწყვეტილება განსაზღვრავს ამ ორი ტაძრის მომავალს.

ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ნიკოლოზ ვაჩიშვილი პროექტის ხელახალი განხილვის აუცილებლობას ვერ ხედავს. „პროექტზე მუშაობა ოთხი წელი მიმდინარეობდა და ყველას აზრია გათვალისწინებული, ვისაც რესტავრაციის სფეროში სიტყვა ეთქმოდა. ვშიშობ, სამუშაოების შეწყვეტა საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს ბაგრატის ტაძრის არსებობას“, – აცხადებს ის.

მისივე თქმით, შეჩერებულია სამუშაოების დინამიკა. ხოლო რაც შეეხება გამაგრებით სამუშაოებს, თხრილებს, რომლებიც გაიჭრა, ისინი ამოივსება, რადგან ასე მიტოვება არ შეიძლება.



ფოტო: თეიმურაზ ბარბაქაძე

### რისხვეპი

**1** გრამით არ ნაწილს საქართველოს პრეზიდენტი, რომ რუსეთის აგრესიას წინააღმდეგობა გაუწია და მიაჩნია, რომ არც დევნილები ნაწილენ.

**42** - ე ადგილი დაიკავა საქართველომ მსოფლიოს 141 ქვეყანას შორის ეკონომიკური თავისუფლების მიხედვით. (ადრე 39-ე ადგილი ეკავა.)

**50** მილიონი ლარი დასჭირდება საქართველოს პარლამენტის ნაწილობრივ ქუთაისში გადატანას, – ფიქრობენ საქართველოს ხელისუფლებაში.

**15** - მდე გაიზარდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრთა რაოდენობა, რომელიც მანამდე 9 იყო.

**25** ლენინს ქარხანა მუშაობს ამ დროისათვის კახეთის რეგიონში.

**7** წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა საქალაქო სასამართლომ ოპოზიციის მხარდამჭერ ლევან გოგიჩაიშვილს სხეულის განზრახ დაზიანებისთვის.

### სიტყაჯუი



ილუსტრაცია: ბაჩუა მანუჩაშვილი

„ყურნალისტური ხელშეუხებლობა, ფაქტებზე დაფუძნებული ახალი ამბები, სერიოზული საგამოძიებო ყურნალისტიკა, ამ ეთიკური ნორმების შენარჩუნება მრავალფეროვან ახალ მედიაში... – აი, ეს არის ნამდვილი გამონვევა... ეს არის ის, რაც, ჩემი აზრით, ჩვენი დემოკრატიის სიჯანსაღის აუცილებელი პირობაა“.

ბარაკ ობამა

20 სექტემბერი, ვაშინგტონი, შეხვედრა გაზეთების რედაქტორებთან

„ჩვენ ჯერ ეს ბრძოლა [რუსეთთან] მოგებული არ გვაქვს, მაგრამ მათ უკვე ბრძოლა წაგებული აქვთ. იმისთვის, რომ საბოლოოდ მოვიგოთ, გვჭირდება ცოდნა. მათ ვერ ვაჯობებთ ვერც იარაღით, ხალხის რაოდენობით, ვერც თავზე ხელაღებულობით და სისასტიკით, რადგან ჩვენ ამის საპირისპიროდ ვვითარდებით. ამ სასტიკი მტრის მოსაშორებლად დიდი ცოდნა და განათლებაა საჭირო“.

მიხეილ სააკაშვილი

14 სექტემბერი, ნეროვანი

„მაესტრო“ არ არის ოპოზიციის მომხრე ტელევიზია, ის ობიექტურია (წინააღმდეგ შემთხვევაში, მიგვითითეთ ერთ ფაქტზე მაინც, როდესაც „მაესტრომ“ ცრუ ინფორმაცია გადასცა ან დამალა ფაქტი). შეგახსენებთ, „მაესტრო“ რომც იყოს ოპოზიციის მომხრე ტელევიზია, თქვენ, როგორც საქართველოს პრეზიდენტმა, საქართველოს მოქალაქეები არ უნდა დაჰყოთ ოპოზიციის და ხელისუფლების მომხრეებად. შეგახსენებთ, რომ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“.

მამუკა ღლონტის მიმართვა საქართველოს პრეზიდენტს

25 სექტემბერი, თბილისი

ფოტო: მერიის უწყისებები



CT-Park, თბილისი 2009

## პარკირება – „იაფი და გამარტივებული“, თუმცა მხოლოდ დაპირებებში

თბილისის მერია პარკირების წესებს კიდევ ერთხელ ცვლის.

### ნათია ახლაშვილი

ბოლო ორი წლის განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა პარკირების სისტემა, თუმცა, თბილისის მერიამ მაინც ვერ მოაგვარა ეს პრობლემა. მიუხედავად იმისა, რომ მერია დიდ რეკლამას უწევდა გამარტივებულ და სამართლიანი პარკირების ახალ სისტემას, ამ მექანიზმმა ვერ იმუშავა.

„გვექნება განტვირთული საგზაო მოძრაობა, პარკირების ახალი, თანამედროვე ცივივილიზებული სისტემა“, – ამტკიცებდა გიგი უგულავა CT-Park-ის მიერ შემოთავაზებული პირობების ამოქმედების წინ.

ავტომობილებისთვის პარკირებასთან დაკავშირებული უსიამოვნო სიურპრიზები ივლისშივე დაიწყო: 5 წუთით დატოვებული მანქანა ქუჩიდან ქრებოდა, გულგახეთქილ მძღოლს იქვე მდგომი „სტაიანშიკი“ ან გამგულელი თუ ამცნობდა, რომ მისი მანქანა CT-Park-ის ევაკუატორმა წაიყვანა. საჯარიმო სადგომზე გადაყვანილი ავტომობილის დასაბრუნებლად 70 ლარს იქვე თუ არ გადაიხდიდით, მანქანას არავინ გამოგატანდათ, და თან, გადაუხდელობის შემთხვევაში, ეს თანხა ყოველ-

დღიურად 10 ლარით მატულობდა. უკეთეს შემთხვევაში, დგომის წესის დამრღვევ ან პარკირების საფასურის არგადამხდელ მძღოლებს საქარე მინაზე ჯარიმის ბარათები ხვდებოდათ.

ერთხელ მიღებული მწარე გაკვეთილის შემდეგ ყველა დაინტერესდა, სად და როგორ შეიძლებოდა გადაეხადათ პარკირების საფასური. გადასაფხეკი ბარათის ყიდვა რთული აღმოჩნდა. ბარათების გასაყიდად ადგილებად მითითებული „პოპულის“ მაღაზიათა ქსელი და მუნიციპალიტეტის მიერ დადგმული საგაზეთო ჯიხურები თბილისში არც ისე ბევრ ადგილასაა, თუმცა ხშირ შემთხვევაში, არც ამ დათქმულ ადგილებზე ხვდებოდით ბარათები მძღოლებს. თუ გაგიმართლებდათ და ბარათს მოიპოვებდით, მთელი რიგი პროცედურები იყო საჭირო: ბარათზე ზუსტად უნდა გადაფხეკილიყო პარკირებისა და მისი დასრულების წელი, თვე, რიცხვი, საათი და წუთი. გადახდის დანარჩენი ორი მეთოდი პრაქტიკულად არც ამოქმედებულა, მობილურით გადახდაც რთული პროცედურა იყო, პარკომეტრები კი ქალაქის ისეთ დატვირთულ სადგო-

მებთანაც კი არ დამონტაჟებულა, როგორც მაგალითად „დინამოს“ სტადიონთანაა. ამ ყველაფერთან ერთად, თბილისელი მძღოლების უკმაყოფილება იმანაც გამოიწვია, რომ არანაირი შეღავათი არ არსებობდა სამსახურთან მანქანის მთელი დღით გაჩერების შემთხვევაში.

თბილისელების უკმაყოფილების ზრდასთან ერთად მერიაც იძულებული გახდა, შეცდომები ელიარებინა.

„ჩვენ არ დაგვაკმაყოფილა იმ გადახდის სისტემამ, რომელსაც CT-Park გთავაზობდა; ბევრი დრო იხარჯებოდა და გაუგებარი იყო ქართული რეალობისთვის. არც კანონით გათვალისწინებული შეღავათები გაითვალისწინა კომპანიამ. ეს კი მერიისთვის არასასურველია“, – მხოლოდ დღეს აცხადებს ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის პარკირების ორგანიზების განყოფილების უფროსი გიორგი მიქაძე

ქალაქის მერის ბოლო განცხადებით, დედაქალაქში ავტომობილის პარკირებისთვის წესი კიდევ ერთხელ უნდა შეიცვალოს. 1 ოქტომბრიდან მძღოლები მხოლოდ წლიურ 25-ლარიან ბარათს შეიძენენ. გიგი უგულავამ ეს განცხადება CT-Park-თან შეუთანხმებლად გააკეთა.

ამ კომპანიას პარკირების მართვის უფლება 15 წლით აქვს გადაცემული. გიორგი მიქაძის თქმით, თუ CT-Park თანახმა იქნება ამ ახალი წესებით გააგრძელოს მუშაობა, კომპანია დარჩება, თუ არა და, მუნიციპალური შპს შეიქმნება.

მერის განცხადების შემდეგ საკრებულომ პარკირების რეგულირების შესახებ კანონში ცვლილებები შეიტანა. არსებული სამი ზონა საერთოდ გაუქმდა და შეიცვალა გადახდის ფორმა – დამტკიცდა, რომ იქნება ერთკვირიანი, ერთთვიანი, კვარტალური და ერთწლიანი პარკირების ბარათები. პარკირების ფასებს მერია განსაზღვრავს.

მერიაში აცხადებენ, რომ თბილისში მოკლე დროით ჩამოსული მძღოლები მხოლოდ 2 ლარს გადაიხდიან მობილურის მეშვეობით ან ბანკში.

პარალელურად, პარლამენტში მიმდინარეობს განხილვა და, სავარაუდოდ, პარკირების ადმინისტრაციული წესების დარღვევის საფასურიც შემცირდება – ყველა შემთხვევაში 10 ლარი გახდება.

[www.liberali.ge](http://www.liberali.ge)





მომხრე

ფარიდ ზაქარია

NEWSWEEK International-ის რედაქტორი და ავტორი ნიგნებისა "The Post-American World" და "The Future of Freedom: Illiberal Democracy at Home and Abroad"

დაბრუნება რეალობაში

პოლონეთსა და ჩეხეთში ბალისტიკური რაკეტების საწინააღმდეგო სისტემათა განთავსების გეგმაზე უარის თქმით პრეზიდენტმა ობამამ სასურველი რეალობაზე გაცვალა. გახსოვდეთ რამდენიმე ფაქტი თავდაცვითი სისტემის შესახებ: შეერთებულ შტატებს ამ სისტემის შექმნა, გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული, \$ 150 მლრდ-ზე მეტი დაუფჯდა, რაც საგრძნობლად აღემატება მანჰეტენის პროექტისა თუ აპოლოს მისის საერთო ხარჯებს.

მიუხედავად ამისა, ამ პროგრამას 25 წლის განმავლობაში არ შეუქმნია შეიარაღების ისეთი ქმედითი სისტემა, რომელიც თვით გულუხვი პენტაგონის დაფინანსების ისტორიაში თუნდაც მეტნაკლებად ღირსშესანიშნავ ადგილს დაიკავებდა. ნამყვანი მეცნიერების ჯგუფმა, რომელშიც 10 ნობელიანტი ფიზიკოსიც შედიოდა, ამა წლის ივლისში წერილობით დაუსაბუთა ობამას, რომ არსებული ტექნიკური შესაძლებლობების პირობებში, ჩეხეთსა და პოლონეთში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის დამონტაჟებას „თეორიულადაც კი უმნიშვნელო თავდაცვითი ეფექტი ექნება (ან სულაც არაეფექტური იქნება)“. სწორედ იმიტომ გვთავაზობდა ბუშის ადმინისტრაცია სისტემის მხოლოდ 2018 წელს დაწერვას, რომ იმედოვნებდა – ამ დროისთვის ეს ტექნოლოგია რეალურად ამუშავდებოდა.

ცალკე საკითხია ის საფრთხეები, რის საწინააღმდეგოდაც ნერგავენ ამ სისტემებს. ბირთვული შეიარაღების საკითხთა ცნობილმა ექსპერტმა, ჯოზეფ ჩირნიჩონემ ამ ცოტა ხნის წინ მოახსენა კონგრესს, რომ ბალისტიკური რაკეტების საფრთხე „ბოლო 20 წლის განმავლობაში გამუდმებით კლებულობდა. ორი ათწლეულის წინანდელ ვითარებასთან შედარებით, ამჟამად მსოფლიოში მნიშვნელოვნად შემცირდა მასობრივი განადგურების იარაღი; ნაკლები სახელმწიფო აფინანსებს ბირთვულ პროგრამებს; და საერთო ჯამში, უფრო ცოტა ბალისტიკური რაკეტა დამიზნებული შეერთებული შტატებისთვის. გარდა ამისა, დღეს არც ისე ბევრი ქვეყანა მუშაობს კვლავაც შორი რადიუსის მოქმედების რაკეტების შექმნაზე და ამ ქვეყნების ტექნოლოგიური დონე არც ისე მაღალია, როგორც ეს 20 წლის წინ იყო“. ყველა ეს არგუმენტი უდავოა.

რა თქმა უნდა, ირანის შეიარაღების პროგრამა პოტენციურ საშიშროებას წარმოადგენს, მაგრამ ეს საფრთხე, ჩეხეთსა და პოლონეთს კი არა, ისრაელსა და სპარსეთის ყურის ქვეყნებს ემუქრებათ. ამგვარად, საკმაოდ გონივრული და განხორციელებადია ობამას წინადადება, რომ მოკლე და საშუალო სიშორის რაკეტათა გამანადგურებელი სისტემები მახლობელ აღმოსავლეთში ბაზირებულ ხომალდებზე განთავსდეს.

მაშ, რაღაზე გვეთანადრება გული? შეერთებული შტატების პრეზიდენტის ყოფილი თანამშემწე ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, ზბიგნეე ბუეზინსკი (აღამიანი, რომელიც ყოველთვის ყურადღებით ეკიდებოდა აღმოსავლეთი ევროპის უშიშროების პრობლემებს) მხარს უჭერს ობამას გადაწყვეტილებას, მაგრამ ამავდროულად აცხადებს, რომ ქვეყნის ადმინისტრაცია საკითხს არასწორად მიუდგა.

მისი თქმით, „ამ გადაწყვეტილებების შესახებ გამოცხადების ფორმამ უაღრესად შეურაცხყო ორი ჩვენი ერთგული მოკავშირე, და ხელი ააღებინა მათ ამერიკის პოლიტიკისთვის მხარდაჭერაზე“.

# იყო თუ არა რაკეტსაწინააღმდეგო სისტემაზე უარის თქმა



რიგითი პოლონელები და ჩეხები, როგორც ჩანს, მიიჩნევენ, რომ ირანული რაკეტები ევროპამდე ვერასდროს მიაღწევს. ამიტომაც ისინი თავიანთ ქვეყნებში თავდაცვის სისტემების განთავსებას დიდად არც არასოდეს უჭერდნენ მხარს. მაგრამ ბუეზინსკის თქმით, „ამ სახელმწიფოთა მთავრობებისთვის ეს ამერიკის სანდოობის ერთგვარ ტესტად იქცა. ადმინისტრაციას უფრო დელიკატურად უნდა გადაწყვიტა ეს საკითხი“.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ შეერთებული შტატების მთავრობის გადაწყვეტილების გამოცხადება საბჭოთა არმიის მიერ პოლონეთის დაფინანსების 70-ე წლისთავზე საკმაოდ არადიპლომატიური ნაბიჯი იყო. ამაზე განაწყენებულმა პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა არ უპასუხა არც ობამასა და არც ჰილარი კლინტონის ღამის სატელეფონო ზარებს და უკანასკნელთან საუბრის პატივი თავის საგარეო საქმეთა მინისტრს გადაულოცა.

ევროპელებისთვის, რა თქმა უნდა, რეალური საფრთხე რუსეთია. პოლონეთსა და ჩეხეთს სერიოზულად აღელვებთ ის, რომ ამერიკამ საგრძნობლად შეარბილა თავისი პოლიტიკა, რაც საშუალებას მისცემს მოსკოვს, გავლენა აღიდგინოს აღმოსავლეთ ევროპაზე. თავად რუსეთმა ვაშინგტონთან თანამშრომლობის განახლების უმთავრეს პირობად რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის საკითხის თავის სასარგებლოდ გადაწყვეტა აქცია. მაგრამ კუდი პოლიტიკის გატარება მხოლოდ იმიტომ, რომ ის რუსეთს არ მოსწონს, სულაც არ ნაადგება შეერთებული შტატების სტრატეგიულ ინტერესებს.

დაეხმარება კი ამის შემდეგ რუსეთი ამერიკას ირანის საკითხების მოგვარებაში? ალსანიშნავია, რომ თეირანთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა მას შეერთებული შტატებივით გადაუდებლად არ მიაჩნია. ამერიკასა და ირანს შორის კონფრონტაცია გაზრდის ნავთობის ფასებს, რაც ძალიან ცუდია აშშ-სა და ჩინეთისთვის, მაგრამ ერთობ ხელსაყრელია მოსკოვისთვის. ხოლო ძალის გამოყენების შემთხვევაში, ირანი ერაცსა და ავღანეთში აიღებს რევანშს და ამერიკულ ჯარებს დიდი ხნით ჩატოვებს ამ სამიში რეგონის ჭაობში.

თუმცა რუსებისგან რაღაც ხეირის დანახვა უკვე შესაძლებელია. მათ განზრახ შეაჩერეს საზენიტო სისტემა S-300-ის ირანისთვის მიწოდება (ხოლო უფრო თანამედროვე S-400-ები სულაც არ მიჰყიდეს). რუსეთმა საგრძნობლად გაამკაცრა ტონი თეირანთან მიმართებაში. გასულ კვირას მოსკოვში შევხვდი პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს და მან მისთვის ჩვეული მანერით, საზგასმით

# ნაღმდებო თავდაცვით ნორი ბაღაწყვეტილება?



განაცხადა, რომ ირანმა უნდა ითანამშრომლოს ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოსთან, რომ რუსეთი ყოველთვის ნებისმიერი სამხედრო-ბირთვული პროგრამის წინააღმდეგი იყო და რომ პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჟადის მიერ ისრაელთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებები „მიუღებელია“.

„რუსულ-ამერიკული ურთიერთობები უნდა ეფუძნებოდეს ჩვენს სურვილს, რომ გვექონდეს კარგი, პროდუქტიული და ორივე მხარისთვის სასარგებლო თანამშრომლობა, – ამბობს ბუეზინსკი, – თუ რუსეთს ვენესუელასთან ჩახუტება სურს, რა გაეწყობა, და თუ პოლონეთს, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, დასავლეთთან დაახლოება უნდა, ესეც არ უნდა გახდეს პრობლემა“. გრძელვადიან პერსპექტივაში რუსეთთან ნაყოფიერი თანამშრომლობა, შესაძლოა, დაძაბულობის შესუსტების წინაპირობა გახდეს ყველგან, დანყებული აღმოსავლეთ ევროპიდან.

რაკეტსანინაღმდეგო თავდაცვის საკითხში ობამას ადმინისტრაციამ სწორი და გონივრული სვლები გააკეთა. მაგრამ სამწუხაროდ, ეს სწორი ნაბიჯები არასწორი თანმიმდევრობით გადაიდგა. ეს შეცდომა აუცილებლად უნდა გამოსწორდეს და წინსვლა გაგრძელდეს. **■**

სტატია გამოქვეყნდა [www.newsweek.com](http://www.newsweek.com)-ზე



**მონინაღმდეგ  
ნილ გარდინერი**

საგარეო საკითხთა ექსპერტი და პოლიტიკური კომენტატორი

თეთრ სახლს ამერიკელი ხალხი ნამდვილად გუშინ დაბადებული ჰგონია, თუ ფიქრობს, რომ დაგვარწმუნა, თითქოს გასულ კვირას სარაკეტო თავდაცვის საკითხზე დათმობა რუსეთისგან ზენოლას არ უკავშირდება. რუსების მიერ დადგმულ საჭადრაკო დაფაზე ამერიკამ პოლონეთისა და ჩეხეთის რესპუბლიკის ლიდერები და მოქალაქეები უმნიშვნელო პააკებვით განირა. „სიბიესის“ ეთერში ბარაკ ობამამ ასე უპასუხა მათ, ვინც მის ბოლო გადანყვეტილებას აკრიტიკებს:

„ჩვენი ამოცანა რუსებთან მოლაპარაკება არ ყოფილა. რუსები არ განსაზღვრავენ ჩვენ თავდაცვით პოზიციებს. მივიღეთ გადაწყვეტილება, როგორ დავიცვათ უკეთ ამერიკელი ხალხი, ევრო-

პაში ჩვენი ჯარები და ჩვენი პარტნიორებიც. თუ ამის გვერდითი მოვლენა ის არის, რომ რუსეთი თავს ნაკლებად პარანოიდულად გრძნობს და მზად არის უფრო ეფექტური თანამშრომლობისთვის ირანის ბალისტიკური რაკეტებისა თუ ბირთვული იარაღის საფრთხესთან გასამკლავებლად, მაშინ, იცით რა, ეს ამ გადანყვეტილების ბონუსია“.

ობამას გამოსვლის შემხედვარეს გეგონებოდა, რომ ნევილ ჩემბერლენის აჩრდილი გამოჩნდა, რომელიც ამტკიცებდა, რომ მის პროკლამაციას „მშვიდობა ჩვენს დროში“ საერთო არაფერი ჰქონდა ნაციტური გერმანიის აგრესიასა და ჩაგვრასთან. როგორც უნდა ეცადოს ობამას ადმინისტრაცია, რომ ჩვენი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპელი პარტნიორებისადმი სამარცხვინო ლაღატი მის სასარგებლოდ შემოატრიალოს, ეს ისეთი მასშტაბის უკან დახევაა, რომელსაც 1930-იანი წლების შემდეგ არ მოვსწრებოვართ. ობამას მტკიცება, რომ მისი გადანყვეტილება მოსკოვის მხრიდან წინააღმდეგობით არ იყო განპირობებული, დაახლოებით ისეთივე დამაჯერებელი გახლდათ, როგორც გორდონ ბრაუნის განცხადება, რომ ლოკერბის ტერორისტის გათავისუფლებას ლეიბორისტების მთავრობასთან საერთო არაფერი ჰქონდა.

გასული რამდენიმე დღის განმავლობაში ობამას გუნდმა არაერთხელ გაავრცელა ცრუ ინფორმაცია, თითქოს სარაკეტო თავდაცვის ვალდებულებაზე უარი ირანის მხრიდან საფრთხეების გადაფასების და ალტერნატიული საზღვაო რადარების განვითარების საფუძველზე ითქვა. არადა, ეს მხოლოდ იმის ფასადია, რასაც ეს გუნდი მოსკოვთან ურთიერთობების „გადატვირთვას“ უწოდებს. სარაკეტო თავდაცვის თაობაზე გადანყვეტილების შეცვლა წმინდა პოლიტიკური სვლაა – მას არაფერი აქვს საერთო ამერიკის უსაფრთხოების ინტერესებთან.

თავდაცვითი სარაკეტო სისტემის იდეის დათმობა რუსული დათვის წინაშე ქედის მოხრაა, მისგან ბირთვული იარაღის შემცირებაზე შეთანხმების მისაღწევად. ბირთვული იარაღისგან გათავისუფლებული სამყაროს ობამასულმა მიაპიტურმა ხედვამ კი ამერიკის ნაციონალური უსაფრთხოებისა და ევროპელი პარტნიორების თავდაცვის ინტერესები გადანონა. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ბოლო დროს ვლადიმირ პუტინი კატა ჩემპირივით სულ ილიმება.

როგორც სარაკეტო თავდაცვის შესახებ გადანყვეტილებამ დაგვანახა, პრეზიდენტი ობამა „ჩაცვიკულია“ დიქტატორულ რეჟიმებთან და მტრულად განწყობილ ძალებთან „ჩართულობის სტრატეგიაზე“, იქნება ეს ირანი, ვენესუელა, ჩრდილოეთ კორეა, რუსეთი, ბირმა თუ სუდანია. ეს ყველაფერი გამოწვეულია ამერიკის გლობალური ძალაუფლებისადმი ზიზღით და იმის რწმენით, რომ თავისუფალი სამყაროს ლიდერმა განუწყვეტილო ბოდიშები უნდა იხადოს მისი ქვეყნის წარსულისთვის. მსოფლიო სცენაზე სუპერ-ძალის მიერ ასეთი თავმდაბლობის გამოჩენა კი ყველაზე მოკლე გზა ამერიკის დასუსტებისკენ.

თავისუფლებისთვის მეტროძოლა დიდმა პოლონელმა, ლეს ვალენსამ კარგად თქვა, როცა თეთრი სახლისგან მოსკოვისთვის ამ დათმობის შესახებ ჰკითხეს: „ამერიკელებს მხოლოდ საკუთარი ინტერესები ადარდებთ, ყველა დანარჩენის ხარჯზე“. ბარაკ ობამამ ამერიკის პარტნიორები მიატოვა და მტრებთან და სტრატეგიულ კონკურენტებთან საერთო ენის გამოხატვას შეუდგა. ობამას ადმინისტრაციის ეს გადანყვეტილება ამერიკის იმიჯს ევროპელების მრავალი თაობის თვალში მიაყენებს ჩრდილს. ესაა მკაფიო გზავნილი – ამერიკა მის მეგობრებს ყოველთვის მიატოვებს და მტრებს მინამდევ თავს დაუხრის, და ამ ყველაფერს ობამას ახალი დოქტრინა ერქმევა. **■**

სტატია გამოქვეყნდა [www.guardian.co.uk](http://www.guardian.co.uk)-ზე



## პოლიტიკა

# ამბოხიდან დაუმორჩილებლობამდე

მუხროვანის აჯანყების ერთ-ერთმა მთავარმა ფიგურამ გიორგი ღვალაძემ ბოლო სასამართლო სხდომაზე აღიარა, რომ მისი ნაამბობი რუსეთიდან დაფინანსებისა და ოპოზიციონერი პოლიტიკოსების მხარდაჭერის შესახებ „ლეგენდა“ გახლდათ და სიმართლესთან საერთო არაფერი ჰქონდა.

ოლესია ვართანიანი



ილუსტრაცია: მირიამ მასაგაშვილი (სამაგაშვილო პრინციპლზე)

■ მარცხნიდან პირველი, გიორგი ღვალაძე სასამართლო პროცესზე



ღვალაძე აჯანყების ორგანიზებაში საკუთარ წვლილზე ექვსი საათის განმავლობაში ლაპარაკობდა. სასამართლო სხდომა ისე დამთავრდა, რომ მან ადვოკატების ყველა შეკითხვაზე პასუხის გაცემაც კი ვერ მოასწრო.

ხუთი თვე პატიმრობაში ნამყოფი, შესამჩნევად გამხდარი და უღვაშებმოშვებული ღვალაძე ჩვენების მიცემისას სკამზე მთელი ტანით მოხრდილი იჯდა, თავი მუხლებთან ისე ახლოს ჰქონდა მიტანილი, რომ მის სახეს მოპირდაპირე მხარეს მჯდომი მოსამართლეც კი ვერ ხედავდა.

ღვალაძის ჩვენების მოსმენისას დარბაზს დროდადრო გადაუვლიდა დამსწრეთა ჩურჩულის და მსჯავრდებულთა აღმოფრთხილების ნამოძახილების ტალღა, რასაც აუსცილებლად მოჰყვებოდა მოსამართლის ჩაქუჩის რიტმული ხმა, რომელიც სიჩუმისკენ მოუწოდებდა.

ბრალდებულები და მათი ნათესავები თითის საფეთქელთან მიტანით გამუდ-

### ვიდეორჩანაწერში ღვალაძის კომენტარებით

ღვალაძეს პროკურატურის „ოქროს მონქს“ ეძახიან იმ როლისთვის, რაც მან ამბოხების საქმის გამოაშკარავებაში შეასრულა.

5 მაისს, იმ დროს, როდესაც მუხროვანის ბაზაზე ჯერ კიდევ აჯანყება მიმდინარეობდა, შსს-მ წარმოადგინა ფარული კამერით გადაღებული რამდენიმე ოპერატიული ჩანაწერი. ამ კადრებში ღვალაძე გადატრიალების მომავალ მონაწილეებს დანვრილებით აცნობს სცენარს ძირითადი ადმინისტრაციული შენობების ალყაში მოქცევისა და ხელისუფლების ხელში ჩაგდებას შესახებ, ასევე დამკვეთებსა და იდეის ავტორებზე ლაპარაკობს.

ვიდეორჩანაწერში ღვალაძე ამბობს, რომ მუხროვანის ბაზიდან უნდა გამოვიდეს მძიმე ტექნიკა, რომელსაც უნდა შეუერთდნენ შეიარაღებული სპეცდა-

ექვი ნაწილობრივ გამართლდა. ღვალაძის თქმით, ოპერაციის გეგმის წვრილმანები, რომელზეც ის ოპერატიულ ვიდეორჩანაწერებში ლაპარაკობს, მას ოთანაძემ უამბო, ზოგი კი თავად მოიგონა მათთვის, ვის გადაბირებასაც აპირებდა. გამოგონილ ისტორიებს ღვალაძემ „ლეგენდები“ უწოდა.

„მე კონკრეტული ამოცანა მქონდა, რომელშიც არ შედიოდა იმის გარკვევა, თუ ვინ რას აკეთებდა“, – თქვა ღვალაძემ.

მისი მტკიცებით, ოთანაძისგან მიღებული დავალების მიხედვით, მას მხოლოდ 10-მდე ადამიანის გადაბირება ევალებოდა. ეს ხალხი მათ გადატრიალებაში უნდა დახმარებოდა.

მომხრეების გადაბირებისთვის მზადების დროს ოთანაძემ საკუთარი მანქანა გაყიდა, დაახლოებით სამი ათასი დოლარი ღვალაძეს გადასცა პირადი ხარჯებისთვის, და საქმეში მონაწილე ბიჭების

ღვალაძის თქმით, ოპერაციის გეგმის წვრილმანები, რომელზეც ის ოპერატიულ ვიდეორჩანაწერებში ლაპარაკობს, მას ოთანაძემ უამბო, ზოგი კი თავად მოიგონა მათთვის, ვის გადაბირებასაც აპირებდა. გამოგონილ ისტორიებს ღვალაძემ „ლეგენდები“ უწოდა.

მებით ანიშნებდნენ ერთმანეთს, – „ეს კაცი არანორმალურია“. ადვოკატებმა ამ პროცესამდეც ორჯერ მოსთხოვეს მოსამართლეს ღვალაძის შეურაცხადობასთან დაკავშირებით ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ღვალაძემ წინასწარი გამოძიებისას ოთხჯერ შეცვალა ჩვენება.

დარბაზის ასეთი დამოკიდებულების მიუხედავად, ღვალაძის ხმა მტკიცე და განონასწორებელი იყო. მას არ გამოორჩენია არც ერთი დეტალი, ზოგჯერ დანვრილებით აღწერდა იმ ავეჯსაც კი, რომელიც საიდუმლო შეხვედრების დროს შენიშნა, სიტყვასიტყვით იხსენებდა დიალოგებს და იმ კერძებს, რასაც ის და დანარჩენი ორგანიზატორები რესტორნებში ერთად ყოფნისას მიირთმევდნენ.

ღვალაძე პირველია და, შესაძლოა, ერთადერთიც აღმოჩნდეს გადატრიალების მოწყობის მცდელობაში მთავარ ეჭვმიტანილთა შორის, ვინც ბოლომდე აღიარა დანაშაული და ძიებასთან თანამშრომლობას დათანხმდა. დანარჩენმა რამდენიმე ეჭვმიტანილმა განაცხადა, რომ არ სურთ ჩვენების მიცემა.

ნიშნულების რაზმელები ორთაჭალის რეინჯერების ბატალიონიდან და გორის ბაზის ჯარისკაცები.

ღვალაძის მტკიცებით, საქმის კურსში იყვნენ და ამბოხებულებს მხარს უჭერდნენ ოპოზიციის ლიდერები, ასევე დაგეგმილი იყო სამხედრო დახმარება „რუსი გენერლის“ მხრიდან, რომელსაც ის პირადად შეხვდა. ბოლოს კი, ღვალაძე თანამოსაუბრეებს ეუბნება, რომ ამ ყველაფერში მათ ფულს გადაუხდიან, რომელიც რუსეთიდან მაშინვე ჩამოვა, როგორც კი ოპერაცია ჩატარდება.

ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩინოვნიკები და თავად პრეზიდენტიც მაშინვე ალაპარაკდნენ ამბოხებასთან ოპოზიციისა და რუსეთის კავშირზე, ასევე ნატო-ს ეგიდით დაგეგმილი სამხედრო სწავლებების ჩაშლის გეგმაზე.

თუმცა, თავიდანვე გაჩნდა ეჭვი, რატომ საუბრობდა ღვალაძე, ადამიანი, რომელიც 10 წელი სპეცსამსახურების თანამშრომელი იყო, ასე გახსნილად და დანვრილებით ძალაუფლების ხელში ჩაგდების სერიოზული ოპერაციის შესახებ.

სასამართლო მოსმენების დროს ეს

დასახმარებლად.

„ისე უნდა მექნა, რომ იმით მაქსიმალურად დაეჯერებინათ ჩემთვის და ბოლომდე გამოგვეყოლოდნენ“, – თქვა ღვალაძემ.

მისი თქმით, სწორედ ამ მიზნით მოიგონა მან ხელისუფლების დამხობის შემთხვევაში ასლან აბაშიძის, ლევან პირველის და რამდენიმე სხვა პირის მოსალოდნელი ჩამოსვლის ამბავიც.

ღვალაძემ თქვა, რომ „მეტი დამაჯერებლობისთვის“ მან ის „ლეგენდაც“ შეთხზა, თითქოს მათ ემხრობოდნენ ცნობილი გადამდგარი გენერლებიც – თევზაძე, ყარყარაშვილი და სხვები.

„ლეგენდებს“ მიაკუთვნა ღვალაძემ ოპოზიციის ლიდერების მიერ ამბოხებულთა მხარდაჭერა. მან სასამართლოში განაცხადა, რომ არასოდეს შეხვედრია რუს გენერალს. ღვალაძის განცხადებით, ტყუილი იყო რუსეთიდან მომავალი ფულის ამბავიც.

თუმცა, მეორე მხრივ, ღვალაძეს არ უარუყვია, რომ აჯანყების ორგანიზატორებს, იმ შემთხვევაში, თუკი დამოუკიდებლად ვერ შეძლებდნენ გადატრიალების მოხდენას, 5000 რუსი ჯარისკაცის შე-

მოსვლის იმედი ჰქონდათ.

„ეს ოთანადემ მითხრა, და საფუძველი არ მქონდა, ეჭვი შემპარვოდა“, – თქვა ლვალაძემ.

ამაზე ოთანადეს, რომელიც ლვალაძის მთელ გამოსვლას ღიმილით უსმენდა, ხმამაღლა გაეცინა, ხელები გაშალა და დაიყვირა: „აბა, სად იყო ეს 5000 ჯარისკაცი? საიდან მოიტანა?“

ლვალაძის სიტყვებით, ყველაფერი 4 მაისს, შუალამეს უნდა დაწყებულიყო. ის სწორედ მაშინ დააპატიმრეს, როდესაც მიკროავტობუსით აპირებდა გასვლას მოხალისეების შესაგროვებლად და მუხროვანისკენ დასაძვრელად. სასამართლო პროცესზე ლვალაძემ თქვა, რომ თბილისის საკვანძო შენობების ალყაში მოქცევის გეგმა და ხელისუფლების ხელში ჩაგდება მაშინ სრულიად შესაძლებლად ეჩვენებოდა.

**რომორ ჩაიშალა გეგმა**

საბრალდებო დასკვნის თანახმად, მარტის ბოლოს სამართალდამცავი ორგანოების ორმა ყოფილმა თანამშრომელმა შსს-ს აცნობა, რომ მათ ლვალაძემ სახელმწიფო გადატრიალების მოხდენაში დახმარება სთხოვა.

როგორც პროკურორის ნათქვამიდან ჩანს, შსს ამ დროიდან უთვალთვალეზდა ლვალაძის ყველა ნაბიჯს, ისმენდა მის სატელეფონო საუბრებს, მათ შორის – ოთანადესთანაც, და მათი გეგმების საქმის კურსში იყო.

„გადაბირებულთა“ ჯგუფში შეეგზავნეს სპეციალური აგენტები, რომელთა დახმარებითაც გაკეთდა ვიდეოჩანანერები.

თავად ლვალაძემ სასამართლო პროცესზე აღნიშნა, რომ გადატრიალების ორგანიზატორები ყოველთვის ცდილობდნენ, ფრთხილად ემოქმედათ, შეხვედრების დროს ტელეფონებს თიშავდნენ, ხოლო ურთიერთობისას საგანგებო კოდურ სიტყვებს იყენებდნენ. მაგალითად, „პახმელიაზე ვარ“ ნიშნავდა – „ფული მჭირდება“.

**სწრაფი აჯანყება**

შსს-მ ლვალაძე 4 მაისს, ღამის 11-ზე დააკავა, ერთი საათით ადრე დაგეგმილ აჯანყებამდე. ამბოხი ისე ჩაიშალა, რომ არც დაწყებულა. ორგანიზატორებმა სპონტანური გადაწყვეტილება მიიღეს და ამბოხი დაუმორჩილებლობად გადაიქცა.

დაკითხულ მსჯავრდებულთა ნაამბობიდან გამოდის, რომ უმრავლესობამ არაფერი იცოდა სახელმწიფო გადატრიალების გეგმის შესახებ

5 მაისს, დილის 5-6 საათზე მათ დაურეკა ლევან ამირიძემ, ორთაჭალის რეინჯერების სპეციალური დანიშნულების ბატალიონის ერთ-ერთმა მეთაურმა, რომელმაც უთხრა, რომ მუხროვანში აჯანყება და მხარდაჭერა სთხოვა.

ნაწილმა დაუმორჩილებლობის გეგმის შესახებ ერთი-ორი საათით გვიან საგანგებოდ გამართულ კრებაზე მუხროვანის ბაზის მეთაურისგან, ვიცე-პოლკოვნიკ შოთა გორგიაშვილისგან შეიტყო. ზოგიერთები ამბობენ, რომ გორგიაშვილი მათ დაუმორჩილებლობის გამოცხადებას აჯანყებამდე რამდენიმე დღით ადრე სთავაზობდა და ამაში ფულის გადახდას ჰპირდებოდა.

გამოითქვა დაუმორჩილებლობის გამოცხადების სხვადასხვა მიზეზები. რამდენიმე მსჯავრდებულმა თქვა, რომ ამბოხის მიზეზი ორთაჭალის ბატალიონის შესაძლო დამლა გახდა. სხვები ამბობდნენ, თითქოს გორგიაშვილმა მათ აცნობა, რომ პროტესტს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს დაგეგმილ აღლუმს უცხადებდნენ. ზოგიერთების თქმით, თითქოს რუსების თავდასხმას ელოდნენ და თავდაცვისთვის ემზადებოდნენ. ნაწილმა განაცხადა, რომ საერთოდ არ იცოდნენ,

რის წინააღმდეგ აჯანყდებოდნენ, და მხოლოდ მეთაურის პატივისცემის გამო გადანყვიტეს შეერთებოდნენ აჯანყებას.

მხოლოდ ერთმა მსჯავრდებულმა – ორთაჭალის ბატალიონის წევრმა, ზაზა მუშუკუდიანმა განაცხადა, თითქოს ამირიძემ მას აპრილში უთხრა, რომ პრეზიდენტისთვის გადადგომის ულტიმატუმის წაყენებას და ნატო-ს სწავლებების ჩაშლას გეგმავდა.

მსჯავრდებულთაგან მიღებული ჩვენებების მიხედვით ირკვევა, რომ დაუმორჩილებლობის პროცესი ქაოტური იყო და ყველაფერი რამდენიმე საათში დასრულდა.

ორთაჭალის ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეებმა თქვეს, რომ მათ სცადეს ყაზარმაში შენახული იარაღის გატანა და სატვირთო მანქანების დაქოქვა. თუმცა ეს გეგმა ჩაიშალა, რადგან ბევრმა, ვინც თავიდან ამ გეგმის მომხრე იყო, მასზე უარი თქვა. მუხროვანში ტაქსით გაემგზავრა დაახლოებით 10 სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული, შეუიარაღებელი ადამიანი. მათი ჩასვლიდან ნახევარ საათში აჯანყება დასრულდა.

ამ დროს მუხროვანის ბაზაზე უკვე გაიცა თავდაცვის რეჟიმზე გადასვლის

**ლვალაძის ნარსული**

მისი ნათესავები ამბობენ, რომ მას საკუთარ მონოდეზად მოთხრობების წერა მიაჩნია, და ყოველთვის სიამოვნებას ანიჭებდა ამბების შეთხზვა. ლვალაძის მოთხრობების ნახვა საიტზე [literatura.ge](http://literatura.ge) შეიძლება.

თავად ლვალაძემ სასამართლო პროცესების დროს ახსენა, რომ ჟურნალისტიკის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული, მაგრამ შეგნებული ცხოვრების დიდი ნაწილი სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობაში აქვს გატარებული.

90-იანი წლების პირველ ნახევარში ის ანტიტერორისტული ორგანიზაცია „ომეგას“ მეთაური იყო და საგანგებო სწავლება აშშ-ში გაიარა. ლვალაძემ რამდენიმე წელი გაატარა თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის დეპარტამენტში.

2000 წელს ლვალაძე ავარიამი მოხვდა, თავის ძლიერი დაზიანება მიიღო და მეორე ჯგუფის ინვალიდი გახდა. მაშინ მას სამხედრო სამსახურის მიტოვება მოუხდა.

ამის შემდეგ ლვალაძე რამდენი-

მე წელიწადს პოლიციის აკადემიის სტუდენტებს ცეცხლსასროლი იარაღის მოხმარებას ასწავლიდა და ამ საგნის სახელმძღვანელოს ავტორიცი გახდა.

„იმის გამო, რომ ყოველთვის მხარს ვუჭერდი ოპოზიციურ ძალებს და, მსუბუქად რომ ვთქვა, ხელისუფლების წინააღმდეგი ვიყავი, სამუშაო ადგილი სამჯერ დავკარგე“, – თქვა ლვალაძემ სასამართლოზე.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ის ერთი სამსახურიდან მეორეში გადადიოდა და ცდილობდა, ერჩინა თავისი დიდი ოჯახი – ავადმყოფი მშობლები და ორი მცირეწლოვანი შვილი. ცოტა ხნით ადრე, ვიდრე გადატრიალების მცდელობისთვის დააკავედნენ, ლვალაძე ბანკის მცველად მოეწყო.

მისი სიტყვებით, გაზაფხულის დამდეგს ბანკიდან შესვენებაზე გასულს ძველი თანამშრომელი, კობა ოთანადე შეხვდა. იმავე დღეს ლვალაძე მას გადატრიალების ორგანიზებაში დახმარებაზე დათანხმდა.

ბრძანება, ჯარისკაცებს ავტომატები დაურიგეს და ბაზის პერიმეტრზე გახალაგეს. გამოიყვანეს სამი „ბეტერი“, რომლებიც არ იყო მოყვანილი სამხედრო მზადყოფნაში და მათზე არ ეწყო ყუმბარები. სამხედრო ტექნიკის ბაზის გარეთ გაყვანის ბრძანება არ გაცემულა.

იმ მსჯავრდებულთაგან, რომლებმაც ჩვენება მისცეს, ორი ალექსეევკის სამხედრო-საჰაერო ბაზის ვერტმფრენის პილოტია. მათი თქმით, ამირიძემ მათ დილით ადრე დაურეკა და მუხროვანში ჩაფრენა სთხოვა. მეთაურს არ დაუკონკრეტებია, თუ რისთვის იყო ეს საჭირო. როდესაც პილოტები ვერტმფრენებთან მივიდნენ, ამირიძემ უთხრა, რომ ეს უკვე აღარ იყო აუცილებელი.

მუხროვანის ალყა მას შემდეგ მოიხსნა, რაც ჯარისკაცებში გავრცელდა ტელეარხებით გადაცემული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა იმ დროს მათ ბაზაზე. სამხედროებმა პოზიციების დატოვება და იარაღის ჩაბარება დაიწყეს.

**კობალაძის საქმე**

მუხროვანის სასამართლო პროცესის

მხოლოდ ღვალიძის ჩვენება აქვს. მათი აზრით, პროკურატურა ცდილობს, ამ ადამიანის ჩვენებები კობალაძის გასასამართლებლად გამოიყენოს, ამიტომაც ყველანაირ ზენოლას ახდენს მასზე. ისინი ამ საქმის პოლიტიკურ მიზეზებზე და სააკაშვილის განცხადებაზე მიუთითებენ.

ერთ-ერთ სხდომაზე ღვალიძისთვის ადვოკატის მოულოდნელი შეცვლაც დაცვამ პროკურატურის მხრიდან პირდაპირ ჩარევად შეაფასა. ღვალიძის ჩვენებები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი ცვლილება მის სიტყვებსა და ქმედებებში, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებაშიც კი, ადვოკატების მრავალსაათიანი მსჯელობის საგანი ხდება.

ღვალიძემ სასამართლო ჩვენებებში თქვა, რომ გადატრიალების მზადების ერთ-ერთ საორგანიზაციო შეხვედრას აპრილში კობა კობალაძეც ესწრებოდა. კობალაძე კი ამბობს, რომ ღვალიძე პირველად სასამართლო სხდომაზე ნახა.

კობალაძის ადვოკატების თქმით, ნინასწარი ძიების დროს ღვალიძემ უკვე ოთხჯერ შეცვალა ჩვენება კობალაძეს-

კიდევ ერთ სკანდალად იქცა ღვალიძის ხელით დანერგილი წერილი, რომელშიც ის აღიარებს, რომ აქამდე მის მიერ კობალაძის წინააღმდეგ მიცემული ყველა ჩვენება სიცრუეა, და რომ თუკი ის მაინც სხვა ჩვენებას მისცემს, ეს მხოლოდ მუქარისა და ზენოლის შიშით მოხდება.

თავდაპირველად ღვალიძემ თქვა, რომ წერილი მისი არ არის. მაგრამ მას შემდეგ, რაც კალიგრაფიული ექსპერტიზა დაინიშნა, აღიარა, რომ მართლაც დანერა ეს წერილი, ოღონდ „სიტუაციის ზენოლის ქვეშ“.

ღვალიძის სიტყვებს, ერთი მხრივ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კობალაძისთვის, რომლის ამბოხში მონაწილეობა მხოლოდ ღვალიძის ჩვენებებიდან იკვეთება. მეორე მხრივ, მისი შეცვლილი ჩვენებები გავლენას ვერ ახდენს დანარჩენი ბრალდებულების მიმართ წაყენებულ საქმეებზე. „ლეგენდები“ – რუსული ფული, ოპოზიციის კავშირი ამ ამბოხთან და შევარდნაძის მმართველობისდროინდელი ოდიოზური პოლიტიკოსების დაბრუნება პროკურა-

**ღვალიძის შეცვლილი ჩვენებები გავლენას ვერ ახდენს დანარჩენი ბრალდებულების მიმართ წაყენებულ საქმეებზე. „ლეგენდები“ – რუსული ფული, ოპოზიციის კავშირი ამ ამბოხთან და შევარდნაძის მმართველობისდროინდელი ოდიოზური პოლიტიკოსების დაბრუნება პროკურატურის ბრალდებების ნუსხაში არც კი მოხვედრილა.**

ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური ნაწილია გადამდგარი გენერლის, კობა კობალაძის საქმე. მას ბრალად ქვეყანაში გადატრიალების მოწყობის მომზადება და სახლის ჩხრეკისას ნაპოვნი იარაღის უკანონოდ შენახვა ედება.

ის აჯანყების დღეს ტელეკამერის წინ დააპატიმრეს. მისი დაპატიმრებიდან რამდენიმე საათში მუხროვანის ბაზაზე მყოფმა მიხეილ სააკაშვილმა მისი გვარის ხსენებისას თქვა: „გენერალი კობალაძე მისახედი იყო ბევრად უფრო ადრე. ამ ხალხს ბოროტების გარდა საქართველოსთვის არაფერი არ გაუკეთებია. ესენი არიან ჩამოყალიბებული თავის მენტალიტეტით და აქვთ აბსოლუტურად კრიმინალური გადახრა. და ეს ყველამ ვიცოდით... ამ ხალხს არ უნდა ებოგინა თავისუფლად ამდენი ხანი საქართველოში“.

კობალაძეს ჰყავს ოთხი ადვოკატი, რომლებიც ერთხმად ამტკიცებენ, რომ მათი კლიენტის წინააღმდეგ გამოძიებას

თან შეხვედრის დროსა და ადგილთან დაკავშირებით.

ღვალიძის ჩვენების ვიდეოჩანაწერში, რომელიც შსს-მ აჯანყების დღეს გაავრცელა, ის ამბობს, რომ შეხვედრა მცხეთაში შედგა, და რომ გადატრიალების „იდეოლოგი“ კობალაძე იყო, დანარჩენი მთავარი პირები კი – უბრალოდ შემსრულებლები.

გასულ კვირას სასამართლოსთვის მიცემულ ჩვენებაში ღვალიძეს კობალაძე, როგორც დაგეგმილი ოპერაციის ავტორი, აღარ უხსენებია.

კობა ოთანაძემ, რომელიც თავიდანვე კატეგორიულ უარს აცხადებდა სასამართლოსთვის რაიმე ჩვენების მიცემასა და ძიებასთან თანამშრომლობაზე, გასულ კვირას საგანგებოდ განაცხადა, რომ კობალაძე უკანასკნელად 9 ნლის წინ ნახა, რაც იმას ამტკიცებს, რომ ღვალიძე ტყუის, როდესაც კობალაძესთან ერთობლივ შეხვედრებზე საუბრობს.

ტურის ბრალდებების ნუსხაში არც კი მოხვედრილა.

„როდესაც ჩემს თავს ამდენი რამ ხდება და შეიძლება ჩემს ოჯახსაც შეეხო – სხვა რა შემიძლია გავაკეთო?!“ – თქვა ღვალიძემ და ისევ ალაპარაკდა გადატრიალების მომზადებაში კობალაძის მონაწილეობაზე.

„თქვენი ოჯახი საფრთხეშია?“ – ჰკითხა მას კობალაძის ადვოკატმა, გელა ნიკოლაიშვილმა.

„საკუთარი ყურებით ვისმენ და ვგრძნობ საფრთხეს“, – უპასუხა ღვალიძემ.

„კონკრეტულად ვინმე ემუქრება თქვენს ოჯახს?“ – ისევ ჰკითხა ნიკოლაიშვილმა.

„თავს შევიკავებ“, – თქვა ღვალიძემ და თავი დახარა. ■

**რეპორტაჟები სასამართლო პროცესებიდან, იხილეთ [www.liberali.ge-ზე](http://www.liberali.ge-ზე)**





ფოტო: ლ. ხუციანთაძე

■ გიგი უგულავას შეხვედრა თბილისის მოსახლეობასთან, 2009

თვითმმართველობის არჩევნები

# ოპოზიციის თბილისის მერობის ერთიან კანდიდატს ეძებს

ოპოზიციის ლიდერები თანხმდებიან, რომ მერის არჩევნებში გამარჯვების მეტი შანსი აქვთ, თუკი ერთიან კანდიდატს შეარჩევენ. მოახერხებს თუ არა ოპოზიცია ამას?

ნინო ყიყილაშვილი

„საქართველოში პოლიტიკური პროცესები „ახალ ფაზაში შედის“, – ჯერ კიდევ 17 ივნისს განაცხადა ირაკლი ალასანიამ, ვაშინგტონში ბრუკინგის ინსტიტუტში შეკრებილი საზოგადოების წინაშე. „ალიანსი საქართველოსთვის“ ახალი ფაზა სექტემბერში დაიწყო. ქუჩის აქციებში მონაწილე პოლიტიკური ერთეულებიდან თვითმმართველობის ვადამდელ არჩევნებში მონაწილეობაზე ოფიციალური თანხმობა პირველმა, და ჯერჯერობით ერთადერთმა, ირაკლი ალასანიას გუნდმა განაცხადა.

თბილისის მერის პოსტისთვის ბრძოლას ალიანსი ახალი

წევრის, ყოფილი სახალხო დამცველის, სოზარ სუბარის კანდიდატურის წარდგენით აპირებს. სუბარი, რომელიც „ალიანსი საქართველოსთვის“ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურაა, ალასანიამ ასე დაახასიათა: „პრინციპული, სამართლიანობისთვის მებრძოლი და ძალიან დიდი ავტორიტეტის მქონე პიროვნება“. ამ ჩამონათვალში, სავარაუდოდ, ალიანსისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ავტორიტეტია. სოციოლოგიური გამოკვლევების თანახმად, ოპოზიციურ ლიდერებს შორის ნდობის რეიტინგში ყველაზე მონინავე პოზიცია სწორედ

სოზარ სუბარს უკავია. მას ირაკლი ალასანიაც კი რამდენიმე ნიშნულით ჩამორჩება. სიაში მეორე „ფორუმელი“ გუბაზ სანიკიძეა.

ივლისში ჩატარებული კვლევის თანახმად, დედაქალაქის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა თბილისის მერის არჩევნებზე წასვლას აპირებს. მათი 79% ფიქრობს, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციამ მონაწილეობა უნდა მიიღოს მერის არჩევნებში.

თბილისელი ამომრჩეველი აღარ ემხრობა ბოიკოტს. ამიტომ, ამ დრომდე პროტესტის უკიდურეს ზღვარზე მყოფი პოლიტიკური ძალები ბრძოლის ახალ მეთოდებს ეძებენ. სავარაუდოდ, ისინიც კი, ვინც თვითმმართველობის არჩევნებს ხელისუფლების „ავანტიურად“ მიიჩნევენ, საკუთარ კანდიდატურებს მაინც ეძებენ. მათ შორის უმრავლესობამ იცის, რომ თბილისშიც კი, ნაციონალური მოძრაობის ელექტორატს ოპოზიციის მხარდამჭერების რაოდენობა მხოლოდ ერთიანი კანდიდატით გამოსვლის შემთხვევაში გადააჭარბებს. თბილისის მერის პოსტზე ოპოზიციის ერთიანი კანდიდატის გამოსავლენად ყველაზე სამართლიანი გზა შეიძლება პრაიმერი, ანუ წინასწარი არჩევნები ყოფილიყო.

**პრაიმერი**

პრაიმერის ჩატარების მომხრეები მიიჩნევენ, რომ წინასწარ არჩევნებში დამარცხებული კანდიდატების მიერ გამარჯვებულის მხარდაჭერას ოპოზიციის ბუნებრივი კონსოლიდაცია მოჰყვება. ინტერპარტიული პრაიმერის იდეა „ახალ მემარჯვენებსა“ და „კონსერვატორებს“ ეკუთვნით.

პრაიმერის პროექტის ავტორები დარწმუნებულნი არიან, რომ ხალხიც და საერთაშორისო ორგანიზაციებიც ოპოზიციისგან გამარჯვებაზე გათვლილ ახალ გეგმებს ელიან. პრაიმერის ჩატარების ორი მთავარი პირობაც სწორედ ამომრჩევლის აქტივობა და საერთაშორისო დონორების ფინანსური მხარდაჭერაა. უკვე დათვლილია შიდა ოპოზიციური არჩევნებისთვის საჭირო თანხა – დაახლოებით 1 მლნ ლარი.

დავით გამყრელიძე ამბობს, რომ საერთაშორისო დონორებთან წინასწარი კონსულტაციები დაწყებულია და ფინანსების მოპოვება რეალურია. გამყრელიძისთვის ამ ეტაპზე უფრო რთული აღმოჩნდა პოლიტიკურ პარტნიორებთან და კონკურენტებთან შეთანხმების მიღწევა.

„ახალი მემარჯვენების“ ლიდერს პრაიმერის იდეის ყველაზე კატეგორიული მონინალმდეგეები საკუთარ ალიანსში ჰყავს. რესპუბლიკელი დავით ბერძენიშვილი დარწმუნებულია, რომ პრაიმერის ჩატარებას აზრი არ აქვს: „შეთანხმება არ შედეგება, რადგან ძალიან დიდი ალბათობაა, რომ ყველა კვალიფიციური ოპოზიციური სუბიექტი პრაიმერიში მონაწილეობას არ დათანხმდება. ეს კი პროექტს საფუძველშივე აზრს აკარგინებს“. რესპუბლიკელები ფიქრობენ, რომ, როდესაც ერთი რომელიმე კანდიდატი საკმარისად ძლიერია, სხვებისთვის ბრძოლაში ჩართვა აზრს ისედაც კარგავს.

„ახალი მემარჯვენებისა“ და „რესპუბლიკელების“ განსხვავებული შეხედულებების გამო, პრაიმერის პროექტის ერთმნიშვნელოვნად მოწონებას ან უარყოფას ერიდებიან ალასანიას გუნდიც და მისი ახალი წევრი სოზარ სუბარიც. თუმცა ყოფილი სახალხო დამცველი საკითხისადმი სკეპტიკურობას ავლენს: „როცა პრაიმერი ტარდე-

### თბილისის მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები

საველე სამუშაოები: 10-17 ივლისი, 2009 წ.

► იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება დაიწინაურდა თბილისის მერის ვალდებულ არჩევნებს, მიიღებთ თუ არა მონაწილეობას ამ არჩევნებში?

	%
მივიღებ მონაწილეობას	78.5
არ მივიღებ მონაწილეობას	16.1
მიჭირს პასუხის გაცემა	5.4

► უნდა დაასახელოთ თუ არა არასაპარლამენტო ოპოზიციის თანხის კანდიდატები თბილისის მერის ვალდებულ არჩევნებში?

	%
დიახ, უნდა დაასახელოთ	78.6
არა, თბილისის მერის არჩევნებში არასაპარლამენტო ოპოზიციის მონაწილეობა არ უნდა მიიღოს	11.3
მიჭირს პასუხის გაცემა	10.1

► ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელ კანდიდატს დაუჭარბოთ მხარს თბილისის მერის ვალდებულ არჩევნებში?

	%
უბუღაშვილი გიგო	16.2
სუბარი სოზარ	12.9
ნათელაშვილი შალვა	11.5
ალასანია ირაკლი	9.7
სუბალიანი კობა	9.4
ბაჩიაშვილი ლევანი	9.1
შავიშვილი რაჭო	6.2
თარბაშვილი გიორგი	3.8
არსკარის ამბოხი	5.7
მიჭირს პასუხის გაცემა	15.4

*შენიშვნა: მონაცემები ეხება მათ, ვინც აპირებს არჩევნებში მონაწილეობის მიღებას – ესაა გამოკითხულთა 78.5%*

სოციოლოგიური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი  
შერჩევითი ერთობლიობა: 800 რესპონდენტი  
ცდომილება: 3.5% (საწოდობის 95%-იანი დონისთვის)



► ირაკლი ალასანიას და სოზარ სუბარი, 2009

ბა აშშ-ში, იქ ამომრჩევლებმა იციან, რომ ხმას აძლევენ საუკეთესო კანდიდატს რესპუბლიკელთა, ან დემოკრატ-თა შორის. საქართველოში ცოტა გაუგებარია, ვისი მხარ-დამჭერები მოდიან პრაიმერიზე და საერთოდ რა მიზნები აქვთ მათ“.

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე მერის პოსტის-თვის ბრძოლაში ოპოზიციის ერთიანობის აუცილებლობას ვერ ხედავს. ამბობს, რომ თვითმმართველობის არჩევნე-ბში და, მით უმეტეს, პრაიმერიში ჩართვას არ აპირებს – არ ესმის, რატომ უნდა მისცეს მისმა ამომრჩეველმა ხმა სხვას და საერთოდ, 9 თვე მხოლოდ თბილისის მერის შე-ცვლის მოლოდინი არასწორ ტაქტიკად მიაჩნია.

სექტემბრის ბოლოსთვის არჩევნების მიმართ უკიდურე-სად სკეპტიკურად განწყობილთა შორის არიან – ლევან გაჩეჩილაძე, შალვა ნათელაშვილი და სალომე ზურაბიშვი-ლი. საკუთარი პოზიცია არ გამოუხატავს „ეროვნულ ფო-რუმს“, თუმცა ცნობილია, რომ მერობის სურვილს გუზაზ სანიკიძეც გამოთქვამს.

თუკი ოპოზიციური პარტიების ნაწილი ბოიკოტს გა-ნაგრძობს, ეს პრაიმერის იდეის ავტორებისთვის შემა-ფერხებელი არ იქნება. დავით გამყრელიძე ამბობს, რომ შიდა არჩევნების ჩატარება ორი ძლიერი კონკურენტის პირობებშიც კი ღირს. მისი აზრით, მთავარია, ბოიკოტის

აღამიანი და აქტიურად იბრძოლოს იმისათვის, რომ აქე-დან დაიწყოს სააკაშვილის ხელისუფლების დემონტაჟი“, – ამბობს „რუსთავი 2“-ის ყოფილი მეპატრონე, რომელიც, როგორც ჩანს, პოლიტიკური პარტიების კონსენსუსის შე-მთხვევაში, პრაიმერის ერთ-ერთი აქტიური ლობისტი იქ-ნება.

ოპოზიციური პოლიტიკური ძალების აბსოლუტური უმრავლესობა მხოლოდ ერთ საკითხზე თანხმდება – ნე-ბისმიერი არჩევნების სამართლიანად ჩატარებისთვის აუ-ცილებელია საარჩევნო კოდექსის შეცვლა.

ამ მომენტისთვის კოდექსში შესატანი ცვლილებების 12 პუნქტზე შვიდი ოპოზიციური ძალაა შეთანხმებული. მათ შორის გაფორმებული მემორანდუმის მიხედვით, ოპოზი-ცია ითხოვს თბილისთან ერთად მერის პირდაპირ არჩევ-ნები დაინიშნოს ქუთაისში, ბათუმში, ფოთში და რუსთა-ვში. მოთხოვნათა შორისაა 50%+1 პრინციპი, რაც იმას ნიშნავს, რომ თუკი არჩევნების დროს კანდიდატი ვერ დააგროვებს ხმების ნახევარზე მეტს, დაინიშნება მეორე ტური. ოპოზიციის აბსოლუტური უმრავლესობა წინააღ-მდეგია მოქმედი კანონმდებლობის, რომლის მიხედვითაც, ქალაქის მერს საკრებულო ირჩევს.

საჯარო გამოსვლაში, როცა პრეზიდენტმა თვითმმარ-თველობის არჩევნების თარიღად 2010 წლის 30 მაისი და-

■ პრაიმერის თაობაზე საერთაშორისო დონორებთან წინასწარი კონსულტაციები

დანწყებულია და ფინანსების მოპოვება რეალურია. ამ ეტაპზე უფრო რთული პოლიტიკურ პარტნიორებსა და კონკურენტებს შორის შეთანხმების მიღწევა აღმოჩნდა.

რეჟიმში მყოფმა გაერთიანებებმა, ან „ფსევდოოპოზიციო-ნერებმა“ უკანასკნელ მომენტში არ მოინდომონ არჩევნე-ბში მონაწილეობა. სწორედ ამ პოტენციურ „დამრღვევთა“ სიმრავლე აშფოთებთ პრაიმერის პროექტისადმი სკეპტი-კურად განწყობილებს – ხელისუფლებისთვის ღია რჩება ნებისმიერი კანდიდატისთვის ფარული მხარდაჭერის და პროცესების საკუთარი გამოცდილებით მართვის შესაძ-ლებლობა.

ანუ განსაკუთრებით აქტუალურია შეკითხვა: რას იზა-მს საპარლამენტო ოპოზიცია. ყველაზე ანგარიშგასანევი ძალა – ქრისტიან-დემოკრატები მერის არჩევნებსა და, შე-საბამისად, პრაიმერიში მონაწილეობაზე საუბარს ნაადრე-ვად მიიჩნევენ. ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ან ერთ, ან მეო-რე არჩევნებში საკუთარ კანდიდატურებს არ წარადგენენ.

„ფონდი 2020“-ის დამფუძნებელი ეროსი კინმარიშვილი პრაიმერის იდეის მხარდამჭერია. ის ვარაუდობს, რომ ში-და-პარტიული არჩევნების ჩატარების შემთხვევაში, ოპო-ზიცია მომგებიან პირობებში ჩადგება: პრაიმერი მისის არჩევნებამდე რამდენიმე თვეთ ადრე უნდა ჩატარდეს, შესაბამისად ოპოზიციური კანდიდატების აქტიური კამ-პანია და ტელედებატებიც დიდი ხნით ადრე შეამზადებს ამომრჩეველს. შედეგად, პრაიმერიში გამარჯვებული ოპო-ზიციური კანდიდატი უკვე კარგი სასტარტო პირობებით წარდგება სახელისუფლებო კანდიდატთან ბრძოლაში.

„პრაიმერის მიზანია, რომ თბილისში, რომლის ოპოზი-ციურობის ხარისხი 50%-ზე მაღალია, გამოკვეთოს ერთი

ასახელა, მან თბილისის მერის პირდაპირი წესით არჩევის ნება გამოთქვა. ამ გადაწყვეტილების შესახებ პრეზიდენტ-მა სააკაშვილმა გაერო-ს ტრიბუნიდან 24 სექტემბერსაც განაცხადა. თუმცა, როგორც ნაციონალური მოძრაობის ვეტერანი წევრი მიხეილ მაჭავარიანი ამბობს, ამ თემაზე გუნდში ერთიანი პოზიცია არ არსებობს და თავად ის მე-რის პირდაპირი წესით არჩევის წინააღმდეგია.

„მე მომწონს დღევანდელი მერი“, – ამბობს დეპუტატი ნუგზარ ნიკოლაური, თუმცა არც ეს ნიშნავს, რომ მთე-ლი სახელისუფლებო გუნდის მხარდაჭერა გიგი უგულავას ეკუთვნის. უკვე ცნობილია მერის სახელისუფლებო კანდი-დატის ორი შესაძლო ალტერნატივა: რუსუდან კერვალიშ-ვილი და არჩილ გეგენავა. მიუხედავად ამისა, ნაციონა-ლური არხების საინფორმაციო ეთერით თუ ვიდეოკლებით, თბილისის მოქმედმა მერმა წინასაარჩევნო კამპანია უკვე დაიწყო.

ალასანია-სუბარის გაერთიანების შესახებ უმრავლესო-ბაში მხოლოდ იმას ამბობენ, რომ ყოფილი სახალხო და-მცველის პირველი პოლიტიკური არჩევანი მათ არ ეხებათ და უნდა ემინოდეთ ახალი ალიანსის მხოლოდ ოპოზი-ციურ კონკურენტებს. თუმცა, პირად საუბრებში არ უა-რყოფენ, რომ თუკი შიდა ოპოზიციური კონსენსუსი შედ-გება და წინასწარი არჩევნებით საერთო ოპოზიციური კანდიდატი დასახელდება, ახალ პოლიტიკურ რეალობას-თან ადაპტაციისთვის საკუთარი გეგმებისა და ტაქტიკის გადახედვა ხელისუფლებასაც მოუწევს. [A]



[www.shokoladi.ge](http://www.shokoladi.ge)

ტალიავინის კომისიის ანგარიში

# მორალური სიმაართლე

იმის მიუხედავად, თუ ვინ დაიწყო ომი, ტალიავინის კომისიის დასკვნა საქართველოზე გაცილებით დიდ გავლენას მოახდენს ვიდრე რუსეთზე.

## მაია ნიკლაური

2008 წლის აგვისტოს კონფლიქტთან დაკავშირებულ მთავარ კითხვას – ვინ დაიწყო ომი – პასუხი 30 სექტემბერს გაეცემა, როდესაც ფაქტების მოძიების დროებითი კომისიის საბოლოო ანგარიში გამოქვეყნდება. დასკვნა ივლისის ბოლოს უკვე მზად უნდა ყოფილიყო, თუმცა თარიღი ომის წლისთავს დაემთხვა და კომისიამ მაშინ შედეგების გავრცელებისგან თავი შეიკავა.

კომისიას, რომელიც 2008 წლის დეკემბერში ევროკავშირის ეგიდით შეიქმნა, შვედი დიპლომატი, ჰაიდი ტალიავინი ხელმძღვანელობს. ფაქტების მოძიების მისიისთვის მის განკარგულებაში 1,600 000 ევროა. დეკემბრის შემდეგ კონფლიქტის მთავარი მონაწილეების, რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენლები საჯაროდ აცხადებენ, რომ საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული არიან და კომისიისგან მხოლოდ ამ სიმართლის დამადასტურებელ დასკვნას ელიან.

კომისიის ძირითად წევრებს და ექსპერტებს ფაქტების დადგენაზე მუშაობის პროცესში შედეგების შესახებ აკრძალული ჰქონდათ არა მხოლოდ პრესასთან, არამედ მხარეებთან საუბარი. საერთაშორისო კომისიის ვერდიქტი მის გამოქვეყნებამდე საქართველოსთვის და რუსეთისთვის თანაბრად მიუწვდომელი უნდა ყოფილიყო.

თუმცა კომისიის მასალების შესახებ ინფორმაცია პრესაში რამდენჯერმე მაინც მოხვდა და ყოველთვის რუსეთისთვის სასარგებლო ინტერპრეტაციით. „დამოუკიდებელი ექსპერტები საქართველოს სამხრეთ ოსეთში მომხდარ ომში ადანაშაულებენ“ – ამ სათაურით დაიბეჭდა 21 სექტემბერს სტატია გერმანულ გაზეთ „შპიგელში“, სადაც ავტორი საიდუმლო წყაროზე დაყრდნობით აცხადებს, რომ დასკვნაში ნათლად იქნება მითითებული კონფლიქტში დამნაშავე მხარე. „შპი-



რუსი ჯარისკაცი, კარაღით, 8 ოქტომბერი 2008

გელი“ უკვე მესამედ ამტკიცებს, რომ კომისიამ მოიპოვა იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ საქართველოს შეედლო შეიარაღებული კონფლიქტის თავიდან აცილება.

საქართველოს ხელისუფლება გერმანული გაზეთის მფლობელებისა და ჟურნალისტების წყაროების რუსულ ინტერესებზე ლაპარაკობს, თუმცა ყოველ ჯერზე საჭიროდ მიიჩნევს, გამოქვეყნებული ინფორმაცია ოფიციალურად უარყოს. პრეზიდენტი სააკაშვილიც კი „შპიგელს“ ერთი მხრივ არასანდო წყაროს უწოდებს, მეორე მხრივ კი, მის ბრალდებებს სიენენის სტუდიიდან პასუხობს: „არავინ აღიქვამს ასეთი გაზეთების ციტატებს სერიოზულად, რადგან ყველამ, ვინც აქ იყო და ნახა, სერიოზულმა ადამიანებმა, ყველამ იცის, რაც მოხდა“.

საქართველოს ხელისუფლება განსაკუთრებულ უნდობლობას უცხადებს კომისიის ერთ-ერთ წევრს, ჰამბურგის უნივერსიტეტის პროფესორს, ოტო ლუფტერჰანდტს. გერმანელმა პროფესორმა აგვისტოს ომის სამარსებრივ ანალიზში, რომელიც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დაკვეთით შეადგინა, დაწერა, რომ საქართველომ დაარღვია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, როდესაც არაპროპორციული ძალა გამოიყენა და ცხინვალს დაესხა თავს.

სწორედ ამ შეფასების გამო, ტელეკომპანია „იმედის“ საინფორმაციო გამოშვების კორესპონდენტმა ოტო ლუფტერჰანდტი პრორუსულ ექსპერტად მოიხსენია. ამავე მასალაში საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ლუფტერჰანდტს არაობიექტურს უწოდებენ და იმედოვნებენ, რომ კომისიის ზოგიერთი წევრის პოზიცია საერთო დასკვნაზე გავლენას არ მოახდენს. დასკვნის გამოქვეყნებამდე ერთი თვით ადრე ნაციონალურ არხზე გასული ეს რეპორტაჟი ოპოზიციისთვის ხელჩასაჭიდი ფაქტორი გახდა – მათი აზრით, ხელისუფლებამ იცის, დიდია იმის ალბათობა, რომ დასკვნა კრიტიკული იქნება.

„ხელისუფლებას სურს, ქვეყნის შიგნით მოსახლეობის რაც შეიძლება დიდ ნაწილს წინასწარ შეექმნას აზრი, რომ რაც კი იმ დასკვნაში ეწერება საქართველოსთან დაკავშირებით, ყველაფერი პუტინის, კრემლის და რუსეთის გავლენითაა“, – ამბობს რესპუბლიკური პარტიის წევრი, დავით უსუფაშვილი.

საქართველოში კომისიის კითხვებზე პასუხებს ამზადებდა სპეციალური ჯგუფი, რომელსაც არაფორმალურად თავად პრეზიდენტი სააკაშვილი ხელმძღვანელობდა. ჯგუფის წევრებს შორის იყვნენ საგარეო და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეები, სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმა-



■ ოტო ლუფტერჰანდტი

**ექსპერტები ვარაუდობენ, რომ კომისია ომზე პასუხისმგებლობას მხოლოდ ერთ მხარეს არ დააკისრებს. თუმცა საქართველოსთვის საერთაშორისო კომისიის თუნდაც დიპლომატიურად კრიტიკულ ანგარიშს გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე რუსეთისთვის.**

ციო-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი შოთა უტიასვილი. „კომისიას მივანოდეთ რამდენიმე ათასი გვერდი დოკუმენტი და მრავალსაათიანი ვიდეომასალა. ჩვენი მიზნობრივი ინფორმაციიდან ჩანს მომხდარში რუსეთის ბრალი, – ამბობს უტიასვილი, თუმცა იქვე ამატებს, – კომისიის დასკვნა მნიშვნელოვანია, მაგრამ ის არ გამოხატავს მთელი საერთაშორისო საზოგადოების პოზიციას. ამით

ვერ ვიმსჯელებთ ყველას დამოკიდებულებაზე ჩვენი ქვეყნის მიმართ“.

საერთაშორისო საზოგადოების განწყობის მაგალითად შოთა უტიასვილს ბრიტანულ „გარდიანში“ 22 სექტემბერს გამოქვეყნებული ღია წერილი მოჰყავს. სტატიას სათაურით, „ევროპა მხარში უნდა ამოუდგეს საქართველოს“, ჩეხეთისა და ლიტვის ყოფილ პრეზიდენტებთან, ვაცლავ ჰაველთან და ვალდას ადამკუსთან ერთად ხელს სულ 12 გამოჩენილი ევროპელი აწერს. „იმ მომენტში, როდესაც ევროკავშირის მიერ ჰაიდი ტალიაინის ხელმძღვანელობით შექმნილი რუსეთ-საქართველოს ომის მიზეზების შემსწავლელი კომისია თავისი დასკვნის გამოქვეყნებისთვის ემზადება, ყველა ევროპელს მოვუწოდებთ, რომ ჩვენი უახლოესი წარსულის მტკივნეული გაკვეთილები გაიხსენონ. ... დიდი შესახელმწიფო ყოველთვის მოძებნის ან მოიფიქრებს საბაბს იმისთვის, რომ მეზობელს, რომლის დამოუკიდებლობაც აღიზიანებს, თავს დაესხას. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ჰიტლერმა 1939 წლის მტრულ მოქმედებებში პოლონელები დაადანაშაულა“, – ნათქვამია ღია წერილში.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ კომისია ომზე პასუხისმგებლობას მხოლოდ ერთ მხარეს არ დააკისრებს. თითქმის შეუძლებელია, მაგრამ კომისიამ აგვისტოს მოვლენებში მხოლოდ რუსეთი რომ დაადანაშაულოს, ამ ქვეყნისთვის ბევრი არაფერი შეიცვლება. ნელინა-დზე მეტია, რუსეთი არღვევს სარკოზიმედვედევის 6-პუნქტიან შეთანხმებას, არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია ადანაშაულებს მას ძალის გადაჭარბებასა და არადეკლარირებულ გამოყენებაში, თუმცა რუსეთს ამ შენიშვნების გამო პრობლემები არ შექმნია. საქართველოსთვის საერთაშორისო კომისიის თუნდაც დიპლომატიურად კრიტიკულ ანგარიშს გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე რუსეთისთვის.

„ჩვენი კოზირი ყოველთვის იყო „მორალური სიმართლე“, თუ ამ კუთხითაც მოვიკოჭლებთ, მაშინ ჩვენი პოზიციები შესუსტდება. საქართველოს, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დემოკრატიული გარდაქმნების ერთ-ერთი ცენტრი იყო, შეიძლება ჩრდილი მიადგეს“, – ამბობს პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სკოლის დირექტორი, კორნელი კაკაჩია. მისი აზრით, ტალიაინის კომისიის დასკვნა სწორედ „მორალურ სიმართლეს“ დაადგენს. ■



# საქართველო და ამერიკული დიპლომატიის „ახალი ტონი“



ქართულ საგარეო პოლიტიკაში „რომანტიზმის“ ეპოქა დასრულდა. რაც უფრო პრაგმატულ პრინციპებზე იქნება ის აგებული, მით უფრო წარმატებული იქნება ჩვენი ქვეყნის ურთიერთობა აშშ-ს ახალ ადმინისტრაციასთან.

კორნელი კაკაჩია, კენედის სახელმწიფო მმართველობის სკოლა, ჰარვარდის უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

17 სექტემბერს ობამას ადმინისტრაციამ უარი განაცხადა პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მიერ აღმოსავლეთ ევროპაში დაგეგმილ ანტიბალისტიკურ ფარზე. სისტემას უნდა დაეცვა აშშ და მისი მოკავშირეები ირანული რაკეტების შესაძლო საფრთხისაგან და გულისხმობდა სარადარო ბაზის ჩეხეთის რესპუბლიკასა და რაკეტების პოლონეთში განლაგებას. ამ რადიკალური შემოზღუდვებით ობამას ადმინისტრაციამ ახალ ეპოქაში შეაბიჯა. ამ ეპოქაში ამერიკა პარტნიორებს ეძებს და, როგორც ჩანს, არც გლობალურ კომპრომისებზე იტყვის უარს.

ეს გადაწყვეტილება ასევე მიანიშნებს იმას, რომ შეერთებული შტატები ცენტრალურ ევროპასა და რუსეთთან ურთიერთობებს ახლებურად ხედავს. საერთაშორისო ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ობამას ადმინისტრაცია მოსკოვის კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობს, რადგან, მისი მხარდაჭერის გარეშე, ირანის ბირთვული ამბიციების შეკავების მიღწევა გართულდება.

თავის მხრივ, ჩეხეთის რესპუბლიკა და პოლონეთი თავიანთ ტერიტორიაზე ამ ბაზების არსებობას რუსეთის პოტენციური აგრესიისგან თავდაცვის გარანტიად აღიქვამდნენ და მას ტრანსატლანტიკური ღირსების შემადგენელ ნაწილად განიხილავდნენ. შესაბამისად, ეს ორი ქვეყანა ძალიან იმედგაცრუებული დარჩა.

თუმცა, ურთიერთობა სტრატეგიულ პარტნიორებს შორის არ არის დამოკიდებული არც ქვეყნების ხელისუფლების არჩევანზე და არც მათ პირად სიმპათიებზე. ძირითადი პრინციპი, რომელსაც პარტნიორობა ეფუძნება, გლობალური საერთაშორისო პოლიტიკის ჩრილში ამ ქვეყნების სასიცოცხლო ინტერესების თანხვედრაა. აღმოსავლეთი ევროპა და სამხრეთი კავკასია კი ამერიკის სტრატეგიული ინტერესის ტერიტორიად კიდევ დიდხანს დარჩება.

კავკასიის სახელმწიფოების დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა; ირანის, როგორც ისლამური ფუნდამენტალიზმის კერის შეკავება; ენერგორესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და რეგიონული დესტაბილიზაციის აცილება – ეს არის კავკასიაში აშშ-ს გრძელვადიანი და სტრატეგიული ინტერესები.

## ახალი პოლიტიკა

პრეზიდენტ ჯონ კენედის არჩევის შემდეგ ამერიკაში არ ყოფილა არც ერთი ახალი ადმინისტრაცია, რომელზეც ასეთ დიდ იმედებს ამყარებდნენ. ობამასგან ყველა გარდაქმნებს ელის.

სწორედ ახალი პოლიტიკის ნაწილია აშშ-ს პირობა, რომ „გადატვირთავს“ ურთიერთობებს რუსეთთან. დასავლეთში



ბარაკ ობამა და ჯოზეფ ბაიდენი

**ობამას ადმინისტრაციის მოსვლისთანავე საქართველო და აშშ გადადიან თანამშრომლობის ხარისხობრივად სრულიად ახალ ეტაპზე, რომელშიც მთავარი აქცენტები სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში თანამშრომლობაზე კეთდება.**

დიდი ინტერესით ელოდებიან იმას, თუ როგორ მოახერხებს ოფიციალური ვაშინგტონი ერთდროულად განამტკიცოს ურთიერთობები რუსეთთან და არ თქვას უარი საქართველოზე. ამერიკის შეერთებულ შტატებს მოუწევს დათმობა ისეთ საკითხებში, რაც ამწვავდება რუსეთთან ურთიერთობებს. ასეთია ნატო-ს გაფართოების პოლიტიკა საქართველოსთან და უკრაინასთან მიმართებაში.

ამ თემაზე ახალი ადმინისტრაციის პირველი პოზიცია მიუხედავად უსაფრთხოების კონფერენციამდე 2009 წლის თებერვალში

დაფიქსირდა. აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა, ჯოზეფ ბაიდენმა აღნიშნა, რომ საქართველოს ნატო-ში განწევრების „გადანყვეტილება საქართველომ თავად უნდა მიიღოს“, რაც, დასავლური მედიის აზრით, იმაზე მიუთითებს, რომ ბუშის ადმინისტრაციისგან განსხვავებით, ახალი ადმინისტრაცია უარს აცხადებს, ხელი შეუწყოს ალიანსში საქართველოს სწრაფ განწევრებას.

თუმცა, იმავე გამოსვლაში ვიცე-პრეზიდენტმა ბაიდენმა აღნიშნა, რომ აშშ „არასდროს ცნობს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას“ და არც „რომელიმე ქვეყნის განსაკუთრებული გავლენის სფეროების აღიარებას“ აპირებს.

ცხადია, რუსეთ-საქართველოს დაძაბული ურთიერთობები რთულ სიტუაციაში აყენებს ბარაკ ობამას ადმინისტრაციას. რუსეთის მიერ აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონის სეპარატისტულ ხელისუფლებასთან დადებული ხელშეკრულებები, რომლითაც ის ფაქტობრივად უკვე კონტროლს უწესებს საქართველოს ამ ტერიტორიებზე, კიდევ უფრო ართულებს ამერიკა-რუსეთის ურთიერთობების გადანაწილებას.

**ორპარტიული კომისიის რამომხდენი**

ობამას არჩევანიდან რამდენიმე თვეში, 2009 წლის 19 მარტს გამოქვეყნდა ორპარტიული კომისიის მოხსენება, რომელიც ნიქსონის ცენტრისა და ჰარვარდის უნივერსიტეტის მეცნიერებისა და საერთაშორისო საქმეთა ბლფერის ცენტრის ერთობლივი პროექტია და რომელსაც ყოფილი სენატორები – რესპუბლიკელი ჩაკ შაგელი და დემოკრატი გერი ჰარტი ხელმძღვანელობდნენ. კომისია, რომელიც აშშ-ს ყოფილი მაღალი რანგის დიპლომატებისა და კონგრესის წევრებისგან შედგება, ურჩევს ახალ ადმინისტრაციას, გააუმჯობესოს ურთიერთობები რუსეთთან.

მოხსენებაში „რუსეთთან მიმართებაში აშშ-ს პოლიტიკის სწორი მიმართულება“, ნათქვამია: „არ მიგვაჩნია, რომ ამ მომენტისათვის უკრაინისა და საქართველოსთვის ნატო-ში გაერთიანება უსაფრთხოების თვალსაზრისით შეერთებული შტატების გადაუდებელ ინტერესს წარმოადგენს... მართალია, ორივე მათგანს სტრატეგიული ადგილმდებარეობა აქვს, მაგრამ ალიანსში მათმა განწევრებამ, ამ ქვეყნებში არსებული რეალობიდან გამომდინარე, შესაძლოა, უფრო შესუსტოს, ვიდრე გააძლიეროს საერთოევროპული უსაფრთხოება“.

თუმცა, პოსტსაბჭოთა სივრცეში რუ-

სეთის „ლეგიტიმური“ ინტერესების გათვალისწინებით, მოხსენებაში ასევე მითითებულია, რომ აშშ-ს სტრატეგიულ ინტერესებში შედის, ხელი შეუშალოს რუსეთის „დომინანტურ როლს რეგიონში, რომელიც ევროპას, აზიას და ახლო აღმოსავლეთს აკავშირებს“ და მხარი დაუჭიროს იქ არსებული ქვეყნების დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს. კომისიამ თავისი რეკომენდაციები უკვე გააცნო როგორც ობამას ადმინისტრაციის მაღალი რანგის წარმომადგენლებს, ასევე რუსეთის ოფიციალურ პირებს, რაც საქართველოს საგარეო პოლიტიკისთვის ახალ გამოწვევას წარმოადგენს.

**აშშ-საქართველოს პარტნიორობა – სამომავლო პერსპექტივები**

მიუხედავად იმისა, რომ ობამას ადმინისტრაციის დროს საქართველოსა და უკრაინას ნატო-ში განწევრებისასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია შეიცვალა, ან საკითხის გადაფასების პროცესშია, ამერიკელი დიპლომატები გასული წლის ზაფხულიდან მუშაობენ იმაზე, თუ როგორ უნდა განამტკიცონ აშშ-საქართველოს ურთიერთობები. აშშ განაგრძობს უსაფრთხოების სფეროში საქართველოსთან თანამშრომლობას, როგორც ორმხრივ ისე ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში. ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაცია, თუნდაც არა ნევრის სტატუსით, კვლავ რჩება ობამას ადმინისტრაციის უსაფრთხოების თანამშრომლობის პროგრამის ქვაკუთხედად. ამ პროგრამის ძირითადი მიზანი საქართველოს თავდაცვითი პოტენციალის გაძლიერებაა.

აშშ-საქართველოს ურთიერთობებმა კონკრეტული სახე 2009 წლის იანვარში შეერთებული შტატებისა და საქართველოს მიერ სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ხელმოწერის შემდეგ მიიღო. ახლა უკვე ობამას ადმინისტრაციის გადასანყვეტია, შეავსებს თუ არა ამ ქარტიას რეალური შინაარსით.

მიუხედავად იმისა, რომ რთულია, წინასწარ განვსაზღვროთ ქართულ-ამერიკული ურთიერთობების მომავალი დინამიკა, ერთი რამ ცხადია – ობამას ადმინისტრაციის მოსვლისთანავე საქართველო და აშშ გადადიან თანამშრომლობის ხარისხობრივად სრულიად ახალ ეტაპზე, რომელშიც მთავარი აქცენტები სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში თანამშრომლობაზე კეთდება. უკვე ჩანს ამ ურთიერთობების უფრო პრაგმატულ ჩარჩოებში მოთავსების მცდელობა, რაც გამოიხატება საქართველოში პოლიტიკუ-

რი ინსტიტუტების განმტკიცების, პრესისა და თავისუფლების, დამოუკიდებელი მართლმსაჯულების პრინციპებისადმი დამატებით მხარდაჭერაში.

ქართული პოლიტიკური რიტორიკისთვის გამონევევა ის, რომ შეერთებული შტატები რუსეთთან დათბობის მიმართულებით მიდის, თუმცა, როგორც ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის კავკასიის საკითხების მკვლევარი, კორი ველტი აღნიშნავს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის საქართველოსთან ახლო ურთიერთობებზე უარს ამბობს. მიუხედავად ახალი მიდგომებისა არ შეცვლილა საქართველოსათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ორი ფუნდამენტური პრინციპი – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერის პრინციპი.

ეს კი მიუთითებს, რომ შეერთებული შტატები კვლავ დაინტერესებულია სამხრეთ კავკასიით და კასპიისპირა რეგიონით და ალტერნატიული საქესპორტო ენერგოდერეფნის არსებობა მისთვის ჯერ კიდევ პრიორიტეტულია. ამასთან ერთად, ირანისა და ავღანეთის პრობლემის გათვალისწინებით, აშშ ამ ეტაპზე უფრო მეტად დაინტერესებულია რუსეთთან თანამშრომლობით, ვიდრე მასთან კონფრონტაციით.

გარდა რუსეთის მიმართ შეცვლილი ურთიერთობებისა, ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციისგან განსხვავებით, ახალი ადმინისტრაცია ძალიან ფრთხილი იქნება მსოფლიოში „დემოკრატიის მხარდაჭერის“ პოლიტიკის გატარებაშიც. ამასთანავე, ამერიკის ახალი მთავრობა უარს ამბობს საერთაშორისო პოლიტიკაში „ხისტი ძალის“ (Hard Power) გამოყენებაზე და, როგორც ჰილარი კლინტონმა განაცხადა, უპირატესობას „გონიერი ძალის“ (Smart Power) კონცეფციას ანიჭებს. ასეთი პრაგმატული პოლიტიკის წარმართვით, რუსეთთან კონფლიქტის პირობებში, საქართველო არ უნდა ელოდოს რაიმე სახის პირდაპირ სამხედრო ჩარევას ამერიკის დღევანდელი ადმინისტრაციისგან.

პატარა სახელმწიფოსთვის, როგორც საქართველოა, მნიშვნელოვანია, რომ რომელიმე დიდი სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესი არ გახდეს ილუზიების საფუძველი, განსაკუთრებით კი საგარეო პოლიტიკის ფორმირებისას. დაუმჯობესდეს ყოველგვარი „რომანტიზმის“ გამოვლინება საქართველოს საგარეო პოლიტიკაში. რაც უფრო პრაგმატულ პრინციპებზე იქნება აგებული ქართული საგარეო პოლიტიკა, მით უფრო წარმატებული იქნება მისი ურთიერთობა ობამას ახალ ადმინისტრაციასთან. ■





# სასამართლოს მოლოდინში

„რუსთავი 2“-ის შენობის ჩამონგრევაში ეჭვმიტანილი დაკავებულია. ერთ-ერთი გარდაცვლილის ოჯახი ამტკიცებს, რომ დაკავებული დავით გვასალიას გარდა, უბედურ შემთხვევაზე პასუხი სხვებმაც უნდა აგონ.

გიორგი მგელაძე, ნინო გოგუა

სტატია დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების *German Marshal Fund*-ის პროექტის *The Black Sea Trust*-ის მიერ. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს *German Marshal Fund*-ის, *The Black Sea Trust*-ის და მისი პარტნიორების შეხედულებებს.





ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სატელევიზიო მუსიკალური გადაცემა „ვარსკვლავების აკადემია“ სანდრო ულის ქუჩაზე მომხდარი უბედური შემთხვევის გამო დაიხურა. „რუსთავი 2“-ის კუთვნილი ხუთსართულიანი შენობა, სადაც პროექტი მიმდინარეობდა, 26 აპრილს, გამთენიისას 30-მეტრიან ზოლზე ჩამოიშალა.

უბედური შემთხვევის დროს შენობაში 14 ადამიანი იმყოფებოდა, რომელთაგან 4-ს სამედიცინო დახმარება დასჭირდა, მემონტაჟები – გიორგი გაბუნია და ნიკა გელაშვილი დაიღუპნენ. მაშინვე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს შენობის ნგრევის გამოძვევი მიზეზების კვლევა დაევალა. ბიუროს ექსპერტებმა დასკვნა 11 ივნისს დადეს. „შენობის ნგრევა გამოიწვია დაპროექტებისას და მშენებლობისას (1967) წელს დაშვებული კონსტრუქციული ხასიათის ხარვეზებისა და შემდგომში

სამუშაოების დამკვეთი და შემსრულებელი კომპანიების ხელმძღვანელებმაც უნდა გაიზიარონ.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, გვასალიას ბრალეულობა მისი აღიარებითი ჩვენებით, ექსპერტიზის დასკვნით და მონმეთა ჩვენებებით დასტურდება.

დავით გვასალია გამოძიებამ სამჯერ დაკითხა. პირველი ჩვენება მან 30 მაისს ვაკე-საბურთალოს გამომძიებელს ნათელა დონეჯაშვილს მისცა.

„ჩემს მოვალეობაში შედის სარემონტო სამუშაოების ტექნიკური უზრუნველყოფა. მე ვასრულებ არქიტექტორის მიერ შესრულებულ ნახაზზე მითითებულ სარემონტო სამუშაოებს. ვხელმძღვანელობ სარემონტო სამუშაოების მუშა პროცესს“. – წერს გვასალია. – დირექციის დავალებით გადმოვერთეთ პირველი ფლიგელის პირველ და მეორე სართულებზე. დემონტაჟი გავუკეთეთ აღნიშნული შენობის პირველ სართულზე ყველა ტიხარს და მეექვსე

ბს და აღიარებს, რომ ნგრევა მის მიერ არაკვალიფიცირებულად ჩატარებულმა სამუშაოებმა გამოიწვია.

„გვასალიას ჩვენებების ასეთი სახე-ცვლილება მაფიქრებინებს, რომ მან საკუთარი ხელმძღვანელებისგან დანაშაულის მხოლოდ საკუთარ თავზე აღების სანაცვლოდ გარკვეული გარანტიები მიიღო“. – აცხადებს გელაშვილის ოჯახის ადვოკატი მერაბ ჩიქოვანი.

გვასალიას აღიარებითი ჩვენება გამოირცხავს მისი დამქირავებლების ბრალეულობას. ერთადერთი დარღვევა, რაც „არტ-იქსს“ საქმის მასალების მიხედვით ეკისრება, ის არის, რომ სარეკონსტრუქციო სამუშაოებისთვის საჭირო ყველა ნებართვა არც თავად აიღო, და არც დამკვეთ კომპანიას მოსთხოვა.

**რემონტი თუ რეკონსტრუქცია**

საქმეში დევს არქიტექტურის საქალაქო სამსახურის წერილი, საიდანაც ირკვევა, რომ „რუსთავი 2“-ის კუთვ-

■ საქმეში დევს არქიტექტურის საქალაქო სამსახურის წერილი, საიდანაც ირკვევა, რომ „რუსთავი 2“-ის კუთვნილი შენობის იმ ნაწილზე, რომელიც ჩამოინგრა, 26 აპრილამდე რეკონსტრუქციის არანაირი ნებართვა არ ყოფილა გაცემული.

მასზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების არაკვალიფიციურად წარმოების ერთობლიობამ“. (ექსპერტის დასკვნა N1610/18 11 ივნისი, 2009).

ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ „შენობის პირველ სართულზე დაშლილი იყო აგურის საყრდენი კედელი (დიაფრაგმა) და მის საკომპენსაციოდ ჩატარებული იყო დამატებითი სამუშაოები, თუმცა ჩატარებული გამაგრებითი სამუშაოები სათანადოდ ვერ უზრუნველყოფდა მოხსნილი კედლის სიხისტის კომპენსაციას“.

„რუსთავი 2“-ის კუთვნილ შენობაში სამუშაოებს კომპანია „არტ-იქსი“ აწარმოებდა. გამოძიების ერთადერთი ეჭვმიტანილიც „არტ-იქსის“ სამუშაოთა მწარმოებელი დავით გვასალიაა. გვასალიას ბრალად მშენებლობისას უსაფრთხოების ნესების დარღვევა ედება. ის ექსპერტიზის დასკვნის გამოქვეყნებისთანავე, 12 ივნისს დააკავეს.

შენობის ჩამონგრევაზე პასუხისმგებელ პირთა შორის დღეს ერთადერთი დავით გვასალია აღმოჩნდა. გარდაცვლილის, ნიკა გელაშვილის ოჯახი ფიქრობს, რომ ეს პასუხისმგებლობა

რიგში არსებულ დიაფრაგმას, რის სანაცვლოდაც ჩავატარეთ დამატებითი გამაგრებელი სამუშაოები“; „ვაზუსტებ ფაქტს, რომ მე ვასრულებ იმ სარემონტო სამუშაოებს, რასაც მიმითითებს ან შემიკვეთავს დირექცია და რაც არის გათვალისწინებული პროექტში“.

მეორე ჩვენებაში, რომელიც გვასალიამ 12 ივნისს იმავე გამომძიებელს მისცა, იგი აცხადებს, რომ შენობის პირველ სართულზე დიაფრაგმის კედლების ნაწილის დემონტაჟი განახორციელეს მუშებმა პირადად მისი ზედამხედველობის ქვეშ. „ჩატარებული სამუშაოების ხარისხი ჩემ მიერ უშუალოდ იქნა შემოწმებული და მიჩნეული დამაკმაყოფილებლად“, წერს გვასალია. თუმცა, იქვე აღნიშნავს, რომ შენობები ასევე დაათვალიერა შპს „არტ-იქსის“ არქიტექტორ-დიზაინერმა ხათუნა ბერიძემ, რომელმაც დამკვეთის სურვილების გათვალისწინებით შეიმუშავა არქიტექტურული გეგმა.


როცა გვასალია მესამედ დაკითხეს აღიარებითი ჩვენებაში ის არც დამკვეთის სურვილებს და არც „არტ-იქსის“ მიერ შემუშავებულ გეგმას არ ახსენე-

ნილი შენობის იმ ნაწილზე, რომელიც ჩამოინგრა, 26 აპრილამდე არანაირი ნებართვა არ ყოფილა გაცემული. თბილისის მერიის მიერ დანესებული სტანდარტების მიხედვით, რეკონსტრუქციად ითვლება შენობის საყრდენ კედელში ლიოზის (სარკმელი, ფანჯარა და ა.შ.) გამოჭრა ცი და აუცილებელია შეთანხმდეს კომპეტენტურ ორგანოებთან.

ეულის ქუჩაზე მდებარე შენობაში მიმდინარე სამუშაოებს რეკონსტრუქციის უწოდებენ სახელმწიფო ექსპერტებიც და თბილისის ზონალური სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტის (შპს „თბილზნიიეპი“) თანამშრომლებიც.

„ასეთი ნებართვის გარეშე სამუშაოების დაკვეთა და შესრულება დანაშაულია. დაქირავებულების სიცოცხლისთვის არაუსაფრთხო გარემოში ჩაყენება სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება. ამაზე „რუსთავი 2“-ის და „არტ-იქსის“ ხელმძღვანელებმა პასუხი უნდა აგონ“, – აცხადებს დაზარალებული გელაშვილის ოჯახის ადვოკატი, გაგი მოსიაშვილი. თუმცა, გამოძიება





ფოტო: თევზი ბარბაქაძე



დაცვის მხარის ამ არგუმენტს არ იზიარებს და კომპანიები „რუსთავი 2“ და „არტ-იქსი“ საქმეში მხოლოდ მონმის სტატუსით ფიგურირებენ.

არ დამდგარა არც „არტ-იქსის“ არქიტექტორ-დიზაინერის, ხათუნა ბერიძის პასუხისმგებლობის საკითხი, მიუხედავად მისი ჩვენებისა, რომ სარემონტო სამუშაოები მისი მეთვალყურეობით მიმდინარეობდა და 26 აპრილამდე (შენობის ჩამონგრევამდე) პროექტიდან გადახვევა არ მომხდარა. პირველ და მეორე ჩვენებაში დავით გვასალიაც ადასტურებს, რომ ყველა სამუშაო ბერიძის მიერ შედგენილი გეგმის მიხედვით მიმდინარეობდა.

შენობის ჩამონგრევის მიზეზებზე საუბარი არ სურთ არც სამშენებლო კომპანია „არტ-იქსის“ და არც „რუსთავი 2“-ის წარმომადგენლებს. კომენტარს თავს არიდებენ დავით გვასალიას ადვოკატი გიორგი ყავლაშვილიც და გვასალიას ოჯახის წევრებიც.

უბედური შემთხვევის დროს დაღუპული ნიკა გელაშვილის მეუღლისთვის, თეა კახიანისთვის საქმის ვითარება წინასწარი გამოძიების მასალებიდანაც ნათელია: „ხათუნა ბერიძე, „არტ-იქსის“ არქიტექტორი ამბობს, რომ მან შექმნა დიზაინერული გეგმა, პროექტი, ნახაზი, რაც უნდოდა „რუსთავი 2“-ს და ეს იყო შეთანხმებული. ამ დიზაინერულ გადა-

წყვეტაში არ მოხვდა ის კედლები, რაც თავდაპირველად იყო შენობაში. საჭირო გახდა ამ კედლების მორღვევა. არავინ დაინტერესებულა, ეს რეკონსტრუქცია იყო, თუ რემონტი. ამას ჰქვია არაპროფესიონალიზმი“, – აცხადებს კახიანი.

კახიანი ფიქრობს, რომ წინასწარი გამოძიება მიკერძოებულია და ამას „რუსთავი 2“-ისა და „არტ-იქსის“ მფლობელთა გავლენიანობით ხსნის. „არტ-იქსი“ თავდაცვის ყოფილი მინისტრის, დავით კეზერაშვილის მეუღლესა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, გიგა ბოკერიას ცოლის დას ეკუთვნით. ამ დიზაინერულმა კომპანიამ სამშენებლო სამუშაოების ჩატარებისთვის კომპანია „რუსთავი 2“-სგან 1 მილიონი ლარი მიიღო.

წინასწარი გამოძიების პროცესში მხოლოდ ერთი გარდაცვლილი მემონტაჟის ოჯახი აქტიურობს. ორივე დაღუპულის ოჯახს, კომპენსაციის სახით, „რუსთავი 2“-მა 30,000 დოლარი გადაურიცხა. გელაშვილის მეუღლე ამბობს, რომ ამ თანხას ბოლომდე მოახმარს საქმის სამართლიანად გამოძიებას, თუნდაც ამისთვის სტრასბურგში ჩივილი დასჭირდეს. თეა კახიანი სასამართლოზე მორალური ზიანის ასანახლაურებელ მატერიალურ კომპენსაციას კიდევ მოითხოვს.

კომპენსაცია არ მოუთხოვია „ვარსკვლავების აკადემიის“ არც ერთ მონაწილეს. პროექტის ერთ-ერთი მონაწილე, სოფო ტოროშელიძე განმარტავს, თუ რატომ არ იჩივლა მისი სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენების გამო: „საქმე ისაა, რომ არ ვიცით, ვის მოვთხოვთ პასუხი. ხელშეკრულების მიხედვით, „რუსთავი 2“ პასუხისმგებელი არაა ფორსმაჟორულ სიტუაციაში. კომპენსაციები არ მოუციათ. ყველას უნდა, მაგრამ არ ვითხოვთ“.

შენობის ჩამონგრევიდან 5 თვის შემდეგ გამოძიება დასრულებულია და საქმის ერთადერთი ეჭვმიტანილი, დავით გვასალია გლდანის იზოლატორში იმყოფება. სასამართლო საქმის განხილვას, სავარაუდოდ, 8 ოქტომბერს დაიწყებს. დაზარალებულთა ოჯახებს იმედი აქვთ, რომ ყველა ის დეტალი, რაც წინასწარი გამოძიების დროს შეუმჩნეველი დარჩა, სასამართლოზე გამოამკარავდება. პროცესზე კომპანია „არტ-იქსმა“ სამშენებლო სამუშაოების ნახაზი უნდა წარმოადგინოს. პროექტის მიხედვით, თუ მართლაც დაგეგმილი იყო პირველი სართულის ტიხრებისა და დიფრაგმის მონგრევა, და დავით გვასალია ამ გეგმის მხოლოდ შემსრულებელი იყო, შეიძლება ეს, გვასალიას გარდა, მისი დამკერავებლების პასუხისმგებლობის დაყენების საფუძველიც გახდეს. 



**დეგაპრინტი**  
**DEGAPRINT**

**სიფრული ოფსეტური ბეჭდვა**  
ტელ.: +995 32 995007 / 998843  
ფაქსი: +995 32 995681

degaprint@caucasus.net

სოფის ბაზრობა

# სახელმწიფო კერძო საკუთრების წინააღმდეგ

20%-იანი წილის მფლობელმა სახელმწიფომ 10 მილიონ დოლარად ღირებული ხოფის ბაზრობის 100-ვე პროცენტი მიისაკუთრა.

გიორგი მგელაძე, „სტუდია მონიტორი“



■ ანანიძეებმა ხოფის ბაზრობა არ დათმეს, რისთვისაც მკაცრად დაისაჯნენ.

1994 წელს ბათუმში ძმებმა ილია და დავით ანანიძეებმა ასლან აბაშიძის დასთან ერთად ე.წ ხოფის ბაზრობა შექმნეს. პარტნიორებმა ჭაობი დააშრეს და ამ ადგილზე სავაჭრო ცენტრი ააშენეს. სავაჭრო ცენტრი შპს „ალამი-1“-ს ეკუთვნოდა, რომლის 50 პროცენტს ფლობდა ძმების კუთვნილი შპს „ალამი“, 30 პროცენტს – აბაშიძის „განთიადი-94“, დარჩენილ 20 პროცენტს კი – სახელმწიფო.

1994 წელსვე სახელმწიფომ „ალამი 1“-ს სარგებლობის უფლებით გადასცა 31 ათასი კვ.მ. მიწა. მიუხედავად იმისა, რომ ბაზრობის ერთ-ერთი მენილე ასლანის და, ნარგიზა აბაშიძე გახლდათ, 2 წლის შემდეგ პარტნიორებს პირველი სერიოზული პრობლემა მაინც შეექმნათ:

**დავით ანანიძე:** „1996 წელს ჩვენი ბაზრობით დაინტერესდა ასლან აბაშიძის მთავრობა. შემოვარდა სპეცრაზმი,

■ **2007 წლამდე ანანიძეები ბაზრობას უპრობლემოდ ფლობდნენ, თუმცა მაისის თვეში ბაზრობით ჩინოვნიკები დაინტერესდნენ. „ჩემს ძმას პროკურატურიდან შემოუთვალეს, – ხოფის ბაზრობა სახელმწიფოს აჩუქეო. ჩემმა ძმამ უარით გაისტუმრა: ჯერ „ვისოლმა“ და სხვა წარმატებულმა კომპანიებმა აჩუქონ სახელმწიფოს ქონება და მერე ჩვენც ვაჩუქებთ“.** – **იხსენებს დავით ანანიძე.**

თითქოსდა რალაც შემონება ჩატარდა და ეს უძრავ-მოძრავი ქონება ჩამოგვართვეს და ქალაქის მერიას გადასცეს. 2 წელიწადს ვიბრძოლეთ ბაზრობის დასაბრუნებლად, დავა უზენაეს სასამართლომდეც მივიდა და საბოლოოდ 1998 წელს ბაზრობა ისევ შპს „ალამი-1“-ს დაუბრუნდა“.

2-წლიანი დავის დროს სავაჭრო ცენტრიდან მოგებას მხოლოდ სახელმწიფო იღებდა – ანუ ბათუმის მერია. ასლან აბაშიძის დასა და ძმებ ანანიძეებს კი, კუთვნილი 80-პროცენტის წილის სანაცვლოდ, არაფერს უხდიდნენ. დივიდენდების გადანაწილების თემას კვლავ დავუბრუნდებით, მანამდე კი აღვნიშნავთ, რომ 1998 წელს უზენაესმა სასამართლომ ბაზრობა ისევ „ალამი-1“-ს დაუბრუნა. ძნელი სათქმელია, უზენაესმა სასამართლომ ასეთი გადანაცვლებილი თემაზე ობიექტური გარემოებების გამო მიიღო, თუ ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაპირისპირებული ასლანის გასაბრაზებლად, ერთი კი ცხადია, რომ შედეგად სამართლიანობა აღდგა. ამ წარმატებას ისიც დაერთო, რომ საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“, რომლის საფუძველზეც, „ალამი-1“-ის მიერ იჯარით აღებული მიწის ნაკვეთი მისი საკუთრება გახდა. მოგვიანებით „ალამი-1“ შპს „სავაჭრო ცენტრ ბათუმად“ ჩამოყალიბდა და 2006 წლიდან ხოფის ბაზრობის მიწის ნაკვეთის და შენობა-ნაგებობების მესაკუთრედ საჯარო რეესტრში სწორედ შპს „სავაჭრო ცენტრი ბათუმი“ დარეგისტრირდა.

2004 წელს „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ აჭარაში ასლან აბაშიძის არადემოკრატიული რეჟიმი დაამხო, რაც ხოფის ბაზრო-

ბის ფუნქციონირებაზე შემდეგნაირად  
აისახა: 2005 წელს „სავაჭრო ცენტრ  
ბათუმის“ პარტნიორთა კრება გაიმარ-  
თა, სადაც დაიანგარიშეს, რომ ასლანის  
ავტორიტარული რეჟიმის დროს, როცა  
2 წლის მანძილზე „ალამი-1“-ის მოგებას  
მხოლოდ ბათუმის მერია იღებდა, ძირი-  
თად პარტნიორებს 700 ათასი ლარის  
ზარალი მიადგათ და გადაწყდა, რომ  
2005 წლის შემდეგ სახელმწიფოსთვის  
ეს ქონება გამოექვეითათ. გადაწყვეტი-  
ლებას ასლან აბაშიძის დის ქმარი, თე-  
მურ კომპანიც დაეთანხმა და ეს კრე-  
ბის ოქმზე ხელმოწერით დაადასტურა.  
გარდა ამისა, აჭარის რეგულაციის შე-  
მდეგ ნარგისა აბაშიძის კუთვნილ დივი-  
დენდს პარტნიორები სანარმოს განვი-  
თარებისთვის ხარჯავდნენ, რითაც მისი  
ქონება იზრდებოდა, თუმცა ნაღდი ფუ-  
ლით ამ მოგებას ისიც ვეღარ იღებდა.

ამის შემდეგ 2007 წლამდე ანანიძე-  
ები ბაზრობას უპრობლემოდ ფლობდ-  
ნენ, თუმცა მათის თვით ბაზრობით  
ჩინოვნიკები დაინტერესდნენ. „ჩემს  
ძმას პროკურატურიდან შემოუთვა-  
ლეს, – ხოფის ბაზრობა სახელმწიფოს  
აჩუქო. ჩემმა ძმამ უარი გაისტუმრა:  
ჯერ „ვისოლმა“ და სხვა წარმატებულ-  
მა კომპანიებმა აჩუქონ სახელმწიფოს  
ქონება და მერე ჩვენც ვაჩუქებთ“. –  
იხსენებს დავით ანანიძე.

ანანიძეებმა ხოფის ბაზრობა არ  
დათმეს, რისთვისაც მკაცრად დაისა-  
ჯნენ.

2007 წლის 17 მაისს, საპარლამენტო  
ბათუმის მაჰინდელმა მერმა, ირაკლი  
თავართქილაძემ ბათუმის მერიის 1999  
წელს გამოცემული 299-ე ბრძანება  
გააუქმა, რომლის მიხედვით, ხოფის  
ბაზრობაზე მდებარე შენობა-ნაგებო-  
ბები „ალამი-1“-ს ჰქონდა საკუთრე-  
ბად დარეგისტრირებული, და საჯარო  
რეესტრის ბათუმის სარეგისტრაციო  
სამსახურს მოსთხოვა, ბაზრობა სა-  
ხელმწიფოსთვის გადაეფორმებინა. სა-  
ჯარო რეესტრმაც ხოფის ბაზრობა სა-  
ხელმწიფოს გადასცა.

ბაზრობის ადმინისტრაციამ საჯარო  
რეესტრის გადაწყვეტილება სასამარ-  
თლოში გაასაჩივრა და დავის საბოლოო  
გადაწყვეტამდე ქონების დაყადლე-  
ვა მოითხოვა. ბათუმის სასამართლომ  
შპს-ს მოთხოვნა დააკმაყოფილა და  
ქონების დაყადლებით მისი ყველანა-  
ირი ფორმით განკარგვა აკრძალა, თუმ-  
ცა ბაზრობის კანონიერ მესაკუთრეებს  
ვერც ამან უშველა: 2009 წლის 25 ივ-  
ნისს ეკონომიკის სამინისტრომ დაყა-  
დალებული ბაზრობა გაასხვისა, რაც

კიდევ ერთი კანონდარღვევაა.

„მიმდინარე წლის ივნისში აჭარის  
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა  
შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“ შექმნა და  
ეს სადავო ქონება ამ შპს-ს გადასცა.  
მინისტრმა საჯარო რეესტრს დაავალა,  
რომ დაყადლებული ქონება ამ შპს-  
სთვის დაერეგისტრირებინა. ასე იქცა  
სადავო ქონება სახელმწიფო საკუთრე-  
ბიდან შპს-ს საკუთრებად. ამის შემდეგ  
ბაზრობის მესაკუთრეები პოლიციის  
ძალით გაყარეს და იქ ახალი ადმინის-  
ტრაცია შეუშვეს“, – აცხადებს „სავა-  
ჭრო ცენტრ ბათუმის“ იურისტი ლევან  
მამულაძე.

2009 წლის 7 ივლისს სამართალდა-  
მცავებმა შპს „სავაჭრო ცენტრი ბა-  
თუმი“, რომელიც 13 წელიწადს იყო  
ბაზრობის მფლობელი, მისი ტერიტო-  
რიიდან გააძევეს. ქონება კი, რომელიც  
ამჟამად 10 მილიონ დოლარადაა შეფა-  
სებული, სახელმწიფო კომპანიის ხელ-  
ში გადავიდა.

**თამარ რევაზიშვილი** (ახალგაზრდა  
იურისტთა ასოციაციის იურისტი): „მო-  
ქმედი კანონმდებლობით, ყადაღა არის  
საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის  
ერთ-ერთი ფორმა, რომელიც საჯა-  
რო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს  
უკრძალავს ამ ქონებაზე ნებისმიერი  
უფლების რეგისტრაციას. დაყადლე-  
ბული ბაზრობის მესაკუთრის შეცვლით  
საჯარო რეესტრმა კანონი დაარღვია“.

საჯარო რეესტრმა მიმდინარე წლის  
ივნისში ხოფის ბაზრობას ეკონომიკის  
სამინისტროს მოთხოვნით შეუცვალა  
მესაკუთრე. სწორედ აჭარის ფინანსთა  
და ეკონომიკის მინისტრის წერილის  
საფუძველზე მოხდა დაყადლებული  
ბაზრობის გასხვისება. სამინისტრო-  
ში კი აცხადებენ, რომ მათ არაფერი  
იცოდნენ ხოფის ბაზრობის დაყადლე-  
ბაზე.

„სამინისტროს ყადაღის შესახებ ინ-  
ფორმაცია არ ჰქონდა, ჩვენ არ ვი-  
ცოდით ქონებას ყადაღა თუ ედო. ეს  
საჯარო რეესტრის პრეროგატივაა“, –  
აცხადებს აჭარის ფინანსთა და ეკო-  
ნომიკის სამინისტროს პრივატიზაციის  
დეპარტამენტის უფროსი, ჰენრი სანი-  
კიძე.

სამინისტროს წარმომადგენელი  
ან არაკომპეტენტურია, ან განზრახ-  
ცრუობს. ჩვენ ხელთ არსებული დოკუ-  
მენტაციით ირკვევა, რომ აჭარის ფი-  
ნანსთა და ეკონომიკის სამინისტროში  
არათუ იცოდნენ ყადაღის თაობაზე,  
არამედ მათ ყველა ინსტანციაში იჩი-

ვლეს, რომ ბაზრობას ყადაღა მოხსნო-  
და. 2009 წლის 25 ივნისამდე ეკონო-  
მიკის სამინისტრომ ყადაღის საკითხი  
სასამართლოში ორჯერ გაასაჩივრა.

ბათუმის სარეგისტრაციო სამსა-  
ხურის მიერ დაყადლებული ქონების  
განკარგვას არც საჯარო რეესტრის  
მთავარ ოფისში უარყოფენ. რეესტრის  
იურიდიული სამსახურის უფროსის  
თქმით, რეესტრმა მართლაც განკარგა  
დაყადლებული ქონება, მაგრამ ეს კა-  
ნონდარღვევა არ არის.

„ყადაღის არსი ის არის, რომ ქონე-  
ბას არ შეეცვალოს მესაკუთრე, რომ  
შემდეგ ამ ქონებაზე სასამართლოს  
მიერ მიღებული გადაწყვეტილების  
აღსრულება არ გართულდეს. ამ შე-  
მთხვევაში სახელმწიფოს სახელზე  
აღრიცხული ქონება გადაეცა სახელ-  
მწიფოს მიერ შექმნილ შპს-ს „სავაჭრო  
ცენტრ 2009“-ს, ანუ რეალურად მე-  
საკუთრე არ შეცვლილა“, – აცხადებს  
იაგო ხვიჩია.

„რეესტრის ასეთი პოზიცია არასწო-  
რია. საჯარო რეესტრის ამონაწერის  
მიხედვით, ადრე მესაკუთრე იყო სა-  
ხელმწიფო, ახლა არის კონკრეტული  
შპს. რეალურად მესაკუთრე შეიცვალა.  
სასამართლოს გადაწყვეტილების  
დადგომამდე ბაზრობას უკვე სულ სხვა  
მფლობელი ეყოლება და შპს „სავაჭრო  
ცენტრი ბათუმისთვის“ მისი დაბრუნე-  
ბა გართულდება“, – აცხადებს იურის-  
ტი თამარ რევაზიშვილი.

საჯარო რეესტრის მიერ დაყადა-  
ლებული ქონების განკარგვა სისხლის  
სამართლის დანაშაულად მიაჩნია იუ-  
რისტ გავი მოსიაშვილს: „საჯარო რე-  
ესტრის იმ თანამშრომელმა, რომელმაც  
დაყადლებულ ქონებაზე მესაკუთრის  
ცვლილება დაარეგისტრირა, კანონი  
დაარღვია, ვინაიდან ყადაღა სწორედ  
იმიტომ ედება ქონებას, რომ განკარ-  
გვა არ მოხდეს. რეესტრის თანამშ-  
რომელმა თავის უფლებამოსილებას  
გადაამეტა, რაც სისხლის სამართლის  
კოდექსით დასჯადი ქმედებაა“.

იურისტის შეფასებით, კანონი აჭა-  
რის ფინანსთა და ეკონომიკის მინის-  
ტრმაც დაარღვია. „თქვენ მიერ წარ-  
მოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა,  
რომ დაყადლებული ქონების მესაკუ-  
თრის შეცვლა აჭარის ფინანსთა და  
ეკონომიკის მინისტრმა საჯარო რეეს-  
ტრს თავისი წერილით მოსთხოვა. მი-  
ნისტრმა ამით თავის უფლებამოსილე-  
ბას გადაამეტა, რადგან იცოდა, რომ  
აღნიშნული ქონება დაყადლებული  
იყო და მასზე სასამართლო დავა მი-



მდინარეობდა. ამ შემთხვევაშიც იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები“, – აცხადებს იურისტი გაგი მოსიაშვილი.

**თამარ რევაზიშვილი:** საჯარო რეესტრის ამონაწერით ირკვევა, რომ „სავაჭრო ცენტრ ბათუმს“ ქონება სამი დოკუმენტის საფუძველზე დაურეგისტრირდა. ესენია 299-ე ბრძანება, ბათუმის მუნიციპალიტეტის 61-ე გადაწყვეტილება და კანონი („ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“). ბათუმის მერმა 2007 წლის 17 მაისს გააუქმა მხოლოდ 299-ე ბრძანება, რომელიც საკუთრების ჩამორთმევის საფუძველი

ბის ჩამოსართმევად. „სავაჭრო ცენტრ ბათუმს“ მიწა თავის დროზე უკანონოდ ჰქონდა შეძენილი“.

„დოკუმენტაციით ირკვევა, რომ მიწის შესყიდვა 1999 წელს ყველა წესის დაცვით მოხდა. თუნდაც დაეუშვათ, რომ მაშინ დაირღვა კანონი, რომელიც მიწის შესყიდვის საფუძველი გახდა, არ უნდა დაგვავინყდეს, რომ იმ კანონს 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა ჰქონდა. 1999 წლიდან 2007 წლამდე ხანდაზმულობის ვადა გასულია და ამ მიწას მესაკუთრეს სასამართლოს ძალითაც ვერ ჩამოართმევდნენ“, – აცხადებს იურისტი თამარ რევაზიშვილი.

სახელმწიფოს მხრიდან ხოფის ბაზრობასთან დაკავშირებული კანონდარღვევა ამით არ ამოწურულა.

ქონების ჩამორთმევის შემდეგ ბაზრობის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი

მენილე, ილია ანანიძე დააპატიმრეს. მას ბრალი დასდეს სახელმწიფოს ქონების მითვისებაში. სამართალდამცავებმა კანონის დარღვევად ჩათვალეს პარტნიორთა კრების 2005 წლის გადაწყვეტილება, როცა მათ 1996-1998 წლებში სახელმწიფოსგან მიყენებული 700 ათასი ლარის ზარალის ასანაზღაურებლად სახელმწიფოს მისი კუთვნილი დივიდენდის მიცემა შეუწყვიტეს.

„1996-1998 წლებში მოგების 100 პროცენტს მხოლოდ სახელმწიფო იღებდა, სწორედ ამ ზედმეტი დივიდენდის გამოქვითვა ჩათვალა პროკურატურამ ჩემს ძმას სახელმწიფო ქონების მითვისებად. საინტერესოა ის, რომ პარტნიორების გადაწყვეტილება „ალამი-1“-ის ერთ-ერთ პარტნიორს – სახელმწიფოს მაშინვე ეცნობა, მაგრამ მაშინ გადაწყვეტილება არავის გაუპროტესტებია და არც გაუსაჩივრებია. როცა ქონების წართმევა მოუწდათ, ეს ამბავი მაშინ გაიხსენეს“, – აცხადებს დავით ანანიძე.

სახელმწიფოსთვის დივიდენდის გამოქვითვის გადაწყვეტილებას კიდევ ერთი პარტნიორი, თეიმურაზ კომახიძეც აწერდა ხელს, თუმცა მის მიმართ სამართალდამცავებს პრეტენზია არ გასჩენიათ.

„სამართალდამცავებმა მხოლოდ ილია ანანიძე დააპატიმრეს. საინტერესოა, თუ ანანიძის ქმედება დანაშაულად ჩათვალეს, იგივე ქმედებისთვის რატომ არ დააპატიმრეს მეორე ხელის მომწერი-პარტნიორი თეიმურაზ კომახიძე? ეს მინიშნებს, რომ ანანიძის მიმართ გარკვეული ინტერესები ჰქონდათ“, – აცხადებს მოსიაშვილი.

წარგზავნა აბაშიძის მეუღლეს ტელეფონით ვესაუბრეთ. მან ამ საკითხზე აზრის გამოთქმა არ ისურვა. ჩვენი ინფორმაციით, მისი ოჯახი ხოფის ბაზრობის 30%-იანი წილისთვის ბრძოლას აღარ აპირებს.

ილია ანანიძეს ბათუმის სასამართლომ 9 წლით პატიმრობა მიუსაჯა. გადაწყვეტილება ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრებული. დღევანდელი მდგომარეობით, 20%-იანი წილის მფლობელმა სახელმწიფომ 10 მილიონ დოლარად ღირებული ბაზრობის 100-ვე პროცენტი მისი საკუთრება. ქონების ჩამორთმევა სასამართლოშია გასაჩივრებული, თუმცა 2-წლიანი დავის მიუხედავად, არანაირი გადაწყვეტილება არ მიუღიათ. ანანიძეების ოჯახს მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იმედი აქვს. ■



■ ხოფის ბაზრობის საერთო ხედი.

ნამდვილად ვერ გახდებოდა, დღესაც ძალაშია 61-ე გადაწყვეტილება და ზემოხსენებული კანონი. სამი საფუძველიდან ერთის გაუქმებით ქონების ჩამორთმევა ცალსახად უკანონოა. საჯარო რეესტრმა კანონი დაარღვია, როცა მერის მოთხოვნით ხელყო საკუთრების უფლება“.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურისტი იაგო ხვიჩია მიიჩნევს, რომ რეესტრის თანამშრომლებს კანონი არ დაურღვევიათ: „ჩვენ მიგვაჩნია, რომ მერის ბრძანების გაუქმება საკმარისი საფუძველი იყო ქონე-

**■ 2009 წლის 7 ივლისს სამართალდამცავებმა შპს „სავაჭრო ცენტრი ბათუმი“, რომელიც 13 წელიწადს იყო ბაზრობის მფლობელი, მისი ტერიტორიიდან გააძევეს. ქონება კი, რომელიც ამჟამად 10 მილიონ დოლარადაა შეფასებული, სახელმწიფო კომპანიის ხელში გადავიდა.**



## კონსტრუქცია

# „მოსკოვსკი“ და „პოდმოსკოვია“ სხივნალში

მოსკოვის მთავრობის მიერ აშენებულ კომფორტულ კოტეჯებში თავშესაფარს იპოვიან ის ადამიანები, რომლებიც თბილისის აგრესიის შემდეგ უსახლკაროდ დარჩნენ.

### ანა ჯიოვა, ცხინვალ

იქ, სადაც ახლა ცემენტის, ახლად დაგებული ასფალტისა და საღებავების სუნი ტრიალებს, 2008 წლის აგვისტომდე ვენახები იყო. ეს ადგილი ქართულ სოფელ თამარაშენს ეკუთვნოდა.

ცხინვალიდან ჯავისკენ მიმავალ გზაზე დიდი აბრაა წარწერით – „მიკრორაიონი „მოსკოვსკი“.

ახალ საცხოვრებელ კვარტალს, რომელიც ცხინვალის მახლობლად მოსკოვის მთავრობის სარეზერვო ფონდის სახსრებით შენდება, სახელწოდება სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ შეურჩია.

საძირკველში პირველი ქვა 2008 წლის 2 ოქტომბერს თავად რუსეთის დედაქალაქის მერმა იური ლუჟკოვმა ჩადო.

„Amond uema!“ – ოსურად მიესალმა ლუჟკოვი ცხინვალში თეატრალურ მოედანზე შეკრებილებს. „არაადამიანმა სააკაშვილმა თავის ბნელი ზრახვების შესრულება ვერ შეძლო, და ვეღარა-

სოდეს შეძლებს, რადგან ამიერიდან სამხრეთი ოსეთი რუსეთის მფარველობის ქვეშაა. მოსკოვს ერთი სურვილი აქვს – თითოეულ თქვენგანს შეიძლება მალე საკუთარი სახლი ჰქონდეს. ყველას გექნებათ მიწის ნაკვეთი, სადაც მოიყვანთ ხეხილს, ბოსტნეულს, ვაზს“.

სოფელი თამარაშენი ცხინვალის ჩრდილოეთი ნაწილის გაგრძელება იყო. აქედან იწყებოდა ქართული ანკლავი, რომლის შემადგენლობაში ოთხი დიდი სოფელი იყო: ქურთა, კეხვი, თამარაშენი და აჩაბეთი. ანკლავი ჯავასთან სრულდებოდა.

სოფელი თამარაშენი 2008 წლის ომის დროს ძალიან დაზარალდა. 8 აგვისტოს ცხინვალიდან ჯავისკენ მიმავალი მთავარი გზის გასწვრივ ჩამწკრივებული თითქმის ყველა კერძო სახლი დაინვა, შემდეგ ისინი დაანგრეს და ახლა იქ ცარიელი ადგილია.

„მოსკოვსკის“ შესასვლელთან პატარა კაფეა სახელწოდებით „პოდმოსკო-

ვია“. ოსური და რუსული სამზარეულოს მიქსი. პერსონალი ამბობს, რომ ბიზნესი კარგად მიდის. კოლეგებთან ერთად კაფეში შევედით, გვინდოდა ზინკალი შეგვეკვითა, თუმცა არ ჰქონდათ და სანაცვლოდ პელმენი შემოგვთავაზეს. აქ ძირითადად ტრასაზე გამვლელები, მშენებლობაზე დასაქმებული მუშები და მშვიერი ჟურნალისტები სადილობენ.

მოსკოვური ქალაქის ასაშენებლად 2,5 მილიარდი რუბლია გამოყოფილი. ეს ის ფულია, რომელიც მოსკოვის ბიუჯეტმა გასულ წელს დაზოგა, რადგან ზამთარი თბილი იყო და გათბობაზე ნაკლები თანხა დაიხარჯა. ცხინვალში ხუმრობენ, – ღმერთი და ბუნება ჩვენ მხარეს ყოფილაო.

ერთადერთი შენობა, რომელიც ახალ მიკრორაიონში უკვე ფუნქციონირებს, ახალი ფეშენებელური სკოლაა, რომელიც 600 მოსწავლეზეა გათვლილი. აქ სწავლობენ მე-5, მე-9 და მე-12 სკო-





■ მიკრორაიონი „მოსკოვსკი“ ცხინვალში, 2009

ლის მოსწავლეები. ეს სკოლები ომის დროს დაიბომბა, „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად“ სააკაშვილის მიერ მოწყობილი ოპერაციის შედეგად. 1 სექტემბრისთვის მათი აღდგენა ვერ მოესწრო. ახალი სკოლა 31 აგვისტოს საზეიმოდ გახსნა იური ლუჟკოვმა.

ცენტრალური გზის გასწვრივ გარე განათების ლამპიონები დამონტაჟდა. აქ ქუჩებს ჯერ სახელები არ აქვთ, სახლებს კი ნომრები.

ფერადი ორსართულიანი კოტეჯებით აჭრელებული „მოსკოვსკი“ შორიდანვე თვალშისაცემია. თითო კოტეჯი ერთ ოჯახზეა გათვლილი.

მართალია, აქ ჯერ არავენ შესახლებულა, მაგრამ ცხოვრება მაინც დულს. ზუზუნებენ ესკავატორებები, ამწეები. ირგვლივ მტვრის ბუღია.

მიკრორაიონის ჩრდილოეთ ნაწილში მთელი სიმძლავრით მუშაობს ბეტონის კვანძი, რომელიც ბეტონით ამარაგებს ცხინვალში ნამონყებულ მრავალრიცხოვან მშენებლობებს.

ბევრი კოტეჯი თითქმის დასრულებულია, შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოები დარჩა. ამჟამად მუშებს წყლისა და გაზის მილები გაჰყავთ.

უკვე დაგებულია ასფალტი. ტროტუარები ფერადი ფილებითაა მოპირკეთებული, გაზონებზე გრუნტი დაყარეს. როცა მშენებლობა დამთავრდება, აქ მწვანე ბალახსა და ყვავილებს დარგავენ.

დაგეგმილია შიგნიდან კოტეჯების თანამედროვედ მოწყობა: მეორე სართულზე დახვეული კიბე ადის. ყველა სახლში ინდივიდუალური გათბობა და ცხელი წყალი იქნება.

ცხინვალში ხუმრობენ, რომ 90-იანი წლების ომის შემდეგ ლტოლვილთა საკითხებში გაერო-ს უმაღლესი კომისიის სამმართველოს მიერ აშენებული სახლები, „მოსკოვსკის“ კოტეჯებთან შედარებით, კაპიტალურ საქათმეებს ჰგავს.

ახალმა კოტეჯებმა უკვე გაიარა გამძლეობის გამოცდა – 7 სექტემბრს ცხინვალში გვარიანად იგრძნობოდა მიწისძვრა, რომლის ეპიცენტრი საქართველოში იყო. თუმცა, კედლებზე ერთი ბზარიც არ გაჩენილა.

მიკრორაიონის მშენებლობის საქმეში ადგილობრივი მუშახელი დასაქმებული არ არის. სამშენებლო სამუშაოების ხელმძღვანელის კონსტანტინ შოვას თქმით, ობიექტის მშენებლობაზე 11 სამშენებლო ორგანიზაცია მუშაობს. ეს ორგანიზაციები უმსხვილესი რუსული სამშენებლო კომპანიის, „სუ-155“-ის შემადგენლობაში შედიან.

„ყველანაირად ვითვალისწინებთ მოსახლეობის ინტერესებს. აქაურები ხშირად აკეთებენ კონსერვებს ზამთრისთვის, აყენებენ ღვინოს, ამიტომ „სუ-155“-ის ხელმძღვანელობამ სპეციალური პროექტი შეიმუშავა, რომლის მიხედვით, ყველა კოტეჯს დიდი სარდაფი ექნება“, – ამბობს შოვა.

პირველმოსახლეები ამ რაიონში, სავარაუდოდ, ახალი წლისთვის გაჩნდებიან. მიკრორაიონის მშენებლობის დასრულება კი ერთი წლის შემდეგ იგეგმება. ■

**სტატიაში გამოყენებული ტერმინოლოგია ეკუთვნის ავტორს და არა „ლიბერალს“.**

**■ „მოსკოვსკის“ შესასვლელთან პატარა კაფეა სახელწოდებით „პოდმოსკოვი“. აქ ოსური და რუსული სამზარეულოს კერძებს ამზადებენ. კოლეგებთან ერთად შევედით, გვინდოდა ხინკალი შეგვეკვითა, თუმცა არ ჰქონდათ და სანაცვლოდ პელმენი შემოგვთავაზეს.**



აფხაზეთი, მდინა

# პრეზიდენტი უზრუნველყოფს წინააღმდეგობას

## „ლიბერალის“ სოხუმელი ავტორი – ანტონ კრივენიუკი ცილისწამების მუხლით გაასამართლეს. მას სასამართლო პრეზიდენტმა ბალაფშია მოუგო.

### ანად გოგორიანი, სოხუმი

აფხაზეთის პრეზიდენტისა და უზრუნველყოფის ანტონ კრივენიუკის სასამართლო პროცესი სერგეი ბალაფშის სასარგებლოდ დასრულდა.

უზრუნველყოფის აფხაზეთის ისტორიაში პირველად გაასამართლეს ცილისწამების მუხლით.

ანტონ კრივენიუკი უზრუნველყოფის „ლიბერალის“ ერთ-ერთი ავტორია სოხუმიდან. იგი ასევე რუსულ ინტერნეტ გამოცემა „სეგოდნია.რუ“-სთან თანამშრომლობს.

მოსამართლე დავით ჩაგანავამ გამოიტანა განაჩენი, რომელიც მთლიანად დემთხვა ბრალდების მოთხოვნებს.

სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ანტონ კრივენიუკმა ერთ-ერთ სტატიამში ცილი დასწამა სერგეი ბალაფში. უზრუნველყოფის მიუსაჯრეს პირობითი სამი წელი, ორწლიანი გამოსაცდელი ვადით.

კრივენიუკის სამართლებრივმა დევნამ საზოგადოებაში დიდი რეზონანსი გამოიწვია. აფხაზმა და რუსმა კოლეგებმა მას სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს. მის დასაცავად განცხადებებს ავრცელებდნენ ოპოზიციური პარტიებიც.

ანტონ კრივენიუკი ოპოზიციასთან დაახლოებული უზრუნველყოფის ავტორია. იგი ოპოზიციური პარტია „ერას“ ლიდერის, ბესლან ბუტასთან თანამშრომლობს. მანამდე კი პრეზიდენტ ბალაფშის აპარატში მუშაობდა და ქვეყნის პირველი პირის ოფიციალური საიტის რედაქტორი იყო. აფხაზეთში ხშირია შემთხვევები, როცა უზრუნველყოფის შეთავსებით ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიასთან ან სახელისუფლებო სტრუქტურასთან თანამშრომლობენ.

კრივენიუკის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის საფუძველი გახდა 8 ივნისის „სეგოდნია.რუ“-ში გამოქვეყნებული კრიტიკული სტატია სათაურით: „დიდი აფხაზური აფიორა: რკინიგზა – კრიტიკა – ღორღი“.

„ინტერნული მასალების შემოტანაზე ბაჟის შემცირება ეკონომიკურ დივერსიას ჰგავს. ვნახოთ, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ აფიორას: აფხაზეთი 2 მილიარდი რუბლის ოდენობის ვალს მიიღებს. თანაც, ეს ფული გაურკვეველი მიმართულებით

გაუჩინარდება, რადგან კრედიტს იმთავითვე რკინიგზის აღდგენის ყალბი მიზეზით იღებენ... ვიღაცას ძალიან სჭირდება 2 მილიარდი რუბლი და, სანაცვლოდ, მზადაა, საკუთარი ქვეყნის ინტერესებიც დაივიწყოს. ეს ფული ძალიან სერიოზულ ზიანს მოუტანს აფხაზეთის ეკონომიკას, ეკოლოგიას და ქვეყნის იმიჯს. სახეზეა აფხაზეთისთვის კოლოსალური ოდენობის თანხის გათვრების სქემა, რომელიც ქვეყნის ხელისუფლებაც მონაწილეობს“..... – ეს არის ნაწყვეტი ანტონ კრივენიუკის სკანდალური სტატიიდან.

აფხაზეთის ხელისუფლების მიერ რუსეთთან დადებულ საეჭვო ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ხელშეკრულებებზე ანტონ კრივენიუკი ბევრს წერდა „ლიბერალშიც“.

უზრუნველყოფის თავის დამნაშავედ არ ცნობს და ამბობს, რომ ეს არა სასამართლო, არამედ პოლიტიკური პროცესია, რომელიც მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირდება.

მისი თქმით, ბალაფში განსაკუთრებით იმან გააღიზიანა, რომ სტატია რუსულ პრესაში გამოქვეყნდა.

კრივენიუკი უზენაეს სასამართლოში აპირებს კასაციის შეტანას. „სასამართლოს ჩემთვის ჩემივე სიტყვების უარყოფა არ დაუკისრებია, რაც, ვფიქრობ, ირიბად მიანიშნებს, რომ სტატიაში თქმული სიმართლეა“, – ამბობს კრივენიუკი. თუმცა დასძენს, რომ აფხაზურ სასამართლოს არ ენდობა და მხოლოდ საზოგადოების მხარდაჭერის იმედი აქვს.

სასამართლოზე თავად ბალაფში არ გამოჩენილა, მაგრამ იყვნენ სხვა მაღალჩინოსნები. მათმა ჩვენებებმა ნაწილობრივ დაადასტურა კრივენიუკის სტატიაში გამოთქმული ეჭვები.

სასამართლოში აფხაზეთის რკინიგზის ხელმძღვანელმა გურამ გუბაზმა განაცხადა, რომ არ ჩატარებულა კვლევა აფხაზეთის რკინიგზის ახლანდელი მდგომარეობის შესახებ. აფხაზმა ეკოლოგმა, რომან დბარმა კი განაცხადა, რომ მთავრობისგან ჯერ არ მიუღია არც ერთი განაცხადი ღორღის მოპოვებაზე. „არადა, ჩვენ გვეუბნებიან,

რომ რკინიგზის აღდგენის აუცილებლობა იმითაა გამოწვეული, რომ სოჭში ოლიმპიადისთვის ინტერნული მასალები უნდა გაიტანონ, ალბურ კრედიტს კი გადაიხდის არა სახელმწიფო, არამედ კერძო ბიზნესი, რომელიც აფხაზეთიდან ღორღს გაიტანს. განა ეს ავანტიურა არ არის? არ ვიცით, კონკრეტულად რისთვის ვითხოვეთ ამგელა ფული, რის საფასურად, როდის და რით უნდა გადავიხადოთ?“ – ამბობს გაზეთ „ჩეგემსკაია“ პრავდას“ რედაქტორი ინალ ხაშიგი.

აფხაზურ მედიასა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობა განსაკუთრებით დაიძაბა ბოლო ერთი წლის განმავლობაში. კრივენიუკის საქმე ხელისუფლების მხრიდან უზრუნველყოფის ბეზელის მხოლოდ ერთ-ერთი მაგალითია.

აფხაზეთის ხელისუფლებასთან პრობლემები ჰქონდა „ჩეგემსკაია პრავდას“ რედაქტორსაც. ხელისუფლებასთან დაახლოებული რამდენიმე პირი ინალ ხაშიგს პოლიტიკოსკაიას და ხოლოდოვის ბედის გაზიარებით დაემუქრა, თუ იგი ხელისუფლების კრიტიკას თავს არ დაანებებდა. საუბარი სოხუმის გარეუბანში, უკაცრიელ პლაჟზე შედგა, სადაც ხაშიგი მანქანით მიიყვანეს.

ასეთივე „სერიოზული საუბარი“ ჰქონდათ გაზეთ „ნოვი დენის“ რედაქტორთან სერგეი არუთუნოვთან, რომელიც სოხუმის ერთ-ერთ კაფეში ფინჯან ყავაზე დაპატიჟეს.

„ჩეგემსკაია პრავდასა“ და „ნოჟნიაა გაზეტასთვის“ მომსახურების განვევაზე უარი თქვა უნივერსიტეტის სტამბამ, სადაც ეს გაზეთები წლების განმავლობაში იბეჭდებოდა. ხელისუფლება არ აძლევს ლიცენზიას კერძო ტელეკომპანია „აბაზა ტვ“-ს, რომელიც ოპოზიციონერ ბესლან ბუტასს ეკუთვნის.

ადგილობრივი ექსპერტები ამბობენ, რომ, რაც უფრო ახლოვდება აფხაზეთის პრეზიდენტის არჩევნების თარიღი, მით უფრო არაკომფორტული გახდება სამუშაო გარემო უზრუნველყოფისთვის. **■**

**სტატიაში გამოყენებული ტერმინოლოგია ეკუთვნის ავტორს და არა „ლიბერალს“.**

თვალსაზრისი

თურქეთი როგორც აფხაზეთის  
კონფლიქტის გასაღები



რუსეთის სამხედრო აგრესიის შემდეგ,  
საქართველოსთვის, მეზობელ ქვეყნებთან,  
განსაკუთრებით კი თურქეთთან ინტეგრაციის  
სტრატეგიული ამოცანა გამოიკვეთა.

**ირაკლი ალასანია,**  
„ალიანსი საქართველოსთვის“ ლიდერი

სუვერენული ქვეყნის ოკუპაციამ აშკარა გახადა კავკასიის მიმართ  
რუსეთის პოლიტიკის მტაცებლური ბუნება, საერთაშორისო სამშვი-  
დობო მექანიზმების უსუსურობა და რეგიონის ქვეყნებს სრული დაუ-  
ცველობის განცდა გაუჩინა.

რუსეთის მიერ საქართველოს ორი მხარის აღიარებამ დაგვაცენა  
ახალი რეალობის წინაშე, რომელსაც პირველ რიგში რეგიონის ქვეყნე-  
ბმა საქართველოს მხარდაჭერით უნდა უპასუზონ.

საქართველო-თურქეთის სტრატეგიულ ურთიერთობებში აფხა-  
ზეთს განსაკუთრებულად მგრძობიარე ადგილი ეკავა. აფხაზეთის  
სივრცეზე საქართველოს სუვერენიტეტის პატივისცემა იყო და რჩება  
თურქეთის საგარეო პოლიტიკურ პოზიციადა.

საკუთარ ქვეყანაში მრავალრიცხოვანი აფხაზური და ქართული  
დიასპორების გამო, თურქეთს ბუნებრივი ინტერესი ჰქონდა და აქვს,  
არ შეწყვიტოს ურთიერთობები აფხაზეთთან. ქართულმა მხარემ ეს  
ფაქტორი სათანადოდ ვერ გამოიყენა ქართულ-აფხაზური პირდაპირი  
დიალოგის ხელშესაწყობად. ამავე დროს, თურქეთის პოზიტიური  
გააქტიურება აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსული გავლენის ზრდის  
ერთ-ერთი რეალური საპირობაა.

სეპარატისტულ რეგიონებში ჩვენს ინტერესებთან ტრადიციულად  
თანხმედრი პოზიცია საფუძველს გვაძლევს, გამოვიჩინოთ პოლი-  
ტიკური სითამამე და, ევროკავშირის პროექტების პარალელურად,  
თურქეთიც ჩავრთოთ აფხაზური საზოგადოების იზოლაციიდან გა-  
მოყვანაში.

საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად აფხაზეთის და ცხინ-  
ვალის რეგიონის არაღიარების პოლიტიკის მტკიცე პოზიციით, საქარ-  
თველოს ხელისუფლებასთან შეთანხმებით, თურქეთს უნდა მივცეთ  
აფხაზეთთან ეტაპობრივი, მრავალმხრივი სავაჭრო ურთიერთობების  
დამყარების შესაძლებლობა. ამის განხორციელება კი მხოლოდ ცენ-  
ტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის გა-  
ვლით და მასთან შეთანხმებით უნდა იყოს შესაძლებელი.

ასევე, სპეციალური სამხრეთი – ქართულ-აფხაზურ-თურქული მო-  
ლაპარაკების საგანი უნდა გახდეს საზღვაო მიმოსვლის პირობებზე  
შეთანხმება. ეს ხელს შეუწყობს საქართველოს მთავარი ამოცანის მი-  
ღწევაში: აფხაზეტს, რუსეთის გარდა, ახალი საგარეო ალტერნატივა  
გაუჩინოს და, ამასთანავე, საფუძველი ჩაეყაროს ქართულ და აფხა-  
ზურ საზოგადოებებს შორის ადამიანური ურთიერთობების აღდგენას.  
მხოლოდ ურთიერთნდობის აღდგენით შეიძლება პოლიტიკური დარე-  
გულირებისთვის აუცილებელი პირობების შექმნა.

თურქეთის მონაწილეობა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების  
აღდგენაში ჩვენი მხრიდან თანმიმდევრული, შეუქცევადი და რეალის-  
ტური სამშვიდობო სტრატეგიის ნაწილი უნდა გახდეს, რაც საფუ-  
ძველად დაედება ერთიან სახელმწიფოში თანაარსებობაზე გულწრფე-  
ლი მოლაპარაკებების დაწყებას. დემოკრატიული, ეკონომიკურად  
ჯანსაღი, ევროპული უსაფრთხოების და კეთილდღეობისკენ მტკიცედ  
მიმავალი საქართველო ყველაზე მიმზიდველი არჩევანი გახდება ჩვენი  
ქვეყნის აფხაზი და ოსი მოსახლეობისთვის.

ჰაინრიხ ბოლის ფონდი ასახალებს ჯონაჰისს  
ხაბონდაჯი სასტიკანდო ჰომოხაიმისათვის  
სოსიანჯი მასნიჩაბაში

ჰაინრიხ ბოლის ფონდი დამოუკიდებელი პოლიტიკური ფონდია,  
რომელიც თანამშრომლობს გერმანიის მწვანეთა პარტიასთან.  
ფონდი ხელს უწყობს დემოკრატიული პოლიტიკური კულტურისა  
და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას.

ჯონაჰისის ჰომოხაი

რეგიონალური საკვლევი სტიპენდიის მისაღებად განაცხადის  
შემოტანა შეუძლიათ პროგრამის დაწყების მომენტისათვის  
35 წლამდე (1975-1987 წლებში დაბადებულ) ახალგაზრდა  
მკვლევრებს, რომლებსაც გააჩნიათ უმაღლესი განათლება და  
რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში.  
სავალდებულოა ორი უცხო ენის (ინგლისური და რუსული)  
კარგი ცოდნა. ყურადღება მიექცევა თემატურ სიახლეს და  
ორიენტაციას თანამედროვე მეთოდოლოგიაზე, ამასთანავე  
კვლევის თვისობრივ მეთოდებს.

ფონდი აფინანსებს ჯაჯაჰს შაძებ მთხითაბათა ფაჩბაში:

- ახალი შეხედულებები ეთნო-პოლიტიკურ კონფლიქტებზე;
- მიგრაციული პრობლემები;
- ლტოლვილები: გადარჩენის სტრატეგიები;
- პოლიტიკური კულტურის განვითარების დინამიკა და ანალიზი;
- ყოველდღიური ყოფის ისტორია/ ანთროპოლოგია;
- წინააღმდეგობის და რეპრესიების ისტორია;
- იდენტობების კონსტრუირება;
- „ჩვენიანი“ და „უცხო“ საზოგადოებაში;
- უთანასწორობისა და დისკრიმინაციის პრობლემები;
- გენდერული როლების ტრანსფორმაცია;
- ურბანიზაცია და ქალაქური კულტურა;
- ქალაქის მდგრადი განვითარების პრობლემები  
(სოციალური/ ეკოლოგიური/ ეკონომიკური);
- ქალაქის სოციალური და საინფორმაციო ინფრასტრუქტურა;
- არქიტექტურა/ ურბანული გარემო და ხელისუფლება.

ხანძიძიშობა და მოსალოზა

სტიპენდიის ხანგრძლივობა განისაზღვრება 12 თვით – 1.01.2010  
– 31.12.2010. სტიპენდიის მოცულობა შეადგენს ყოველთვიურად  
250 ევროს. დამატებით გათვალისწინებულია ფონდის მიერ  
ორგანიზებული თანამდევნი პროგრამა სემინარების, საზაფხულო  
სკოლის, პუბლიკაციებისა და ა.შ. სახით.

სრული ინფორმაცია კონკურსის შესახებ და განაცხადის ანკეტა  
ჩამოტვირთეთ რეგიონალური ბიუროს ვებ-გვერდიდან:

[www.boell.ge](http://www.boell.ge)

საკონკურსო განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2009 წლის 30  
ოქტომბერი, 18:00 სთ.



■ მეთევზეები მტკვარზე, თბილისი 2009

## მეზობლები

# სამი ქვეყანა, ერთი მდინარე

სამხრეთ კავკასიის წყლის მთავარი არტერია ეკოლოგიური საფრთხის წინაშეა.

### ეკა ჭითანავა, თბილისი

საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი საერთო ეკოლოგიური საფრთხის წინაშე დგანან. მდინარე მტკვრის დაბინძურებაში წვლილი სამივე ქვეყანას შეაქვს, პრობლემის გადასაჭრელად კი ერთიანი გეგმის შემუშავება ვერ მოხერხდა.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და ინდუსტრიული ნარმოების შემცირების შემდეგ მტკვარი ძირითადად ჩამდინარე წყლებით ბინძურდება. გამწმენდი ნაგებობები კი ამ ქვეყნებში, თითქმის ოცი წელია, არ განახლებულა.

მდინარის დაბინძურებაზე მონიტორინგს სამივე ქვეყნის სპეციალისტები ატარებენ. მათე ნივთიერებების კონცენტრაცია ზღვარდასაშვებ ნორმას დაახლოებით ორჯერ აღემატება.

მტკვარი სათავეს თურქეთში იღებს და საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიების გავლით კასპიის ზღვაში ჩაედინება. მას შესართავები აქვს სომხეთში, ირანსა და საქართველოში.

საქართველოს გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი მარინა არაბიძე ამბობს, რომ

ამ დროისთვის მტკვრის დაბინძურების ხარისხი ჯანმრთელობისათვის საშიში არ არის.

ბევრად უფრო მწვავედ დგას ეს პრობლემა აზერბაიჯანში, სადაც ამ მდინარის წყალს სასმელად იყენებენ.

ბაქოს დასახლება სულუტეპეში მცხოვრები საიდ აბასოვი ახალი მილსადენის გაყვანას მოუთმენლად ელოდება იმ იმედით, რომ ამ მილსადენში გაფილტრული წყალი გაივლის. „ონკანის წყლის აუღუღებლად დაღევა შეუძლებელია. ჭიქაში რომ ვასხამთ, ხან მიწისფერია, ხანაც ქლორის სუნი აქვს“, – ამბობს ის. საიდი ამ წყალს ბალის მოსარწყავადაც კი არ იყენებს.

მტკვრის ეკოლოგიური მდგომარეობით უკმაყოფილებას აზერბაიჯანის ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროშიც იზიარებენ.

ამ უწყების წარმომადგენელი მამედჰუსეინ მუსლიმოვი ამბობს, რომ მტკვარი საქართველოსა და სომხეთის ქალაქების ჩამდინარე წყლებით ბინძურდება.



მისი თქმით, მდინარეს განსაკუთრებულ ზიანს აყენებს ის ქიმიური ნარჩენები, რომლებიც სომხეთში, ალავერდში მოქმედი სპილენძის კომბინატიდან ჩაედინება.

ბაქოში 122 გამწმენდი მოდული მუშაობს და წყალი მექანიკურადაც და ბიოლოგიურადაც იწმინდება. თუმცა, სამმილიონიანი ქალაქისთვის ეს საკმარისი არ არის.

საქართველოში ასეთი გამწმენდი ნაგებობა მხოლოდ ერთია – თბილისი-რუსთავის და ისიც მტკვარს მხოლოდ მექანიკურად, ბიოლოგიური გამწმენდის გარეშე ასუფთავებს.

კავკასიის რეგიონული გარემოს დაცვითი ორგანიზაცია Rec Caucasus-ის ინფორმაციით, საშუალოდ, ერთ სული მოსახლისთვის სამყოფი წყლის გამწმენდი ნაგებობის დაყენებას 450 ევრო სჭირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ თბილისის 1,5 მილიონიანი მოსახლეობის ახალი დანადგარებით უზრუნველყოფა დახლოებით 675 მილიონი ევრო დაჯდება. ასეთი ხარჯების გასაწევად კი საქართველოს მთავრობა ჯერჯერობით მზად არ არის.

გარემოს დაცვის სამინისტრომ 2007 წელს წყალაღება-წყალჩაშვებაზე ნებართვები გააუქმა. სამეწარმეო საქმიანობის დაწყებამდე კომპანია წყლის გარკვეული რაოდენობის გამოყენებაზე იღებდა ნებართვას, ფასდებოდა იმ მანვნი ნივთიერებების რაოდენობა, რასაც იგი წყალში ჩაუშვებდა.

## ■ საქართველო წყლის

საერთაშორისო კონვენციებს ხელს  
ვერ აწერს, რადგან ამ შემთხვევაში,  
აზერბაიჯანისათვის ჯარიმების  
გადახდა მოუწევს. საქმე ისაა, რომ  
მტკვარი საბოლოოდ აზერბაიჯანის  
ტერიტორიაზე, კასპიის ზღვაში  
ჩაედინება და, შესაბამისად,  
საქართველოსა და სომხეთის მიერ  
დაბინძურებული წყალიც იქ ხვდება.



■ მტკვრის დაბინძურებული ნაპირი, თბილისი 2009

2008 წლიდან ამოქმედდა „გარემოზე ზემოქმედების შესახებ კანონი“, რომელიც მენარმეს ასეთი ნებართვების აღები-საგან ათავისუფლებს. შესაბამისად, შესუსტდა კონტროლი კონკრეტულ სანარმოებზე, რომლებიც წყლის პოტენციური დამაბინძურებლები არიან. საქართველოს გარემოს დაცვის ინსპექციაში აცხადებენ, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში წყლის დაბინძურებისთვის არავინ დაუჯარიმებიათ.

საქართველო ვერც წყლის საერთაშორისო კონვენციებს აწერს ხელს, რადგან ამ შემთხვევაში, აზერბაიჯანისათვის ჯარიმების გადახდა მოუწევს.

საქმე ისაა, რომ მტკვარი საბოლოოდ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, კასპიის ზღვაში ჩაედინება და, შესაბამისად, საქართველოსა და სომხეთის მიერ დაბინძურებული წყალიც აქ ხვდება.

სომხეთს ჯარიმის გადახდის ვალდებულებისგან აზერბაიჯანთან დიპლომატიური კავშირის არარსებობა ათავისუფლებს.

ერევნელი ეკოლოგები ამბობენ, რომ სომხეთი ყველაზე ნაკლებადაა პასუხისმგებელი მტკვრის დაბინძურებაზე.

„სომხეთი მთავორიანი ქვეყანაა და ჩვენი მდინარეების უმრავლესობაც მთისაა. ეს იმას ნიშნავს, რომ წყალი ბუნებრივად, თავისთავად იწმინდება“, – ამბობს ეკოლოგი კარინე დანელიანი.

ევროკავშირის ქვეყნებში მდინარეების ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების რამდენიმე წარმატებული მაგალითი არსებობს. ერთ-ერთია მდინარე რაინი, რომელზეც 1986 წელს ეკოლოგიური კატასტროფა მოხდა. შეიცვალა რიის ქალაქ ბაზელის ქიმიურ ქარხანაში გაჩენილი ხანძრის შედეგად მდინარეში 30 ტონა სასოფლო-სამეურნეო ქიმიკატი ჩაიღვარა. ნახევარი მილიონი თევზი დაიღუპა, ზოგიერთი სახეობა კი საერთოდ გაქრა.

საზოგადოების მწვავე რეაქციას 1987 წელს „სამოქმედო პროგრამა – რაინი“-ს მიღება მოჰყვა, რომელსაც ევროკავშირის ყველა ქვეყანამ მოაწერა ხელი. შეიქმნა რაინის აუზის საბჭო. საზოგადოებისა და ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევით, მდინარეში ნიტრატებისა და ფოსფატის ჩაედინება ძალიან მალე ორჯერ შემცირდა.

სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოში მოქმედებს წყლის რესურსების დაცვისა და მართვის კანონმდებლობა, მაგრამ არ არსებობს ერთიანი დოკუმენტი, რომელიც ტრანსსასაზღვრო მდინარეებისა და ტბების გამოყენებას დაარეგულირებდა.

წყლის რესურსების უკეთესად გაკონტროლებისთვის აუცილებელია საერთაშორისო კონვენციების რატიფიცირება. გაერო-ს ევროპის ეკონომიკური კომისიის კონვენციას (UNECE) სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნიდან ჯერჯერობით მხოლოდ აზერბაიჯანმა მოაწერა ხელი. საქართველო მსგავსი საერთაშორისო დოკუმენტების მისაღებად და საერთო საკანონმდებლო ბაზის შესაქმნელად პოლიტიკურად მზადაა. მთავარ დაბრკოლებად მხოლოდ ფინანსური რესურსების ნაკლებობა რჩება.

სამხრეთ კავკასიაში ეკოლოგიური პრობლემების ერთობლივად მოგვარებას ხელს ისიც შეუძლია, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის დიპლომატიური ურთიერთობა არ არსებობს. ■

სტატიის მომზადებაში მონაწილეობდნენ:  
სეიმურ კაზიმოვი, ბაქო,  
სარა ხოჯოიანი, ერევანი.



■ გროზნოს შესასვლელი



■ ჩეჩენი ქალი ბავშვებით გროზნოსთან მდებარე საგუმავგოს გადაკვეთისას

ჩეჩენთი

# ჩეჩენთი – თვითმკვლელების ომი

ჩეჩენთში კვირა არ გავა, რომ ტერორისტმა-თვითმკვლელმა თავი არ აიფეთქოს.

## ასია რამაზანოვა, გროზნო

წმინდა რამადანის თვეს ტერორისტმა თვითმკვლელმა ჩეჩენთში ათზე მეტი აფეთქება მოაწყვეს. აფეთქებები ძირითადად გროზნოს ცენტრში ხდება და ტერორისტების მთავარი სამიზნე სამართალდამცავები არიან. არიან მოკლულები და დაჭრილები.

16 სექტემბერი. ქალაქ გროზნოს ცენტრი. პუტინის გამაზირისა და მშვიდობის ქუჩის გადაკვეთაზე, მოდების სახლთან პანიკაა. როცა კვამლის დიდი ღრუბელი ნელ-ნელა იფანტება, იქ მყოფები შემზარავ სურათს ხედავენ.

მანქანა, რომელიც მოდების სახლის წინ იდგა, ფერფლადაა ქცეული. შენობის კედლები სისხლითაა შეღებილი. შუშები ჩამტვრეულია. ერთი ქალი ადამიანის ხორცის ნაფლეთებითაა დასვრილი და შემზარავად ყვირის: „გთხოვთ, მომამორეთ, მომამორეთ! მეტი არ შემიძლია“. ერთი მილიციელი გაუნძრევლად წევს მიწაზე, მეორე დაჭრილია და შევლას ითხოვს. იქვე აგდია ახალგაზრდა ქალის თავი ორი გრძელი ქერა ნაწნავით. ეს შაჰიდი ქალია, რომელმაც თავი აიფეთქა. მას რამდენიმე ადამიანი მობილური სურათს უღებს.

„ნათესავებსა და ნაცნობებს უნდა ვაჩვენო. იქნებ ვინმე იცნობს. მაინტერესებს, ვინ არიან ეს ქალები, საიდან მოდიან“, – ამბობს 57 წლის სეკიმატ უმანანოვა.

დაზარალებულთა უმეტესობა იქვე, გაჩერებასთან მდგარი სამარშრუტო ტაქსის

მგზავრია. ექვსი მშვიდობიანი მოქალაქე დაიჭრა.

ამ ტრაგედიიდან რამდენიმე წუთში ქალაქის ცენტრში კიდევ ერთმა თვითმკვლელმა აიფეთქა თავი.

თვეზე მეტია, ჩეჩენთის დედაქალაქში პანიკაა. ყველა სკოლასთან და ცენტრალურ ქუჩაზე დაყენებულია ვიდეოთვალი, გამკაცრებულია პატრულირება. სახელმწიფო დაწესებულებებს განსაკუთრებული რეჟიმით იცავენ. საზოგადოებრივ ტრანსპორტში გამოკრულია პლაკატები წარწერით: „ჩრდილოეთ კავკასიაში გახშირებული აფეთქებების გამო, გთხოვთ, გამოიჩინოთ მეტი ყურადღება“.

ჩეჩენთის პრეზიდენტის რამზან კადიროვის აზრით, ტერაქტების ეს სერია არაბი დაქირავებული ტერორისტების ხელწერაა. მან ძალოვანებს მოსთხოვა, მოძებნონ და დააკავონ ძმები – ჰუსეინ და მუსლიმ გაკაევები, რომლებიც, სამართალდამცავთა ინფორმაციით, ტერაქტების მომზადებაში მონაწილეობენ.

მოგვიანებით გაზეთ „ზავტრასთვის“ მიცემულ ინტერვიუში კადიროვმა აღნიშნა, რომ ჩეჩენთში ტერორისტები აშშ-დან და დიდი ბრიტანეთიდან ჩადიან, იარაღს კი მათ საქართველოდან და აზერბაიჯანიდან აწვდიან.

ტერაქტებთან დაკავშირებით განსხვავებულ ვერსიებს გამოთქვამენ ჩეჩენთის

რიგითი მოქალაქეები, რომლებსაც არ სჯერათ, რომ ხელისუფლება დამნაშავეთა დასჯას მოახერხებს.

ყველაზე მეტად გაგრძელებულია ვერსია, რომ რუსეთის სპეცსამსახურები მოსალოდნელი აფეთქებების შესახებ ინფორმაციას ფლობენ, მაგრამ არაფერს აკეთებენ მათ თავიდან ასაცილებლად. რესპუბლიკაში მუდმივი დაძაბულობა კრემლს ხელს აძლევს, რომ შემდეგ უფრო თამამად ჩაატაროს საზარელი კონტრტერორისტული ოპერაციები. გროზნოში ბევრი ფიქრობს, რომ სპეცსამსახურები თავად ამზადებენ თვითმკვლელებს.

მეორე ვერსია შურისძიებაა. დადასტურებულია, რომ ზოგიერთი თვითმკვლელი ადრე დაკავებული და სასტიკად ნაწამები ჰყავდათ სამართალდამცავებს. ბევრი ფიქრობს, რომ საკუთარი თავის აფეთქებით ისინი სამართალდამცველებზე შურს იძიებენ. ამ ვერსიას ისიც ამყარებს, რომ ბოლო დროს მომხდარი ტერაქტების ძირითადი სამიზნე სწორედ სამართალდამცავები იყვნენ.

არსებობს ისეთი მოსაზრებაც, რომ ჩეჩენი ახალგაზრდების გადაბირებას არაბი ტერორისტები ცდილობენ – არჩევენ ღარიბებსა და ობლებს.

ასეა თუ ისე, მოსახლეობა შიშში ცხოვრობს. კვირა არ გავა, ტერორისტმა-თვითმკვლელმა თავი არ აიფეთქოს





ტერაქტი, გროზნო, 16 სექტემბერი 2009



ჩეჩენური სპეცრაზმი

ყველაზე ხალხმრავალ ადგილას. აფეთქებები ხდება სკოლებთან, საბავშვო ბალებთან, საკონცერტო და თეატრალურ დარბაზებთან. თითქმის ყველა შემთხვევაში ახლომახლო სამართალდამცავები არიან.

21 აგვისტოს გროზნოში ოთხმა ტერორისტმა-თვითმკვლელმა აიფეთქა თავი. დაიღუპა ოთხი მილიციელი, ორი დაიჭრა.

აფეთქებები ხდება ჩეჩენეთის სხვა რაიონებშიც. 25 აგვისტოს სოფელ მესკერ-იურტში თვითმკვლელის აფეთქების შედეგად ოთხი მილიციელი დაიღუპა.

28 აგვისტოს რაიონულ ცენტრ შალიში, კადროვის ქუჩაზე ორმა თვითმკვლელმა აიფეთქა თავი, როდესაც სამართალდამცავებმა მათი დაკავება სცადეს. დაიღუპა სამი მილიციელი და სამი მოქალაქე.

12 სექტემბერს გროზნოს ლენინის რაიონში ახალგაზრდა ქალმა 41-ე სკოლასთან აიფეთქა თავი. დაიღუპა ორი მილიციელი, რამდენიმე ბავშვი დაიჭრა.

გახშირებული ტერაქტების ფონზე, ჩეჩენეთის მოსახლეობას ტერორისტებზე არანაკლებ აფრთხობს სამართალდამცავების საქციელი – ის მეთოდები, რასაც ისინი რესპუბლიკაში წესრიგის დასამყარებლად იყენებენ.

ოთხ შემთხვევაში ტერორისტი-თვითმკვლელები ველოსიპედით მოძრაობდნენ. ახლა ადგილობრივი სამართალდამცავები ყველა ველოსიპედისტს ეჭვით უყურებენ. „მე და ჩემი მეგობარი ველოსიპედით ვსეირნობდით, უცებ გზა გადაგვიღობა ორმა მანქანამ, გვიყვიროდნენ,

დაგვყარეს ძირს, გვცემეს, – ჰყვება 19 წლის სტუდენტი ისლამი, – შემდეგ რომ დარწმუნდნენ, ტერორისტები არ ვიყავით, გაგვიშვეს“.

„გაჩერებაზე ვიდექი, ხელში იატაკის საღებავებიანი პაკეტები მეკავა. გაჩერდა მანქანა, გადმოცივიდნენ სამხედროები, მიყვიროდნენ, – დადე პარკები და მიწაზე დაეგდეო. ავტომატის ლულით გამიჩხრიკეს პაკეტები, საღებავი დამიღვარეს

თქველი მონყობილობით დატვირთული „კამაზის“ საჭეს მიუჯდა და მაღალი სიჩქარით შეიჭრა რუსული სამხედრო კომენდატურის ტერიტორიაზე.

მაშინ ამ ამბავმა ჩეჩენეთი ააფორიაქა. ყველა ხავაზე ლაპარაკობდა. ვინც ჩეჩენ ხალხს იცნობს, მიხვდება, რომ ჩეჩენი ქალისგან, რომლის ფუნქცია პირველ რიგში დედობაა, იარაღის ხელში აღებას არავინ ელოდა.

ცნობილმა ჩეჩენმა ბარდმა, თიმურ მუცურაევმა ამ ახალგაზრდა ქალზე სიმღერაც კი დაწერა, რომელსაც შემდეგ მთელი ჩეჩენეთი მღეროდა: „მოდის ხავა, რომ დაიცვას მშობლიური მიწა. იქნებ მთელი ერი შაჰიდებად ვიქცეთ?“

„მაშინ სხვა დრო იყო, ამ აფეთქებებს სხვა მიზეზი ჰქონდა. მაშინ ცდილობდნენ, ჩეჩენი ხალხი რუსეთის ხელისუფლების განუკითხაობისგან დაეცვათ. ახლა კი პირიქით, ჩეჩენ ხალხს აფეთქებენ. ჩეჩენი ადგილობრივი სამართალდამცავებისა და

ხალხის წინააღმდეგ, ბავშვების წინააღმდეგ იბრძვიან“, – ამბობს პეტიმატ ისაევი, იმ სკოლის დირექტორი, რომლის მახლობლადაც მოხდა აფეთქება.

ჩეჩენი ექსპერტები შიშობენ, რომ მალე ჩეჩენეთს კვლავ გადაუვლის კონტრტერორისტული ოპერაციის ტალღა, როდესაც ადგილობრივი და ფედერალი სამართალდამცავები, მტყუან-მართლის განურჩევლად, ტერორისტებთან ნათესაობისა და მათი მფარველობის ბრალდებით, კლავენ, იტაცებენ, აპატიმრებენ და აწამებენ ადამიანებს. [



ჩეჩენი ბავშვები ჩეჩენეთ-ინგუშეთის საზღვრის გადაკვეთისას

და ბოდიშიც არ მოუხდიათ, ისე წავიდნენ, – ჰყვება 52 წლის აიმანი ჩუჩუევა, – მაღლობა ღმერთს, რომ გამჩხრიკეს და პირდაპირ იარაღი არ დამახალეს. რა გვეშველება, არ ვიცი“.

ჩეჩენეთის ტერიტორიაზე თვითმკვლელმა პირველად 2000 წელს აიფეთქა თავი. ეს იყო ახალგაზრდა ჩეჩენი ქალი, ხავა ბარაევა, რომლის ოჯახსმაც დიდი გასაჭირი გამოიარა ჩეჩენეთის ომის დროს. ხავა მოგსარ ბარაევის ნათესავი იყო, რომელმაც მოგვიანებით მოსკოვში, დუბროვკის თეატრში მძევლები აიყვანა. ხავა ასაფე-







საზოგადოება

# კულტურული მემკვიდრეობა და ვანდალიზმი

კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად  
სანქცია შესაძლოა, პირველად ამოქმედდეს.

ეკა ჭითანავა, თემო ბარძიმაშვილი

ვარძიის ბერ-მონაზონი მათე ვაშაყმაძე, 2009



ნებისმიერი ტაძარი საეკლესიო მსახურებისთვის შენდება, მაგრამ საუკუნეების განმავლობაში ისტორიულ და კულტურულ ღირებულებასაც იძენს. ამით ის არა მარტო სასულიერო პირებისა და მრევლის, არამედ მთლიანად საზოგადოების კუთვნილება ხდება.

ძველის საეკლესიო ფუნქცია უფრო მაღლა დგას, თუ მისი კულტურული მნიშვნელობა? – ამის შესახებ საქართველოში აზრი ორად იყოფა. აზრთა სხვადასხვაობა მისაღები იქნებოდა, ამით კანონი რომ არ ირღვეოდა. კანონი, რომლის წინაშეც, წესით, ყველა თანასწორი უნდა იყოს, ხშირად სასულიერო პირებზე არ ვრცელდება.

ორი წლის წინ ურბნისში 15-საუკუნოვანი ბაზილიკის უნიკალური ნიშნით ნაშენი კედლები კირით დაიფარა. წინამძღვარმა, მამა ლევანმა ტაძრის „გარემონტება“ აკუსტიკის გაუმჯობესების მიზნით გადაწყვიტა. ამის შესახებ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ შეიტყო და მღვდელს სამუშაოების შეჩერება მოსთხოვა. ადგილზე ჩასულ სააგენტოს თანამშრომლებს მრევლი დაესხა თავს და მანქანაც დაუზიანეს. კედლების შელესვა მამა ლევანს მაშინ საპატრიარქოშიც აუკრძალა, თუმცა ეკლესიის დიდი ნაწილი უკვე შელახული იყო.

ოთხი თვის წინ საპატრიარქოს საბჭომ მამა ლევანს ახალი პროექტი დაუმტკიცა. პროექტი ურბნისის ეკლესიის კანკელის რეკონსტრუქციას ითვალისწინებს. საბჭოს ეს გადაწყვეტილება სააგენტოსთან ჯერ არ შეუთანხმებია. „კანკელს რა შეთანხმება სჭირდება, თუკი არ ივარგებს, მისი მოხსნა ისედაც ადვილია“, – აცხადებს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, რესტავრაციისა და ხელოვნების ცენტრის პრესმდივანი თამარ კვანტალიანი. სააგენტოსთვის ანგარიშის ჩაბარება მამა ლევანსაც ზედმეტად მიაჩნია.

2002 წელს საქართველოში ყველა მართლმადიდებლური, სასულიერო მნიშვნელობის ძეგლი და მინა საპატრიარქოს გადაეცა, სამღვდლოებს კანონიერად აძლევს უპირატესობას. ცალკეული სასულიერო პირები კი გაზრდილ უფლებებს არასწორად იყენებენ და ტაძრის არქიტექტურაში თვითნებურ ჩარევას კეთილი მიზნებით ხსნიან. მამა ლევანის თქმით, მან ურბნისის ძველი კედლები იმიტომ შელესა, რომ ისინი „შეუხედავი იყო“.

ძლიერი ეკლესიის პირობებში, ქვეყნის ძეგლთა დაცვის მთავარი უწყებაც ფრთხილად მოქმედებს. ნიკა ვაჩიშვილის სააგენტო საპატრიარქოსთან ურთიერთობის გამწვავებას ერიდება და მსგავსი პრობლემების მოგვარებას დღემდე მხოლოდ დიალოგის გზით ცდილობს.

თუმცა, კანონი სააგენტოს უფრო მკაცრად მოქმედების საშუალებას აძლევს. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედ-

პროექტირებაში თვითნებური ცვლილებები შეიტანა.

სასულიერო პირების დაჯარიმებას კი სამინისტრო ჯერჯერობით არ ჩქარობს. ნიკა ვაჩიშვილის უწყებაში აცხადებენ, რომ ღია კონფრონტაციაზე უარის თქმით უფრო მეტ შედეგს აღწევენ. მართალია, ამით პროცესი ჭიანჭურდება, სამაგიეროდ, წლების განმავლობაში მოლაპარაკებებმა საპატრიარქოსთან გარკვეულწილად უკვე გამოასწორა ურთიერთობა.



ნინო ურბნისის ეკლესიაში, 2009

ვით, კულტურული ძეგლის დაზიანება ხუთი ათასი ლარით ჯარიმდება. ჯარიმის თანხა ჯერ კიდევ ორი წლის წინ 8 ლარი იყო. მაშინ კანონში კონკრეტულად არც ის იყო მითითებული, თუ რომელი უწყება გასცემდა სანქციას. 2007 წელს კი, როდესაც პარლამენტმა დაამტკიცა კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, ჯარიმის თანხაც გაიზარდა და დაამჯარიმებელი უწყებაც ზუსტად განისაზღვრა – კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო.

მრავალი დარღვევის მიუხედავად, სამინისტრომ სანქცია პირველად 2009 წლის სექტემბერში გასცა, როცა ბათუმის ერთ-ერთმა მაცხოვრებელმა ურბანული ძეგლის გარემონტებისას პროექტის სანებართვო პირობებს გადააჭარბა და შენობის

ვაჩიშვილის თქმით, ამის მაგალითია თუნდაც ვარძიის სამონასტრო კომპლექსი, სადაც პრობლემის მოგვარებას სახელმწიფო, უკვე ათ წელიწადზე მეტია, მშვიდობიანი გზით ცდილობს.

კონფლიქტი ვარძიაში ბერების თვითნებური შესახლებით 1990-იანი წლების ბოლოს დაიწყო. საცხოვრებლად საჭირო პირობების შესაქმნელად ბერებმა კელიების მოწყობა დაიწყეს: კლდეში ნაკვეთ ქვაბულებში სითბოს შესანარჩუნებლად ხის კარ-ფანჯარა ჩასვეს. შესაბამისად, ვარძიის ის მონაკვეთი, სადაც ბერებმა სახელდახელოდ მოიწყვეს კელიები, მუზეუმ-ნაკრძალის დასათვალიერებლად ჩასული ტურისტებისთვის დაიხურა. ამ ფაქტს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარის



მოადგილე ნატო ფარცხალაძე აპროტესტებს და ამბობს, რომ ვარძია მუზეუმ-ნაკრძალია და ამიტომ იქ მოქმედი მონასტრის არსებობა სასურველი არაა. „წარმოიდგინეთ, რომ ბერები ლუვრში დასახლებულიყვნენ“. კულტურის სამინისტროს ასეთი პრეტენზია არ აქვს და მხოლოდ მონასტრის ფასადის თვითნებური შეცვლის წინააღმდეგია.

საპატრიარქოსთან დიალოგის ათი წლის თავზე დამუშავების პროცესშია

ეს ქვეები ზარზმის მონასტრის მღვდლებმა ტაძრის მახლობლად კელიების ასაგებად გამოიყენეს. მოსახლეობამ მეჩეთის დაშლა სწორედ სასულიერო პირების ინიციატივით დაიწყო. მონასტრის ერთ-ერთი მღვდლის, მამა სპირიდონის განმარტებით, „ეს მეჩეთი არავის ეკუთვნოდა, ის არც კულტურული ძეგლი იყო და არც ისტორიული“.

არადა, ადიგენის რაიონის რამდენიმე სოფლის მუსლიმმა მოსახლეობამ

განგაში ატეხა. საქმეში ომბუდსმენის ოფისი ჩაერთო, და მეჩეთის მოშლაც შეწყდა. თუმცა, ზარზმელმა ბერებმა კელიების კედლებში მეჩეთის რამდენიმე ქვის ჩაყოლება მაინც მოასწრეს.

ბექა მინდიაშვილის აზრით, ეს ვანდალიზმია. ამ კონკრეტული შემთხვევის გამოსწორების გზებს საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. იმისათვის, რომ კანონმა ასეთი ნაგებობა დაზიანებისგან დაიცვას, ის კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში უნდა იყოს შეტანილი. იმის გამო, რომ ფლატეს მეჩეთი არც კულტურული ძეგლია და მას არც კონკრეტული მესაკუთრე ჰყავს, მისი დაზიანებისთვის პასუხი არავის მოეთხოვება. თუმცა, ეს შემთხვევა მაინც რჩება მუსლიმანური რელიგიისადმი უპატივცემულობის აშკარა გამოხატულებად. „ასეთი შემთხვევების მიმართ ჩვენი კანონმდებლობა აბსოლუტურად დისკრიმინაციულია. როგორც ქრისტიანები ანიჭებენ თითოეულ ქვას მნიშვნელობას, ისე მუსლიმები უფრო თხილდებიან თავიანთ ნანგრევებს“, – აცხადებს ბექა მინდიაშვილი.

ფლატეს მეჩეთი „დაზურული საქმეა“. რელიგიური უმცირესობების უფლებების დასაცავად საკანონმდებლო რეგულაციები არ იგეგმება. თუმცა, კულტურული ძეგლების შემთხვევაში, სასულიერო პირების თვითნებური ჩარევის აღსაკვეთად, შესაძლოა, სააგენტომ მაღლე უფრო მკაცრი ნაბიჯებიც გადადგას.

კულტურული მემკვიდრეობის მონიტორინგის სამმართველოს უფროსის, ნიკა ანთიძის განცხადებით, ურბნისის დაზიანების გამოსაკვლევად შეიქმნება ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც ურბნისის მდგომარეობას შეაფასებს. ამის შემდეგ დადგინდება, სასჯელის რა ფორმა უნდა შეუფარდონ სასულიერო პირს, რომელმაც უძველესი კედლები შელესა. თუკი ექსპერტები გადაწყვეტენ, რომ კედლების შელესვით ეკლესიას ზიანი მიადგას, მამა ლევანს ან 2-დან 4 წლამდე პატიმრობას მიუხსიან, ან ჯარიმის სახით ეკლესიის აღსადგენად საჭირო თანხას გადაახდევინებენ. ეს შეიძლება სასულიერო პირების მიმართ კულტურულ ძეგლთა დაცვის შესახებ კანონის ამოქმედების პირველი პრეცედენტი აღმოჩნდეს. თუმცა, გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანამდე ის ისევ საპატრიარქოსთან უნდა შეთანხმდეს. **■**



ფოტო თინათინ ზაქარაიასიძის

■ მეჩეთის შესასვლელი ადიგენის რაიონის სოფელ ფლატეში, 2009

პროექტი, რომელიც მუზეუმ-ნაკრძალში ტურიზმის განვითარებასა და ტურისტებსა და ბერებს შორის ურთიერთობის მოგვარებაზე იზრუნებს.

ომბუდსმენის ოფისთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის უფროსის, ბექა მინდიაშვილის აზრით, თვითნებურობის მსგავსი შემთხვევები ხშირად სახელმწიფოს მხრიდან უპასუხოდ რჩება, რადგან ხელისუფლება რეიტინგის შესანარჩუნებლად ერიდება ეკლესიასთან ღია დაპირისპირებას.

მისი თქმით, არსებობს სასულიერო პირების მხრიდან ვანდალიზმის ფაქტებიც, თანაც როცა საქმე მართლმადიდებლური ეკლესიის საკუთრებას არ ეხება.

ადიგენის რაიონის სოფელ ფლატეში უმოქმედო მეჩეთს ადგილობრივმა მოსახლეობამ ქვაკუთხედები მოანგრის.

**■ 2002 წელს საქართველოში ყველა მართლმადიდებლური, სასულიერო მნიშვნელობის ძეგლი და მინა საპატრიარქოს გადაეცა, სამღვდლოებას კანონიერად აძლევს უპირატესობას. ცალკეული სასულიერო პირები კი გაზრდილ უფლებებს არასწორად იყენებენ და ტაძრის არქიტექტურაში თვითნებურ ჩარევას კეთილი მიზნებით ხსნიან.**





მწვანე ზოლი

# გაუქმებული ტყე

თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, დიღმის ტყე-პარკის მნიშვნელოვანი ნაწილი საზოგადოებრივ-საქმიან და საცხოვრებელ ზონად გადაკეთდა.

რეზო გეთიაშვილი, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი CENN

დიღმის ტყე-პარკმა, რომელსაც 1934 წლიდან მოყოლებული თავისი 75 ჰექტარი ფართობით თბილისის მთავარი სანერგეს ფუნქცია ჰქონდა, მინები ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში დაკარგა. ბოლოს ქალაქს 20 ჰექტარამდე ფართობით შემორჩა, თუმცა თავისი უნიკალური ფლორითა და საქართველოს „ნითელ ნუსხაში“ შეტანილი ხეებით ქალაქისთვის მნიშვნელოვანი „ფილტვის“ როლს მაინც ასრულებდა.

მის განვითარებაზე ზრუნვა 1995 წელს დაიწყო და გადაწყდა, რომ ტყე-პარკის ტერიტორიაზე კულტურის და დასვენების პარკი უნდა მოეწყოთ. უკანონო მშენებლობებისა და ზოგადად პარკების არასწორი ექსპლუატაციისგან დასაცავად პარლამენტმა 1998

წელს საგანგებო დადგენილებაც მიიღო. აიკრძალა პარკების ტერიტორიების გასხვისება გამწვანების ზოლების საზღვრებში და მათ მიმდებარე ტერიტორიაზეც. თუმცა, პარლამენტის დადგენილება ექვს თვეში დაირღვა. მიწის მართვის დეპარტამენტმა დიღმის ტყე-პარკის ტერიტორია უპირობოდ გადასცა საკუთრებაში შპს „სანს“. „სანმა“ კი მისი ნაწილ-ნაწილ გასხვისება დაიწყო.

საქართველოს სამხედრო გზის მხრიდან პარკის ტერიტორიაზე უკანონოდ აშენდა ბენზინგასამართი სადგურები, სამრეცხაოები, მალაზიები, სასადილო და ავტოფარეხი. კერძო ნაკვეთებად დაქუცმაცებულ პარკში ხეებმა ხმოზა დაიწყო. მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის დასკვნით, ამის მიზეზი ქარბ-

ტენიანობა გახდა, რაც ნაწილობრივ გაუმართავმა სანიალვრე სისტემამ გამოიწვია, ნაწილობრივ კი – ტყე-პარკის საზღვრებში მოწყობილმა ბენზინგასამართმა და სავაჭრო ობიექტებმა, რომელთაც საკანალიზაციო სისტემები არ გააჩნიათ. ნავთობპროდუქტებით და სხვა მავნე ნივთიერებებით დაბინძურებული წყალი კი ტყე-პარკის ტერიტორიაზე ჩაედინება.

დიღმის ტყე-პარკის დასაცავად წამოწყებულმა კამპანიამ მნიშვნელოვან მუშაობას შეიძინა, როდესაც კამპანიას სათავეში საკრებულოს მაჟორიტარი თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი ჩაუდგა. 2003 წელს მან დიღმელებისთვის დაწერილ მიმართვაში ადგილობრივ არჩევნებში მიცემული პირობა გაიხსენა და აღნიშნა,





■ დიღმის ტყე-პარკი, 2009

რომ დიღმის ტყე-პარკს, რომელიც „თბილისის ერთ-ერთი უკანასკნელი მწვანე ზოლი“ იყო, აუცილებლად გადაარჩენდა განადგურებისგან. „თბილისის მერიის კორუმპირებულმა მოხელეებმა რამდენიმე წლის წინ, დიდი ქრთამის სანაცვლოდ, დოკუმენტების გაყალბებით, პარკი გაყიდეს ნაკვეთებად. ჩვენმა საკრებულომ აკრძალა პარკის ტერიტორიაზე ყოველგვარი მშენებლობა. მფლობელების ერთმა ნაწილმა რამდენჯერმე მაინც სცადა მშენებლობის დაწყება. მათვე მოჭრეს ჩვენ მიერ დარგული ხეები. ჩემი ინფორმაციით, ამ ხალხის უკან დგანან ყოფილი და მოქმედი მინისტრები, სხვა მაღალი რანგის მოხელეები. მოვა დრო და, მექნება შესაბამისი ძალაუფლება, რათა უზრუნველყო, რომ ეს ხალხი აღმოჩნდეს ციხეში. დღეს კი ვიყენებთ კანონით მონიჭებულ უფლებას და ადმინისტრაციულ ინსპექციასთან ერთად არ ვაძლევთ ამ ბანდიტებს უნიკალური პარკის განადგურების საშუალებას“.

დამატებითი მიწის ნაკვეთების გაყიდვა და მათი საჯარო რეესტრში გატარება ჯერ კიდევ 2003 წელს აიკრძალა. სააკაშვილის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ დიღმის ტყე-პარკის დაცვა

ნაწილობრივ გაგრძელდა. 2006 წელს ტყე-პარკის ტერიტორიას დაუდგინეს საზღვრები და სტატუსი – რეკრეაციული ზონა-1. 20 ჰექტარზე გადაჭიმული უნიკალური პარკის სპეციფიკურმა სტატუსმა აკრძალა ყველანაირი ტიპის მშენებლობა. პარკი არსებული სახით – მხოლოდ ტყითა და ბილიკებით უნდა შეენარჩუნებინათ.

ქალაქის მთავრობა ტყე-პარკზე ზრუნვას ქალაქელებითა და დოკუმენტებით თითქმის ბოლო პერიოდამდე ცდილობდა. 2007 წელს საკრებულოს დადგენილებით, ქალაქის მერიამ „დიღმის ტყე-პარკში დადგენილ საზღვრებში – 20,5 ჰა ფართობზე – მწვანე საფარის შესანარჩუნებლად და აღსადგენად ლანდშაფტის გეგმის შემუშავება დაიწყო. 2009 წლამდე გრძელდებოდა პარკში სადრენაჟო და სარწყავი სისტემის გაყვანა, ხეების შენამღვა და ასხეპვა, ერთი სიტყვით – პარკის ჯერ კიდევ გაუსხვიებელ ტერიტორიაზე ზრუნვა.

თუმცა, ბოლო პერიოდამდე ისევ ღიად რჩებოდა ერთ-ერთი საკვანძო პრობლემა – უკანონო მესაკუთრეების მიერ მიტაცებული ნაკვეთები, რომლებიც ტყე-პარკის რეალურ აღდგენას, განვი-

თარებას და დაცვას უშლიდა ხელს.

ტყე-პარკისთვის საფრთხის შემცველი შენობების დემონტაჟსა და უნიკალური ხეების გაჩეხვის შეჩერებას ქალაქის მთავრობას დიღმის მოსახლეობაც სთხოვდა. 2009 წლის ზაფხულში მერს ამ თხოვნით 200-მა დიღმელმა საგანგებო წერილი მიწერა.

ახლა, მას შემდეგ, რაც პარკის ნახევარზე მეტი ტერიტორია რეკრეაციული ზონის სტატუსის „ტყვეობისგან“ გათავისუფლდა, პრობლემა ბუნებრივად მოიხსნა. თბილისის საკრებულომ სტატუსის შეცვლის მიზეზად, სოციალურ და ქალაქგეგმარებით საკითხებთან ერთად, მოსახლეობის მოთხოვნაც დაასახელა: საკრებულოს დოკუმენტის მიხედვით, მოსახლეობა თავად ითხოვს მეტ საცხოვრებელ ფართს. საკრებულოში აცხადებენ, რომ ქალაქში საცხოვრებლად გამოყოფილი მიწების რაოდენობის გაზრდას მოსახლეობაც ითხოვს.

უცნობია, მოსახლეობის რომელი ნაწილის მოთხოვნით აპელირებს ქალაქის მთავრობა. ფაქტია, რომ უკვე სავალალო მდგომარეობაში ჩავარდნილი დიღმის ტყე-პარკი დიღმის მოსახლეობისთვის რეკრეაციულ ფუნქციას მაინც ასრულებს.

გარემოსდაცვით ორგანიზაციებში აცხადებენ, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებით დედაქალაქის ხელისუფლებამ პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრას კანონის გაუქმება არჩია. უკვე ყოფილი ტყე-პარკის გარკვეულ ნაწილსა და მიმდებარე ტერიტორიას საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის სტატუსი დაუკანონდა. ეს კიდევ უფრო მძიმე განაჩენია, ვიდრე საცხოვრებელი ზონა, რადგან ის კანონიერს ხდის პარკში ბენზინგასამართი სადგურებისა და საკვები ობიექტების ტიპის ნაგებობების აშენებას, რაც განსაკუთრებულად აბინძურებს გარემოს.

ამ რეალობიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, თუ რამდენად მომზადებული და მიზანშეწონილი იყო საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

საკრებულოს იმავე დადგენილებით კი რეკრეაციული და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის სტატუსი გაუქმდა კიდევ ოცამდე სხვა ადგილს, მათ შორის არის: ლისის ტბის, მახათას მთის, გლდანის ტბისა და გლდანის ხევის მიმდებარე ტერიტორიები; ასევე ზღვის უბანი, სოფელი ქვემო ლისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ტაბახმელისა და წყნეთის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორიები. ■



# მეხუთე ხელისუფლება



რაც უფრო ღიად და მკვეთრად უპირისპირდები რელიგიურ ფუნდამენტალიზმს, მით უფრო ძლიერდება და მეტ გავლენას იძენს ის.

დავით ზურაბიშვილი, რესპუბლიკური პარტიის წევრი

## მძიმე ჯვარი

სახელმწიფოსა და რელიგიურ ინსტიტუტებს შორის ურთიერთობაზე მსჯელობას პოლიტიკოსები ან თავს არიდებენ, ან გამოთქვამენ მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მხარდასაჭერ აზრებს.

ეს არცაა გასაკვირი, რადგან, ყველა სოციოლოგიური გამოკითხვით, საზოგადოებაში ეკლესიისადმი ნდობა ძალიან მაღალია; ხოლო წარმოუდგენელია პოლიტიკური ძალა, რომელიც საკუთარ რეიტინგს არ უფრთხილდება. მეორე მხრივ, ცხადია, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ე. წ. ფუნდამენტალისტური ტენდენცია ერთ-ერთი წამყვანია. მხედველობაში გვაქვს ის ანტიდასავლური და ანტიკულტურული აზრები, რაც სასულიერო პირების კურთხევით გამოსულ ბეჭდვით გამოცემებში გვხვდება. აქვე შეიძლება გავიხსენოთ კამპანია „ჭარი პოტერის“ წინააღმდეგ, სკანდალი „დიდი ათეულის“ ირგვლივ და ბევრი სხვა.

ცხადია, თუ სერიოზულად ვფიქრობთ ქვეყნის მოდერნიზაციასა და დემოკრატიზაციაზე, ფუნდამენტალისტური ტენდენცია, ეკლესიის მაღალი ავტორიტეტის პირობებში, სერიოზული პრობლემაა. პოლიტიკური ძალების მხრიდან სწორედ ამ დროს უნდა გამოითქვას მკაფიო პოზიცია, თუ როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს პოლიტიკა რელიგიის სფეროში.

პრობლემას კიდევ უფრო აღრმავებს ის, რომ საქართველოში, ეკლესიის გარდა, არ არსებობს ინსტიტუცია, რომელიც საზოგადოების ნდობით სარგებლობს – არც მთავრობა, არც პარლამენტი, არც ოპოზიცია, არც მასმედია და არც არასამთავრობო სექტორი. სასამართლოზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ერთადერთი დადებითი (ისიც ძალიან დაბალი) მაჩვენებელი ბოლო დრომდე მხოლოდ ქართულ არმიას ჰქონდა.

ნდობის ხარისხთა შორის ასეთი კატასტროფული სხვაობა ერთ და ყველა დანარჩენ ინსტიტუციას შორის სრულიად არაადეკვატურ ფონს ქმნის საჯარო დისკუსიებისთვის. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი, რადგან დღემდე ბევრ ლიბერალს გულუბრყვილოდ სჯერა, რომ ღია დებატებით და კონკრეტული, ხშირად ძალიან ოდიოზური ფაქტების საამკარაო-

ზე გამოტანით, გარკვეულწილად, მაინც შეცვლის საზოგადოებრივ აზრს. შეცვლის კიდევ, ოღონდ – უარესობისკენ.

როცა უპირისპირდები იმ ინსტიტუციის წარმომადგენელს, რომელიც საზოგადოებაში 90-პროცენტია ნდობით სარგებლობს, არანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს, რას ამბობ. საპირისპირო მხარეს იდოტიც რომ იჯდეს, თუ მას ანა-



■ ძალაუფლების სიმბოლოები – პრეზიდენტის რეზიდენცია და სამების საკათედრო ტაძარი, თბილისი 2009

**■ საპირისპირო მხარეს იდოტიც რომ იჯდეს, თუ მას ანაფორა აცვია, ნებისმიერ შემთხვევაში მოგებულნი რჩება. აბსოლუტურად სულერთია, ათეისტური პოზიციიდან ეკამათები მას, ლიბერალურიდან თუ ორთოდოქსულ-თეოლოგიურიდან.**

ფორა აცვია და სჯულის კანონს ციტირებს, ნებისმიერ შემთხვევაში მოგებულნი რჩება. და აბსოლუტურად სულერთია, ათეისტური პოზიციიდან ეკამათები მას, ლიბერალურიდან თუ ორთოდოქსულ-თეოლოგიურიდან.

ვისაც ნანახი აქვს ლუკ ბესონის ცნობილი ფილმი „მეხუთე ელემენტი“, ალბათ ახსოვს, იქ რომ აბსოლუტური ბოროტებაა – რაც მეტს ესვრი, მით უფრო რომ იზრდება. რელიგიური ფუნდამენტალიზმი საქართველოში ძალიან ჰგავს ამ ფილმის პერსონაჟ ბოროტებას. რაც

უფრო ღიად და მკვეთრად უპირისპირდები მას, მით უფრო ძლიერდება და მეტ გავლენას იძენს.

ნამდვილად არ ვარ ამ თემებზე გამართული დისკუსიების წინააღმდეგი, მაგრამ პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია მისი ნათლად გაცნობიერების გარეშე. ილუზიების ტყვეობაში ყოფნა სახიფათოა და კეთილი სურვილები ვერ გიშველის. ჯოჯოხეთისკენ მიმავალი გზაც ხომ კეთილი სურვილებითაა მოკირწყლული.

**დემოკრატია: საშუალება, რომელიც ამართლებს მიზანს**

ეკლესია არ არის მხოლოდ საკულტო ინსტიტუცია, ის ყველა ქვეყანაში საზოგადოებრივი პროცესების აქტიური მონაწილეა. ზოგან მეტი გავლენა აქვს, ზოგან ნაკლები, მაგრამ სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებისგან გამიჯნული არსად არის და ეს სრულიად ბუნებრივია. თვით ყველაზე სეკულარულ ევროპის ქვეყანაში, საფრანგეთში კათოლიკური გაზეთი „კრუა“ არანაკლებ გავლენიანია, ვიდრე „ფიგარო“ და „მონდი“, ხოლო საფრანგეთის „დიდი ათეულის“ შოუში ყველაზე გამოჩენილი ფრანგების სიაში დე გოლის შემდეგ სასულიერო პირი, აბატი პიერი დგას.

ამიტომ პრობლემა ეკლესიის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში ჩარევა კი არაა, არამედ ამ ჩარევის საზღვრები და გავლენის ხარისხი. დღეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის და პირადად კათალიკოს-პატრიარქის მიმართ საზოგადოების ნდობა იმდენად მაღალია, რომ ეკლესია ერთგვარ მეხუთე ხელისუფლებადაც კი შეიძლება ჩაითვალოს. ამიტომაც აბსოლუტურად ყველაფერი, რაც კი მართლმადიდებელ ეკლესიასთან ასოცირდება, ავტომატურად იძენს გარკვეულ იმუნიტეტს, მათ შორის ისეთი ექსტრემისტული დაჯგუფებაც კი, როგორცაა მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი.

ამ ქვეყანაში სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინსტიტუტებს საშუალო ხარისხის ავტორიტეტიც რომ ჰქონდეთ, საერთოდ არ იდგებოდა ნდობის არარსებობის პრობლემა. ამიტომ ხელისუფლება ზოგადად სწორედ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტებისადმი ნდობის ამაღლებაზე უნდა ზრუნავდეს. რა თქმა უნდა, ამით ეკლესიის გავლენა არ გაქრება, მაგრამ სოციალურ-ფსიქოლოგიური ფონი გაცილებით ჯანსაღი იქნება და გაჩნდება სივრცე ნაყოფიერი საჯარო დებატებისთვის.

მაგრამ ასეთი პოლიტიკის გატარება მხოლოდ დემოკრატიის პირობებშია შესაძლებელი, როდესაც საზოგადოების სხვადასხვა ფენა ქვეყნის ცხოვრებაში ჩართული. შეუძლებელია ამის მიღწევა ავტორიტარული მეთოდებით. ამიტომ პრინციპულად დაუშვებელია ხელისუფლების მხრიდან საზოგადოებრივი აზრის არაფრად ჩაგდება და ეკლესიაზე სახელმწიფო კონტროლის დაწესების მცდელობა.

რაოდენ მიუღებლადაც უნდა ეჩვენებოდეს ვინმეს სასულიერო პირის მიერ გამოთქმული პოზიცია ამა თუ იმ საკითხზე, ეკლესიის გაკონტროლების ნებისმიერი მცდელობა კატეგორიულად დაუშვებელია. ასეთ პოლიტიკას თავისი კომისრები სჭირდება, რაც არათუ გამოსავალი არ არის, პირიქით, უფრო მძიმე კრიზისის მიზეზი ხდება. ახალაია არ არის მკალავიშვილის ალტერნატივა. ახალაია საერთოდ არაფრის ალტერნატივა არ შეიძლება იყოს. სისტემის მონები ვერასდროს შექმნიან თავისუფალ საზოგადოებას – ეს აქსიომაა.

გარდა ამისა, ეკლესიის საქმეებში სახელმწიფოს ჩარევა, მართვის სადავეების კონტროლირებადი ფიგურებისთვის გადაცემის მცდელობა, ფუნდამენტალისტურ ძალებს უდიდეს მორალურ უპირატესობას მიანიჭებს, რაც მოგვიანებით ვულკანივით ამოხეთქავს; როგორც საბჭოთა კავშირის რღვევის დროს, როცა ათეისტური იდეოლოგიის წნეხის შესუსტებისთანავე ყველა პოსტსაბჭოურ რესპუბლიკაში რელიგიის ნამდვილი ბუმი დაიწყო.

თუმცა, არსებობს მეორე ვარიანტიც: დემოკრატიზაციის პოლიტიკის კონტექსტში, სეკულარობის პრინციპისა და აღმსარებლობის თავისუფლების პრინციპების მკაცრი დაცვა. ერთი შეხედვით, ეს ძალიან მარტივია, მაგრამ არც ისე.

**ნებასიური პოზიტივი, ანუ რა არ უნდა ვაპატიოთ**

წმ. დიონისე არეოპაგელი, სამეცნიერო ლიტერატურაში ფსევდოდონისედ მიჩნეული, ღმერთის ცნების გააზრებისთვის იყენებს მხოლოდ ნეგაციურ მახასიათებლებს. ის არ ამბობს, რა არის ღმერთი, არამედ მხოლოდ ჩამოთვლის იმას, რაც ღმერთი არ არის. დიონისე ამბობს, რომ ღმერთი არ არის სული, არ არის ბუნება, არ არის პერსონა და ა. შ... მთლიანობაში კი ამ ნეგაციური მახასიათებლების ჯამმა უნდა შეადგინოს პოზიტივი, ანუ ის, რაც არის, ანუ ღმერთი.

ეკლესიის და საერთოდ რელიგიური საკითხების მიმართ ხელისუფლების პოლიტიკაც სწორედ ნეგაციაზე უნდა იყოს აგებული, ანუ მკაფიოდ უნდა გაირკვეს, თუ რას არ უნდა აკეთებდეს ხელისუფლება. კერძოდ, ხელისუფლება არ უნდა ცდილობდეს, აღმსარებლობის თავისუფლების მიზნით, რელიგიური ორგანიზაციების კონტროლს, არ უნდა ეწეოდეს რელიგიური პლურალიზმის პროპაგანდას ოფიციალური პირებისა თუ მთავრობასთან ასოცირებული პერსონების მეშვეობით, არ უნდა ჰყავდეს ფავორიტები სასულიერო იერარქებს შორის და ა. შ. ხელისუფლებას ევალება მხოლოდ ერთადერთი რამ: დაიცვას კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, ისე სხვა კონფესიების მიმართ და ოპერატიულად რეაგირებდეს აღმსარებლობის თავისუფლებისა და რელიგიური ორგანიზაციების უფლებების დარღვევის ფაქტებზე.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართებით არ დაიშვას არანაირი გამოწვევის და ყველაფერი სრულდებოდეს კანონმდებლობის ზედმინევენით დაცვით. თუ ეს ასე იქნება, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის მსგავსი ორგანიზაციები ყოველგვარ გავლენას დაკარგავენ და, შესაძლოა, საერთოდ შეწყვიტონ არსებობა.

ასევე აუცილებელია სეკულარობის პრინციპის დაცვა საჯარო სკოლებში. სახელმწიფო კურიკულუმიდან საერთოდ ამოსაღებია რელიგიის ისტორია, როგორც ცალკე საგანი, შესაბამისი თემები კი უნდა გადაწილიდეს ისტორიისა და სამოქალაქო განათლების პროგრამებში. ამის გაკეთება აუცილებელია, რადგან ჯიუტი მცდელობა რელიგიის იმდაგვარად სწავლების, როგორც ეს წარმოუდგენიათ, ვთქვათ, „თავისუფლების ინსტიტუტში“, იმთავითვე განწირულია. ასეთი მცდელობა გამოიწვევს საპატრიარქოს მხრიდან კატეგორიულ მოთხოვნას, მასწავლებლების და პროგრამების შერჩევა მოხდეს მასთან შეთანხმებით. სახელმწიფო ან უნდა დათანხმდეს ამ მოთხოვნას, რაც ფაქტობრივად რელიგიის ისტორიის გაკვეთილებს საღვთო რჯულის სწავლებადაც აქცევს, ან წინააღმდეგობა გაუწიოს და ღიად დაუპირისპირდეს ეკლესიას. ეს კი, არ მგონია, კეთილგონივრული საქციელი იყოს.

**ერთმორწმუნეობის საფრთხეობა**

აქვე აუცილებლად უნდა ვთქვათ ორიოდ სიტყვა „ერთმორწმუნეობისა“

და „რუსული საფრთხის“ შესახებ. მართლმადიდებლური ფუნდამენტალიზმი, რის შესახებაც ვმსჯელობთ, თავისი შინაარსით მართლაც რუსულ-შავრაზმული იდეოლოგიის ნაწილია, მაგრამ ფუნდამენტალიზმის ეს ატრიბუტი, პროსახელისუფლებო ლიბერალებისგან განსხვავებით, მე დამატებით საფრთხედ კი არ მიმაჩნია, არამედ სუსტ რგოლად.

ყველა გამოკითხვა ადასტურებს, რომ ერთმორწმუნეობის ფაქტორი ქართულ-რუსულ პოლიტიკურ ურთიერთობაში ფაქტობრივად არ მუშაობს. თუკი ქართველთა 80 პროცენტზე მეტი თავს მართლმადიდებელ ქრისტიანად მიიჩნევს, მათი აბსოლუტური უმრავლესობა ქვეყნის მთავარ მტრად რუსეთს თვლის.

ქართველებისთვის მართლმადიდებლური აღმსარებლობა დღეს წარმოადგენს ნაციონალური იდენტობის, ანუ ქართველობის ატრიბუტს. ქართველისთვის მართლმადიდებლობა ისეთივე ქართული აღმსარებლობაა, როგორც რუსებისთვის „პრავოსლავიე“. მაგრამ ქართულ მართლმადიდებლობასა და რუსულ „პრავოსლავიეს“ შორის პოლიტიკურ დისკურსში ისეთივე თანხვედრა, როგორც რუსულ იმპერიალიზმსა და ქართულ ნაციონალიზმს შორის.

ცხადია, ინტელექტუალური ეკვილიბრისტიკის მეშვეობით იმ აზრამდეც

შეიძლება მივიდეთ, რომ ქართული ნაციონალიზმი რუსულ იმპერიალიზმს ჰარმონიულად უთავსდება, მაგრამ ნამდვილად არ არის ასე. რუსული იმპერიალიზმი თავისი არსით არის ანტიდასავლური. ქართული ნაციონალიზმი არ არის პროდასავლური, მაგრამ არც ანტიდასავლურია; უფრო მეტიც, ის ბოლო დრომდე უფრო პროდასავლური იყო ვიდრე ანტი, რაც თვალნათლივ დაადასტურა ნატო-ში შესვლასთან დაკავშირებით ჩატარებულმა პლემბისციტმაც.

ნორმალური ხელისუფლება ქართულ ნაციონალიზმს ფუნდამენტალიზმის პრობლემის გადაჭრაში მოკავშირედ აქცევდა და არა მონინალმდეგედ. რუსეთთან ერთმორწმუნეობა ქართული ნაციონალიზმის ატრიბუტი საერთოდ არ არის. ამიტომ, რაც უფრო მეტად გადაიხრება მისი ვექტორი დასავლეთისკენ, მით უფრო შესუსტდება ფუნდამენტალიზმის გავლენა. ცხადია, რუსეთიც ეცდება, ერთმორწმუნეობის ფაქტორი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს და ქართულ ნაციონალიზმს ანტიდასავლური მიმართულება მისცეს, მაგრამ სახელმწიფოც იმისთვის არსებობს, რომ საფრთხეები განჭვრიტოს და შესაბამისად იმოქმედოს.

ასეთი ქმედებები ისევ და ისევ დე-

მოკრატის პრინციპების, დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრება შეიძლება იყოს. თუ პროდასავლურობა არ ასოცირდება სამართლიანობასთან, მაშინ დასავლეთი ასოცირდება უსამართლობასთან აქედან გამომდინარე შედეგებით.

მოკლედ, სიტუაცია ერთი შეხედვით ძალიან მარტივია. ხელისუფლება არ უნდა ერეოდეს ეკლესიის საქმეებში და უნდა იცავდეს კანონით ნაკისრ ვალდებულებებს; პარალელურად კი, ხელს უწყობდეს სახელმწიფო და სამოქალაქო ინსტიტუტების განვითარებას.

საქართველოს ხელისუფლებამ კი ამ მიმართულებებით უკვე იმდენი უმძიმესი შეცდომა დაუშვა, რომ დღეს ფაქტობრივად ნორმალური პოლიტიკის წარმართვის რესურსიც არ დარჩა. ერთი მხრივ, სააკაშვილი ცდილობდა (და გარკვეულწილად დღესაც ცდილობს) ეკლესიის ფაქტორის სათავესოდ გამოყენებას და იერარქების მომხრობას; მეორე მხრივ კი, ყველაზე გავლენიანი სახელისუფლო დაჯგუფება, არასამთავრობო სექტორის ექს-აქტივისტების სახით, ასევე ცდილობდა (და გარკვეულწილად დღესაც ცდილობს) ეკლესიის მომენტალურ და რადიკალურ ლიბერალიზაციას, თანაც უშიშროების სტრუქტურების აქტიური გამოყენებით. შედეგად მივიღეთ სიტუაცია, როდესაც საეკლესიო წრეებში არ არსებობს არანაირი ნდობა ხელისუფლების მიმართ და ფუნდამენტალისტური ფრთის გავლენა ეკლესიის შიგნით კიდევ უფრო გაიზარდა.

მიუხედავად ამისა, დიდი არჩევანი მაინც არ არის – ჩერჩილის ცნობილი გამონათქვამის არ იყოს, დემოკრატიზაციას რა ნაკლიც უნდა ჰქონდეს, ყველაფერ სხვას მაინც ასი თავით სჯობია. **■**

**ეს სტატია, ფაქტობრივად, სოციალურ ქსელ facebook-ში გამოთქმული მოსაზრებების საჟურნალო ვარიანტს წარმოადგენს.**

**ამიტომ მინდა პერსონალურად მოვიხსენიო და მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც სოციალურ ქსელში გამართულ დისკუსიაში იყო ჩართული – კერძოდ, გიორგი ფოფხაძეს, შაქრო ტრუბუცკოის, გვანცა კობერიძეს, ბესიკ ნამჭავაძეს, ნინო ბეჟიშვილს, დავით გოგიშვილს, ლევან სუთიძეს, ნანა ჩართოლანს, მზევინარ ხუციშვილს და თაკო კაკაბაძეს.**

**განსაკუთრებული მადლობა – მაგდა გურულს საკითხის დასმისთვის, და გიორგი ცხადაიას განსაკუთრებით საინტერესო შენიშვნებისთვის.**

ჩამონათვალი ელემენტთა ანალიზი ჩამოთვლილ ინსტიტუტებს

№	სტრუქტურა	საუბალკო ქულა	მიზრის პასუხის ბაზა %
1	საპარტოვლო მთავრობა	4.01	7.0
2	საპარტოვლო პარლამენტი	3.60	6.9
3	საპარტოვლო მართლმადიდებლური ეკლესია	9.63	3.1
4	საპარტოვლო მთავრობის პოლიტიკური პარტნიორი	4.32	7.3
5	საპარტოვლო სასამართლო	2.90	14.0
6	საპატარალო პოლიცია	5.01	7.8
7	საპარტოვლო არმია	6.62	8.5
8	თბილისის მერია	4.30	6.5
9	თბილისის საკრებულო	3.57	13.1
10	არასამთავრობო ორგანიზაციები	4.39	17.8
11	საპარტოვლო ორგანიზაციები (საელემენტარო, ფონდები და სხვ.)	4.52	16.6
12	ტელევიზია	4.35	6.5
13	ბიზნისი (შპს-ები-ბანკები)	4.71	11.0

**შენიშვნა:** ნდობის ხარისხი შეფასდა 10-ქულიან სკალაზე, სადაც ციფრი 1 აღნიშნავს სრულ უნდობლობას, ხოლო 10 – სრულ ნდობას. სკალის ნეიტრალური პუნქტია 5,5. მონაცემები 5,5-ზე ქვემოთ შეესაბამება ნეიტრალურზე დაბალი ნდობის ველს, ხოლო 5,5-ზე მაღლა – ნეიტრალურზე მაღალი ნდობის ველს.

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი  
საველე სამუშაოები: 10-17 ივლისი, 2009 წ.  
შერჩევითი ერთობლიობა: 800 რესპონდენტი  
ცდომილება: 3.5% (საანალიზის 95%-იანი დონისთვის)



სარფის საბაჟო

# შეზღუდვები თავისუფალ ვაჭრობას

სარფის საბაჟოზე ახალი წესების ამოქმედებამ შეაფერხა თავისუფალი ვაჭრობა და გაზარდა მოქალაქეთა უფლებების დარღვევის ფაქტები.

## ნესტან ცეცხლაძე, ბათუმი



■ სარფის საბაჟო, 2009

ივნისიდან მოყოლებული, სარფის საბაჟოზე დღე არ გავა, რომ დიდი ხმაური და აყალმაყალი არ მოხდეს.

„ერთი თვე თურქეთში ვიმუშავე, ჩაის ვკრეფდი... დღეს სახლში მივდიოდი და ჭურჭლის ჩასაწყობი ვიყიდე 16 ლარად. საბაჟოზე 14 ლარი მომთხოვეს. მივბრუნდი მალაზიაში და დავაბრუნე. ახლა ხელცარიელი ვარ და ვნახთ ერთი, რას განმბაჟებინებენ“, – ჰყვება ჯემალ ხოზრევანიძე ამბავს, რომლის მსგავსაც საქართველო-თურქეთის საზღვართან ხშირად მოისმენთ.

სარფის საბაჟოზე პრობლემები ივნისში, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების შემდეგ დაიწყო.

ამ ბრძანების თანახმად, საქართველოს მოქალაქეს 30 დღის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ აქვს უფლება, ქვეყანაში 500 ლარის ღირებულების არაკომერციული დანიშნულების საქონელი განუბაჟებლად შემოიტანოს.

მანამდე მოქმედი კანონმდებლობით, ნებისმიერ პირს ამავე ღირებულების პროდუქციის განუბაჟებლად შემოტანა თვეში რამდენჯერმეც შეეძლო.

განბაჟების ძველ პრობებში ძალიან პოპულარული გახდა თურქეთში, საქართველოს საზღვართან რამდენიმე კილომეტრში მდებარე ბაზრობა – „ქემალ ფაშა“.

საქართველოს მოქალაქეები გადადიოდნენ სარფის საზღვარზე და საყოფაცხოვრებო ნივთებს, ტანსაცმელსა თუ პირადი ჰიგიენისთვის განკუთვნილ პროდუქციას სამჯერ უფრო იაფად ყიდულობდნენ, ვიდრე საქართველოში, და თან ეს საქონელი განუბაჟებლად შემოჰქონდათ.

„ქემალ ფაშას“ პოპულარობასთან ერთად მცირდებოდა ბათუმში მსგავსი ბაზრობების კლიენტთა რიცხვიც.

თურქმა ბიზნესმენებმა სიტუაციას სწრაფად აუღეს ალღო – „ქემალ ფაშაში“ მალაზიების რაოდენობა გაიზარდა. მალაზიების თურქი მესატრონები კი კლიენტებთან უკეთესი კომუნიკაციისთვის გამოიყვანეს. ივნისამდე ამ ბაზრობაზე დაახლოებით 2000-მდე საქართველოს მოქალაქე მუშაობდა. მალაზიებზე ქართული ნარწერები გაჩნდა და, რაც მთავარია, სავაჭრო ვალუტად ლარი იქცა.

ივნისამდე საქართველო-თურქეთის საზღვრის ფეხით გადაკვეთის იმდენი მსურველი იყო, რომ ზოგჯერ რამდენიმე საათი სჭირდებოდა საბაჟო კონტროლის გავლას.

„ქემალ-ფაშაში“ სავაჭროდ ჩადიოდნენ ისინიც, ვისაც საქართველოში მცირე ბიზნესი აქვს. ბათუმის (ხოფას ბაზრობა), თბილისის (ლილოს) და საქართველოს სხვა რეგიონების ბაზრობები სწორედ აქედან მარაგდებოდა.

ხშირად მოვაჭრეებს პროდუქცია ქვეყანაში განუბაჟებლად შემოჰქონდათ.

სარფში მცხოვრები 43 წლის მანანა ჰყვება, რომ მოქმედებდა ასეთი სქემა:

სარფელები, გარკვეული თანხის საფასურად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსულ მოვაჭრეებს თურქეთში მიჰყვებოდნენ, მათი საქონელი საზღვარზე გადმოჰქონდათ და პირადი მოხმარების პროდუქციად ასაღებდნენ.

ფინანსთა მინისტრის ზემოთ ხსენებული ბრძანების შემდეგ სარფის საბაჟოზე ხალხის რაოდენობამ იკლო.

„ქემალ-ფაშას“ ბაზრობაზე ბევრი მალაზია დაიხურა, იქ დასაქმებული საქართველოს მოქალაქეები კი უმუშევრად დარჩნენ.

აჭარაში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და

ჟურნალისტები აცხადებენ, რომ მებაჟეთა მხრიდან ხშირად ირღვევა ფინანსთა მინისტრის ბრძანება და, შესაბამისად, მოქალაქეთა უფლებები.

თინათინ გიორგაძემ ნელს პირველად აიღო საზღვარგარეთის პასპორტი და პირველადვე გადაკვეთა თურქეთის საზღვარი. თურქეთში მან პირადი მოხმარებისთვის შეიძინა: 10 კგ სარეცხი ფხვნილი, მაისური – 5 ცალი, ტრუსი – 8 ცალი, პერანგი – 1 ცალი, ზენარი – 1 ცალი, პატარა ბალიში – 4 ცალი. სულ 53 ლარის პროდუქცია. ამ ნივთების საზღვარზე გადმოტანისთვის მას 23.17 ლარი გადაახდევინეს – საბაჟოს მოსაკრებელი და დამატებითი ღირებულების გადასახადი.

„ამ შემთხვევაში დღგ-ს გადახდა უკანონოა, – ამბობს „ლიბერალთან“ ინტერვიუში ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ადვოკატი გია ქარცივაძე, – კერძო პირი დღგ-ს გადახდელი არაა, თუ მისი წლიური ბრუნვა 100 ათას ლარს არ აღემატება. პირები, რომლებსაც საქართველოში პროდუქცია არაკომერციული მიზნით შემოაქვთ, კანონით, საზღვარზე საბაჟო მოსაკრებელს არ იხდიან“.

თავიდან თინათინ გიორგაძემ საკუთარი უფლებების დაცვა სასამართლოში გადაწყვიტა, თუმცა შემდეგ ამ განზრახვაზე ხელი აიღო. საქმე ისაა, რომ სასამართლოში სარჩელის შეტანისას ბაჟის სახით 100 ლარი უნდა გადაიხადოს, ანუ თითქმის ოთხჯერ მეტი, ვიდრე სარფის საბაჟოზე გადაიხადა და ორჯერ მეტი, ვიდრე – თურქეთში ნაყიდ ნივთებში.

„სწორედ სასამართლო ბაჟის გამო არ მიდიან სასამართლომდე ის ადამიანები, რომელთა უფლებებიც სარფის საბაჟოზე დაირღვა“, – ამბობს ქარცივაძე.

მისი თქმით, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალს დაახლოებით 100-მა პირმა მიმართა. მათ მიერ წამოდგენილი საბაჟო დეკლარაციები თინათინ გიორგაძის დეკლარაციების მსგავსია და მებაჟეთა მხრიდან აშკარა კანონდარღვევაზე მიუთითებს.

სასამართლოსთვის არც ერთ მათგანს არ მიუმართავს.

ბოლო სამი თვეა, სარფის საბაჟოზე მოქალაქეთა უფლებების ხელყოფა აჭარაში მედიის ერთ-ერთი მთავარი თემაცაა, რადგან ხშირ შემთხვევაში, ადამიანები დახმარებისთვის სწორედ ჟურნალისტებს მიმართავენ.

მიუხედავად ატეხილი ხმაურისა, უკმაყოფილო მოქალაქეებთან დიალოგი ხელისუფლების წარმომადგენლებს არც

პირდაპირ და არც პრესის მეშვეობით უცდიათ. ჩინოვნიკებისგან ამ თემაზე კომენტარების მოპოვება პრაქტიკულად შეუძლებელია.

გაზეთმა „ბათუმელებმა“ სამი თვის მანძილზე რამდენიმე სტატია მიუძღვნა ამ თემას. სექტემბერში გამოქვეყნდა წერილი სათაურით „2000 ათას ლარიანი“ სტატიის მომზადების პრესტორია“.

„ბათუმელების“ მთავარი რედაქტორი ეთერ თურაძე და გაზეთის დირექტორი მზია ამალობელი სარფის საბაჟოზე 1000-1000 ლარით დააჯარიმეს დაუმორჩილებლობისთვის.

ეთერ თურაძე ამბობს, რომ იმ აუციოტაჟის შემდეგ, რომელიც აჭარაში ფინანსთა მინისტრის ბრძანებას მოჰყვა, გადაწყვიტა, სარფის საბაჟოდან რეპორტაჟი თავად მოემზადებინა.

„თურქეთში არაფერი შეგვიძენია, ამიტომ უპრობლემოდ გავიარეთ საბაჟო შემოწმება და ვაკვირდებოდით განბაჟების პროცედურას, ვინერდი ინტერვიუებს“. როგორც თურაძე ამბობს, სწორედ ამ ინტერვიუების ჩანერის გამო უბრძანეს, დაეტოვებინა საბაჟოს ზონა.

კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის ექსპერტი, დავით ნარმანია ამბობს, რომ დაბეგვრის აქამდე არსებულ მექანიზმში ბევრი „ხვრელი“ იყო და ამ სისტემას გადახედვა მართლაც სჭირდებოდა.

„თუმცა, მექანიზმის სრულყოფაზე უნდა ემუშავათ და არა გამკაცრებაზე“, – ამბობს ექსპერტი.

მისი თქმით, ადმინისტრაციული მექანიზმების გამკაცრებით ხელისუფლება ბიუჯეტში ფულის მობილიზებას ცდილობს, რადგან ფინანსური კრიზისის პირობებში ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების მოცულობა შემცირებულია.

„მაგრამ, მეორე მხრივ, ამ გადაწყვეტილებამ გააუარესა იმ ადამიანების სოციალური მდგომარეობა, რომლებიც წვრილი ვაჭრობით ირჩენდნენ თავს. როგორც კი მათი პროდუქცია დაიბეგრება, ისინი არაკონკურენტულ გარემოში აღმოჩნდებიან უფრო დიდ იმპორტიორებთან შედარებით“, – მიიჩნევს ნარმანია.

უცნობია, გრძელვადიან პერსპექტივაში რა ფინანსურ მოგებას მოუტანს ბიუჯეტს დაბეგვრის ახალი ნესი. ჯერჯერობით კი მისი ერთადერთი შედეგი უკმაყოფილო მოქალაქეებია, რომლებსაც სოციალური გასაჭირი საკუთარი უფლებების სასამართლოში დაცვის შესაძლებლობასაც არ აძლევს. ■



## დეკრიმინალიზაცია – ახალი ეტაპი ნარკოპოლიტიკაში მკურნალობა დასჯის ნაცვლად

### მეტი ტოლერანტობა ნარკომანებს და ნაკლები – ნარკოტიკების გამსაღებლებს.

#### ნათია გულიაშვილი

მსოფლიოში, სადაც ნარკოტიკების მოხმარების რამდენიმე ათასწლიანი და გავრცელებაზე კონტროლის ას წელზე ოდნავ მეტი გამოცდილება არსებობს, ჯერ კიდევ ვერ თანხმდებიან, თუ როგორ უნდა წარმართოს ნარკოპოლიტიკა.

მკაცრი აკრძალვის პოლიტიკის მიუხედავად, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა ყოველწლიურად იზრდება. რეპრესიული პოლიტიკა ნარკოტიკების გავრცელების პრობლემებს ვერ წყვეტს. ნარკომაფიის წინააღმდეგ მიმართული საკანონმდებლო აკრძალვები ძირითადად იმათზე ვრცელდება, ვინც ნარკოტიკებს მხოლოდ პირადი მოხმარების მიზნით იძენს.

მეორე მხრივ, თუკი ადამიანს აქვს თავისუფალი არჩევანი და თვითონ წყვეტს, მაგალითად, იყოს თუ არა მწველი, მიუხედავად იმისა, რომ მან იცის შესაძლო ზიანის შესახებ, მაშინ რატომ არ უნდა ჰქონდეს მას იგივე თავისუფლება ნარკოტიკებთან დაკავშირებით?

საქართველოს კანონმდებლობით, დღეს ყველა ნარკოტიკული საშუალების მოხმარება კრიმინალურ ქმედებად ითვლება. მთავრობის ნარკოპოლიტიკა და ძალო-

ვანი სტრუქტურების მუშაობა კი უფრო დამსჯელობითი ხასიათისაა, ვიდრე პრევენციასა და რეაბილიტაციაზე ორიენტირებული.

2007 წელს, კავშირ „ალტერნატივა ჯორჯიას“ მონაცემებით, ნარკოტიკული დანაშაულის (რამიც ნარკოტიკების მოხმარებაც იგულისხმება) გამო დაკავებულია ადამიანებმა, საერთო ჯამში, 20 მილიონი ლარის ჯარიმა გადაიხადეს. იმავე წელს ნაშადადმოკიდებულების მკურნალობისთვის ჯანდაცვის სამინისტროს ბიუჯეტში 80-ჯერ ნაკლები – 250 ათასი ლარი გამოიყო.

ასეთი პოლიტიკა პარლამენტში ორი ახალი კანონპროექტის წარდგენის მიზეზი გახდა. პროექტებზე, დიდი ხანია, მუშაობს ერთი მხრივ თავად პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტი „გლობალური ფონდის“ ექსპერტებთან ერთად, მეორე მხრივ კი, „ზიანის შემცირების ქსელში“ გაერთიანებული 14-მდე არასამთავრობო ორგანიზაცია.

ლიბერალურობა მოხმარებლის და სიმკაცრე გამსაღებლის მიმართ – ის ფორმულაა, რომელიც, კანონპროექტების



ავტორთა აზრით, დღეს ოპტიმალური იქნება ქვეყნისთვის.

დღევანდელი კანონმდებლობით (სისხლის სამართლის 273-ე მუხლი), ადამიანი ნარკოტიკების მოხმარების პირველ ფაქტზე ადმინისტრაციულ ჯარიმას, 500 ლარს იხდის. ერთი წლის განმავლობაში იმავე შემთხვევის განმეორებისას სასჯელი 2000 ლარია ან 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, განურჩევლად იმისა, ადამიანი უბრალოდ მომხმარებელია თუ წამალდამოკიდებული. წამალდამოკიდებული კი კანონითაც ავადმყოფად ითვლება. სისხლის სამართლის მუხლით ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულისთვის გასამართლებული ადამიანების ერთი მეოთხედი დღეს ნარკოტიკების მოხმარების გამო იხდის სასჯელს.

„დღევანდელი კანონმდებლობა რეპრესიული და დასჯაზე ორიენტირებულია; მით უმეტეს, რომ ჯარიმებს ძირითადად ოჯახი იხდის და არა თავად დაჯარიმებული“, – აცხადებს დავით ოთიაშვილი, კავშირ „ალტერნატივა ჯორჯიას“ დირექტორი, რომელიც არასამთავრობოებთან ერთად კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორია. მისი თქმით, ჯარიმას, როგორც ადმინისტრაციული სასჯელის ფორმას, ფსიქოლოგიურად გარკვეული შემაკავებელი ფუნქცია აქვს. მაგრამ ჯარიმის ის რაოდენობა, რასაც დღევან-

„მოდის თაობა, რომლისთვისაც ეს სიმკაცრე, ჯარიმების სახით, შემაკავებელი ფაქტორიცაა. ამ მხრივ, მე ვერ დავეთანხმები მოსაზრებას, რომ მომხმარებელი საერთოდ არ უნდა დაისაჯოს. ეს არც ერთ ქვეყანაში არ ხდება“, – ამბობს გიგი წერეთელი.

თუმცა ეს ვარაუდიც სადავოა, რადგან ევროპის ქვეყნებს ლიბერალური კანონმდებლობის კარგი გამოცდილება უკვე აქვს. პორტუგალიაში 2001 წელს მოხდა დეკრიმინალიზაცია, რამაც სწრაფადვე გამოიწვია ნარკოტიკებთან დაკავშირებული კრიმინალური დანაშაულის შემცირება. როცა ადამიანებს ნარკოტიკების მოხმარების გამო დასჯის შიში მოუხსნათ, ამან მკურნალობის მსურველთა რაოდენობაც გაზარდა.

ასევე საყურადღებოა კანონმდებლობის შვედური მოდელი, სადაც, სახელმწიფო სტრატეგიის მიხედვით, ნარკომანის მიერ გადახდილი ჯარიმა მისსავე მკურნალობას ხმარდება.

ახალ კანონპროექტში ჯანდაცვის კომიტეტსაც მსგავსი ინიციატივა შემოაქვს. გიგი წერეთლის აზრით, ძალიან სასარგებლო იქნება ამ პოლიტიკის დანერგვა, რაც კიდევ უფრო გაზრდის მკურნალობის მოტივაციას. ამასთანავე ადამიანს თავად ექნება საშუალება, აირჩიოს რა სურს: მხოლოდ ჯარიმის გადახდა, თუ ამ თანხით მკურნალობა, ან საზოგადოებისთვის

ანუ უნდა განისაზღვროს ნარკოტიკული საშუალებების მცირე, დიდი ან ძალიან დიდი რაოდენობა. ეს უშუალოდ ახდენს გავლენას სასჯელის სიმძიმეზე.

კანონში ამჟამად საერთოდ არ არსებობს ცნება – მცირე დოზა. ამის გამო, თუნდაც ძალიან მცირე რაოდენობის ჰეროინს დიდი რაოდენობის კვალიფიკაცია ეძლევა. შესაბამისად, კანონი ყველასთვის, განურჩევლად იმისა, თუ რა რაოდენობის ნარკოტიკი ჰქონდა, 6-დან 12 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

კანონპროექტებზე მუშაობაში ჩართული იყო შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტრო, პოლიტიკოსები და ექსპერტებიც. თუმცა, მთელ რიგ საკითხებზე შეთანხმება ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა. „ცვლილებების შემთხვევაში მნიშვნელოვნად იზღუდება სამართალდამცავების, ზოგ შემთხვევაში, შეიძლება ოპერატიული მუშაობის უფლებებიც“, – ამბობს გიგი წერეთელი. თუმცა „ოპერატიული მუშაობის უფლების შეზღუდვა“ სხვა სიტყვებით შეიძლება „პიროვნების უფლების დაცვა“ იყოს. დღეს სამართალდამცავს უფლება აქვს, ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც „საეჭოვო გარეგნობის პიროვნებად“ ჩათვლის, ტესტირებაზე შემომწმება მოსთხოვოს. მოქალაქე კი ვალდებულია, დაემორჩილოს პოლიციის თანამშრომელს. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით კი, თუ პირ

## ■ დღეს ქვეყნისთვის ოპტიმალური ფორმულა: ლიბერალურობა მომხმარებელს და სიმკაცრე გამსაღებელს.

დელი კანონმდებლობა აკისრებს ნარკომანებს, ბიუჯეტის გარდა, ყველასთვის საზიანოდ მოქმედებს.

არასამთავრობოთა მიერ ინიცირებული კანონპროექტი ლიბერალურია, რადგან ითხოვს არა მარტო დეკრიმინალიზაციას, ანუ მომხმარებლისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მოხსნას, არამედ ჯარიმის გადასახადის მინიმუმამდე დაყვანას – მაგალითად, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ნარკოტიკების მიღებისთვის 100 ლარით დაჯარიმებას.

ორი კანონპროექტის ერთ-ერთი განმასხვავებელი პუნქტი სწორედ ამ თანხის ოდენობაა. პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის, გიგი წერეთლის აზრით, 100-ლარიანი ჯარიმა, ქმნის საშიშროებას, რომ კანონით მინიჭებული „ზედმეტი“ თავისუფლება დანაშაულის ზრდის სტიმული გახდეს.

სასარგებლო სამუშაოს შესრულება.

საქართველოს დღევანდელი კანონმდებლობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზია პასუხისმგებლობის განურჩევლობა – იმის მიუხედავად, საკუთარი მოხმარებისთვის აქვს ადამიანს ნარკოტიკი, თუ გასაყიდად, შესაძლოა, ორივე შემთხვევაში თანაბარი სიმკაცრით დაისაჯოს. ახალი კანონპროექტების ავტორები კი თანხმდებიან, რომ თუ ადამიანი მომხმარებელია, ან ავადა და მხოლოდ თავისთვის აქვს ნარკოტიკის რაღაც ოდენობა, არ შეიძლება ისევე დაისაჯოს, როგორც გამსაღებელი. ეს გარკვეულ სირთულესაც შეუქმნის ძალიან სტრუქტურებს, რადგან მათ ნარკოტიკული საშუალების ფლობის მიზეზების გარკვევა დავალებათ.

კანონპროექტებში ყურადღებას ამახვილებენ იმაზეც, რომ აუცილებელია დაკონკრეტდეს ნარკოტიკების დოზებიც,


უარს განაცხადებს გამოკვლევაზე, მოხმარების ფაქტი დადგენილად ჩაითვლება. ეს ადამიანის კონსტიტუციურ უფლებას ეწინააღმდეგება, რადგან „არავინაა ვალდებული, მისცეს თავისი ან ახლობელთა სანინალმდებლო ჩვენება“.

დეტალებზე შეუთანხმებლობის გამო, საკანონმდებლო პაკეტის განხილვა ნაწილ-ნაწილ დაიწყება. ცვლილებები საყურადღებო იქნება სასამართლო სისტემისთვისაც, რადგან, მაგალითად, თუკი სისხლის სამართლის 273-ე მუხლი გაუქმდება, ამ მუხლით გასამართლებულთა გათავისუფლების საკითხიც დადგება.

ლიბერალიზაცია თუ დასჯა? ვიდრე ეს კითხვა საქართველოშიც გახდება დებატების საგანი, მანამდე ქვეყნის ნარკოსტრატეგიამ მნიშვნელოვანი ეტაპი უნდა გაიაროს – დეკრიმინალიზაციის პროცესი. ■

# ბარემ შეიჭამეთ!

მალხაზ ხარბელია



**An Intellectual History of Cannibalism**  
by Catalin Avramescu  
კანიბალიზმის ინტელექტუალური ისტორია  
კატალინ ავრამესკუ

ამ წიგნის გამოსვლის შესახებ 2 თვის წინ შევიტყვევ. ამაზონში მაშინვე გადავთავალიერე პირველი გვერდები და დავინტერესდი. სულ მალე [books.google.com](https://books.google.com)-ზეც გამოჩნდა წიგნის დიდი ნაწილი და კარგად რომ ჩაუფუჯექი, თავი არტურო პერეს-რევერტეს რომელიღაც ბიბლიოფილურ რომანში წარმოვიდგინე. რუმინული წარმოშობის ავტორი, რომელიც, მართალია, პოლიტიკური მეცნიერებების პროფესორია ბუქარესტის უნივერსიტეტში, სულ გრაფ დრაკულას მახსენებდა, წიგნის რუმინულიდან ინგლისურად მთარგმნელის სახელი და გვარი კი (Alistair Ian Blyth) ცალკე ჩრდილოური, კელტური საიდუმლოებებისკენ მექაჩებოდა, ცალკე კი ალისტერ კროულისთან მაგზავნიდა.

წიგნი პრინსტონის უნივერსიტეტის გამოცემულია, მაგრამ იგი რუმინული კულტურის ინსტიტუტის გრანტით ითარგმნა და დაიბეჭდა ამერიკაში, რითაც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა კანიბალიზმის კვლევის ისტორიაში. როგორც ჩანს, ერთმანე-

თის ჭამა დღემდე აქტუალურ საკითხად რჩება, ბევრი იკვლევს ამ პრობლემას და არაა გამორიცხული, სულ მალე საკითხი გასტრონომიული კულტურის კუთხითაც განიხილონ (ვხუმრობ, არ შემჭამოთ).

კანიბალიზმი თითქმის ყველა უძველესი ცივილიზაციისა თუ კულტურის მითოლოგიაში შეგხვდებათ, იგი არც ისტორიისთვის და ლიტერატურისთვის იყო უცხო, თუმცა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქაში კანიბალიზმი სულ სხვანაირად გაიზარა დასავლურმა აზროვნებამ და სწორედ აქედან დაიწყო მისი, როგორც კულტურული მოვლენის ისტორია.

ადრეუხასაუკუნეებში კანიბალიზმის მიზეზი შიმშილობა იყო, რისი არაერთი მაგალითიც გვაქვს V საუკუნის იტალიაში, VII საუკუნის ინგლისსა და ირლანდიაში და სხვაგანაც. ძალიან ხშირი იყო ასეთი შემთხვევები ჩინეთში, მონღოლთა ბატონობის განმტკიცების შემდეგ კი დასავლეთმა კანიბალების პირველი სახეც შექმნა და იგი წარმოიდგინეს როგორც ძალისთავიანთა ურდო, რომლებიც მოკლულ მტერს ჭამდნენ (ეს ჯოჯოხეთური ხილვა ენობრივადაც გაფორმდა, რადგან მონღოლთა აღმნიშვნელი სიტყვა „თათარი“ ეტიმოლოგიურად ტარტაროსს, ანუ ჯოჯოხეთის უფსკრულს უკავშირდება). სხვათა შორის, ამ კულტურული კლიმეს მკრთალი კვალი ქართველი ჟამთააღმწერელის მატიაანეშიც გვხვდება, სადაც ავტორი მონღოლებზე ამბობს: „ხოლო ესენი მცირედთა საზრდელთა განემორებოდეს, რამეთუ ყოველსა სულიერსა ჭამდეს, – ხორცსა კატისასა, ძაღლსა და ყოველსავე“.

კანიბალებზე ერთ სცენაში ოტელოც უამბობს დეზდემონას, მათ შესახებ არაერთხელ ვკითხულობთ დენიელ დეფოსთან და ბევრ სხვა ავტორთანაც, თუმცა ყველაზე მწარე და თავზეხელაღებული, რაც მახსენდება ლიტერატურის ისტორიიდან, ეს ჯონათან სვიფტის გენიალური პამფლეტია, „მოკრძალებული წინადადება...“, სადაც იგი ურჩევდა შიმშილით გატანჯულ ირლანდიელებს, საკუთარი შვილები ხორცად მიეყიდათ ინგლისელი დიდებულებისთვის, მათი ტყავისგან კი ხელთათმანები შეეკერათ. სვიფტს კანიბალიზმის ეს იდეა ეკონომიკური და გასტრონომიული თვალსაზრისითაც ჰქონდა „დამუშავებული“. ლატაკ ირლანდიელთა ქომაგის მიერ განხულმა ამ სილამ მაშინ ბევრი გააღიზიანა და გააცოვა.

როგორც ზემოთ ითქვა, კანიბალიზმის ფილოსოფიური გააზრება დიდი აღმოჩენების ხანაში დაიწყო და ერთ-ერთი პირველი ტომას ჰობსი იყო, ვინაც თავის „ლევიათანში“ „ყველას მიერ ყველას წინააღმდეგ მიმართულ ომზე“ (Bellum omnium contra omnes) საუბრობდა, როგორც საზოგადოების არსებობის თავდაპირველ ფორმაზე და მის საფუძვლად „პიროვნულ კანიბალიზმს“ ასახელებდა. შემდეგ უკვე ჟან-ჟაკ რუსოს ჯერი დადგა, მან „კეთილშობილი ველურის“ თეორია შექმნა და კანიბალიზმი სულ სხვა ჩრილში გამოჩნდა. რუსომდე 2 საუკუნით ადრე მონტენი წერდა, რომ კანიბალიზმზე გაცილებით დიდი ბარბაროზობა ღვთისმოსაობის სახელით ადამიანის ცოცხლად ჭამა, წამება, სხეულის დანანევრება და დანვა იყო (მონტენი ამ შემთხვევაში კონკრეტულ ფაქტს გულისხმობდა, 1572 წლის 24 აგვისტოს მომხდარს, ანუ ე.წ. „ბართლომეს ღამეს“). რუსოს შემდეგ მარკიზ დე სადმა განავრცო თემა.

სულ სხვა მხრიდან აფასებდა კანიბალიზმს ლენინი და სიცოცხლის ბოლოს კაცობრიობის ფაქტების სულ სხვა მიზნების განსახორციელებლად სახავდა. მის ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „ახლა, და მხოლოდ ახლა, როცა დამშეულ სოფლებში ადამიანებს ჭამენ და გზებზე ასეულობით და ათასობით გვამი იხრნება, ჩვენ შეგვიძლია (და ამიტომაც, ჩვენ მოვალენი ვართ!) ამოვიღოთ საეკლესიო სიმიდდრე, ამოვიღოთ ყველაზე ცოფიანი და დაუნდობელი ენერგიით... სწორედ ახლა, და მხოლოდ ახლა გლეხების მასათა უდიდესი უმრავლესობა ან ჩვენივე იქნება, ან ყოველ შემთხვევაში, მათ ძალა არ ეყოფათ, მხარი დაუჭირონ იმ ერთ მუჭა შავრაზმელებს, რომლებიც საბჭოთა დეკრეტს ეწინააღმდეგებიან“.

ასეთ აზროვნებას დღესაც ჰყავს მემკვიდრეები, თანაც სრულიად არამარქსისტულ წრეებში. თუმცა მარქსისტები ისევ აქტიურობენ და ზოგიერთი ავტორი კანიბალიზმს კაპიტალიზმის უმაღლეს სტადიასაც უწოდებს. ამაზე ზოგი უკვე სერიოზულად კამათობს და ვიდრე ამ საკითხებს გაარკვევდნენ, არ იქნება ურიგო, ვინმემ ქართული კანიბალიზმის ტრადიციებსაც მიხედოს, ჩვენში ხომ ჯერ კიდევ ინარჩუნებს პოპულარობას ურთიერთჭამასთან დაკავშირებული მამა-პაპური გამოთქმები: „ამათ ხო შემჭამეს“, „ბარემ შემჭამე“, „ფეხები არ მომჭამო“ და მრ. სხვ.



გვიხიანეთ

მთელ საქართველოში

უხველელ სიხშირეზე 106.4

fm

www.106.4.ge

## უსმინეთ პირველი რადიოს ეთერში:

ყოველ სამუშაო დღეს

შემეცნებით - გასართობ გადაცემას:

“რადიო მრჩეველი ნანიკო ხაზარაძესთან ერთად”

დასაწყისი 13:30

ყოველ ორშაბათს და პარასკევს

მუსიკალურ - შემეცნებით გადაცემას:

"ძველი რადიოლა"

დასაწყისი 18:00

ყოველ ორშაბათს და პარასკევს

სპორტულ გადაცემას:

"Sports Prewive"

დასაწყისი 20:00







# ბაზანიჭვბუცი საქანიოვანი ბანკი

ბანკით ანაბანი,  
ჩაჩითი ბათაშაშაშა,  
აოიბი ფანიენი ვიიი  
და ბიანი



საქანიოვანი ბანკი  
BANK OF GEORGIA

